ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი–კვირა

15 — 16 იანვარი, 2011 №12 (5397) ფასი: 30 თეთრი

## მდიდარი და ხელგაშლილი ჰიუ გრანტი

გვ.9



ასტროპროგნოზი გვ.16

TV პროგრამა გვ.13



# მერაბიშვილს რუსეთის აგენტები შემოეპარნენ

გვ.4



## კიტოვანთან და იოსელიანთან სუფრაზე შეგვარიგეს

გვ.5

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სიონის ეზოში შეიქმნა



## ნათლიას მშობელზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია



გვ.7



ვისი ნასროლი ქვა მოხვდა დეპუტატს

გვ.3

## კობა ხაბაზი ველოსიპედით ხევში გადაიჩეხა

## რუსეთთან ბრძოლა იოლი არ არის

გვ.6

რატომ ამართლებს ვახტანგაშვილი ხელისუფლებას



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

## ჯერ კიდევ ვერ დამიჯერებია, რომ ჯეოსტარი ვარ

გვ.8

ოთო ნემსა ე პოპულარობამ და აბა

ISSN 1987-9385



## კვირის ქრონიკა









გვ.2

# სანაკოევმა აგენტობა აღიარა

ამ კვირაში ვლადიმერ სანაკოევმა სალაპარაკო თემა გაუჩინა ჩვენს ოპოზიციას, რუსულ გამოცემაში მან გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერს, რომ ის არის რუსეთის აგენტი.

ჩვენმა ხელისუფლებამ კომენტარის გაკეთება არ ისურვა. ნაციონალებმა თქვეს, ჩვენ გიჟების ნაბოდვარზე კომენტარებს არ ვაკეთებთო, არადა სანაკოევთან დაკავშირებით ადრე სხვა რამეებს ამბობდნენ.

სანაკოევმა ჩვენი ოპოზიციის გარდა კოკოითის გარემოცვაც აალაპარაკა. განსაკუთრებით ბორის ჩოჩიევი გამწარდა, რომელსაც ცოცხალი თავით არ სჯერა, რომ სანაკოევი რუსეთის აგენტი იყო.



— ზღაპარი, რომელიც ვლადიმერ სანაკოევმა მედიაში გამოაქვეყნა, ბოდვაა. მას ტყუილად ჰგონია, რომ ამ ზღაპრებს დაუჯერებს ოსი ხალხი, რომელსაც მან უღალატა. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს რომ გეგმა „სუფთა ველი“ შეესრულებინა, სანაკოევი და მისი ბანდა სულ სხვა სიმღერას იმღერებდნენ, — განაცხადა ჩოჩიევმა.

მისივე თქმით, სანაკოევს პასუხისგება მოუწევს „ღალატსა და სააკაშვილის რეჟიმის ბანდაში მუშაობისას ჩადენილ ბევრ სხვა რამეზეც“.

— დღეს „აგენტის“ სახელს ამოფარება სასაცილოა. პირადად ჩემთვის გაუგებარია ჩვენი ქვეყნის ზოგი სამსახურის, უწყების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების დუმილი იმასთან დაკავშირებით, რომ ვლადიმერ სანაკოევი და ძმები ქარქუსოვები თავისუფლად არიან ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, — განაცხადა ჩოჩიევმა.

სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია, ყოფილი მრჩევლის და პროექტის „კოკოითი ფანდარასტ“ ხელმძღვანელის, ვლადიმერ სანაკოევის რუსეთის სპეცსამსახურების სასარგებლოდ ჯაშუშობის ფაქტს ეჭვის ქვეშ აყენებს.

„ირონის“ აღიარებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა სამხრეთ ოსეთის დროებითმა ადმინისტრაციამ. რომლის თავმჯდომარეც სანაკოევია, ოღონდ დიმიტრი. „ირონი“ ამ დიმიტრის მრჩეველი იყო.

ადმინისტრაციის ინფორმაციით, ვლადიმერ სანაკოევმა 2005 წელს მართლაც მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და 2006 წლიდან უძღვებოდა გადაცემას ტელეკომპანია „ალანიაზე“, 2007 წლიდან კი იყო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დიმიტრი სანაკოევის მრჩეველი. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის ბრძანებულების შესაბამისად, ის გათავისუფლდა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციიდან იმასთან დაკავშირებით, რომ აპირებდა საცხოვრებლად გადასვლას რუსეთის ფედერაციის ქალაქ სოჭში.

მათივე განცხადებით, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ვლადიმერ სანაკოევი პირადად მონაწილეობდა საქართველოს ხელისუფლების უამრავ პროექტში, რომელიც მიმართული იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ქართველი და ოსი ხალხის შერიგებისკენ და კოკოითის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისკენ, რაც უდავოდ საინტერესო იყო რუსული სპეცსამსახურებისთვის.

— ადამიანურად ჩვენ გვესმის, რომ ჩვენი ყოფილი თანამშრომელი და თანამოაზრე იმყოფება რუსეთში მძიმე პირობებში, ეს იწვევს ჩვენს წუხილს. ჩვენ, ჩვენი მხრიდან სანაკოევს ისევ ჩავთვლით ჩვენს თანამოაზრედ, რომელსაც უდავოდ სურდა საქართველოს ტერიტირიული მთლიანობის აღდგენა და ისევ ერთგულია იმ იდეისა, რომელიც ქართველ და ოს ხალხს შორის, ძმური და მეგობრული ურთიერთობის აღდგენას ეხება. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, სანაკოევის ვითომდა „ჯაშუშობასთან“ დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ მესამე პირის სიტყვები ძნელად დასაჯერებელია, რომლებიც მოყვანილია ინტერნეტ გამოცემის მასალებიდან, — აცხადებენ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში.

## აჭარის მთავრობაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, როგორც „მედიანიუსს“ აჭარის მთავრობიდან აცნობეს, შუახევის გამგებელი ომარ მეგრელიძე დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის თანამდებობაზე; სოფლის მეურნეობის მინისტრი ემზარ ძირკვაძე დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩევლის თანამდებობაზე, სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე წარდგენილია დონარა სურმანიძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა ბაჩუკი ჩხეიძე, ხოლო თეიმურაზ დიასამიძე დაინიშნა აჭარის მთავრობის პროტოკოლისა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. აჭარის ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელად დაინიშნა სოფიკო ნიკოლაიშვილი.

## მილანში კალაძის სახლი გაქურდეს



მილანში „ჯეონოას“ ქართველი ფეხბურთელის კახა კალაძის, ასევე „ინტერის“ ლეგიონერების - სამუელ ეტოოს და ვესლი სნეიდერის საცხოვრებელი ბინები გაძარცვეს.

როგორც იტალიური სპორტული პრესა იუწყება, კალაძის ბინიდან ქურდებმა კარტიეს და როლექსის ფირმის 12 ძვირფასი საათი და ორი პერსონალური კომპიუტერი მოიპარეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ქურდობა 21-დან 27 დეკემბრამდე პერიოდში მოხდა. ეტოოს ბინის გაძარცვა სათვალთვალო კამერამაც დააფიქსირა.

# ნოლაიდელი თავისი პარტიიდან გააგდეს

ამერიკიდან დაბრუნებულ ზურაბ ნოლაიდელს სამშობლოში ცუდი ამბები დახვდა. გასული წლის ბოლოს ამბოხებულმა თანაპარტიელებმა ის თანამდებობიდან გადააყენეს. მერე იუსტიციის სამინისტროში უჩივლეს. იუსტიციის სამინისტრომ ნოლაიდელის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო.



ამის გამო ნოლაიდელი იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ არ აპირებს სარჩელის შეტანას. ამის შესახებ ამერიკიდან დაბრუნებულმა ნოლაიდელმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა. იმავე პრესკონფერენციაზე გვაუწყა, რომ ახალი პარტიის შექმნას აპირებს.

— მე არ ვაპირებს იუსტიციის სამინისტროს უკანონო გადაწყვეტილების მიღების გამო ვუჩივლო, რადგან არ მსურს, რომ ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგ სარჩელი თავად ზურაბ ადეიშვილთან შევიტანო, — განაცხადა დამწუხრებულმა ნოლაიდელმა.

ნოლაიდელის თქმით, მისი ახალი მოძრაობა იქნება ძველი შინაარსის, რადგან მასში ისევ იქნებიან წარმოდგენილი მისი ერთგული თანამებრძოლები და ახალი პოლიტიკური ძალის მიზანი კვლავ ხელისუფლების შეცვლა იქნება.

— იუსტიციის სამინისტრომ დააკანონა მერაბიშვილის და ადეიშვილის მიერ ჩატარებული უკანონო ყრილობა. ასეთი რამ ბირმაშიც კი, სადაც აღიარებული დიქტატურაა, თავში არავის მოსვლია. მე არ ვაპირებ, მსხვერპლის მანტია მოვისხა და ქართველი ხალხის წინაშე წუწუნი დავიწყო. არ ვაპირებ ადეიშვილს ადეიშვილთან ვუჩივლო და მერე კიდევ ადეიშვილთან შევიტანო სარჩელი. ამ პროცესებს ვეთიშები. უახლოეს მომავალში შევქმნი ახალ პოლიტიკურ პარტიას ან მოძრაობას, რომლის მიზანიც იქნება ხელისუფლების შეცვლა და ქართველი ხალხის პრობლემების მოგვარება, — განაცხადა ნოლაიდელმა და დასძინა, რომ ხელისუფლების მიერ მისთვის მოძრაობის წართმევა შესაძლოა იმის მანიშნებელი იყოს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში არჩევნები დაინიშნება. ამ ეტაპზე არ მეგონა, რომ ჩვენ ხელისუფლებისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოვადგენდი, რადგან ბოლო პერიოდში აქტიურობით არ გამოვირჩეოდი. როგორც ჩანს, მერაბიშვილს და სააკაშვილს ჩვენზე სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდათ. პარტიის წართმევით რეალურად ისინი საარჩევნო პროცესებში მონაწილეობას აგვიკრძალავენ, თორემ განცხადებების გაკეთებას და პოლიტიკურ პროცესებში ფორმალურად თუ არაფორმალურად ჩართვას ვერავინ დაგვიშლის. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხელისუფლება შესაძლოა არჩევნებისთვის ემზადებოდეს, — აღნიშნა ნოლაიდელმა.

## საგარეო ვალი საგანგაშო ხდება

ხელისუფლება თავს ხშირად გვაბეზრებს იმის მტკიცებით, რომ ქართული ეკონომიკა ყვავის. ამის ოპოზიციას საერთოდ არ სჯერა. ეკონომიკური ექსპერტები საერთოდ სიცილით კვდებიან, თან გაიძახიან, რა გვაცინებს, სატირლად გვაქვს საქმეო. სააკაშვილის მომხრე ექსპერტებს კი საქართველო აყვავებული ეჩვენებათ.

ჩვენში საკმაოდ ბევრს საუბრობენ საგარეო ვალებთან დაკავშირებით. ხელისუფლებას ამ თემაზე ყურადღების გამახვილება არ უყვარს. ამ კვირაში, როგორც იქნა გააკეთეს პატარა განმარტებები. რამაც ოპოზიცია გააბრაზა.



ერთ-ერთმა პირველმა აღშფოთება ნინო ბურჯანაძის პარტიამ გამოთქვა. დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო სახელმწიფოს საგარეო ვალის ზრდის ტენდენციას ეხმაურება და მას საგანგაშოდ მიიჩნევს.

დემოკრატიული მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრის, თეიმურაზ მურღულიას განცხადებით, საგარეო ვალის ზრდის ტენდენცია ეკონომიკის ზრდის არაადეკვატურია.

— ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მხოლოდ 2010 წლის მესამე კვარტალში, სახელმწიფო ვალი 274 მილიონი დოლარით, ხოლო მთლიანად საგარეო ვალი 664 მილიონი დოლარით გაიზარდა, რაც ქართული ეკონომიკის მასშტაბებისათვის მეტად საყურადღებო ციფრია. ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოს საგარეო ვალი 5.5 მილიარდი დოლარით გაიზარდა, რაც გაცილებით მეტია ეკონომიკის ზრდის საერთო ტემპზე და ეკონომიკური პოლიტიკის შეცდომების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ინდიკატორია. შესაბამისად, მხოლოდ საზოგადოების ყურადღება და შეურიგებლობა შეიძლება იყოს ქვეყნის გაკოტრების თავიდან აცილების გარანტია, — განაცხადა მურღულიამ.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს საგარეო ვალი 2010 წლის ბოლოს 3 936 882 000 აშშ დოლარით განისაზღვრა.

# სომეხი არქიტექტორი შარს გვდებს

წინასწარი შეთანხმება, რომელიც საქართველოში მეჩეთების აღდგენისა და მშენებლობის სანაცვლოდ თურქეთში ოთხი ქრისტიანული ტაძრის აღდგენას ითვალისწინებს, ამორალური და ანტისამეცნიერო ნაბიჯია, — ამის შესახებ არმენია თუდეის-ს კორესპონდენტს სომხური არქიტექტურის სპეციალისტმა, სამველ კარაპეტიანმა განუცხადა. მან ასევე აღნიშნა, რომ ყველა მითითებული ტაძარი ქალკედონისტმა-სომხებმა ააგეს.

მისი თქმით, ამ ტაძრებზე ქართული მხარის პრეტენზია უსამართლო და ამორალურია.

— მაგალითისთვის, როდესაც ერევანში ცისფერი მეჩეთის აღდგენა გადაწყდა, ჩვენ ირანელი სპეციალისტები მოვიწვიეთ. ასე უნდა მოქცეულიყო თურქეთიც, თუ მათი მიზანი ტაძრებისთვის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფასეულობისთვის, პირვანდელი სახის დაბრუნება იყო. მაგრამ საქმე ის არის, რომ მთელ ამ პროცესს პოლიტიკური სარჩული აქვს. საქართველოსთვის მთავარია სომხური ტაძრები მიიტაცოს, ეს თურქებსაც ხელს აძლევს, რადგან სომხოფობიით შეპყრობილი თურქები მზად არიან ტაძრები სომხების გარდა, ნებისმიერს გადასცენ, — განაცხადა კარაპეტიანმა.

კარაპეტიანმა აღნიშნა, რომ ყველა სადავო ტაძარი ტაოს რეგიონში მდებარეობს, რომელსაც ის ისტორიული სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილად მიიჩნევს.

— მეათე საუკუნეში დავით კურაპალატის მმართველობის დროს ტაოს სომხურმა სამეფომ ქალკედონიზმი მიიღო, ანუ ბიზანტიის ეკლესიას შეუერთდა. ზუსტად ამ პერიოდში აშენდა ეს ტაძრები, რომლებიც სომხური არქიტექტურის მეორე ოქროს საუკუნის სიმბოლოდ იქცა. მაგალითად, ტაოში მდებარე ბანაკის ტაძარს, რომელსაც ზვარტნოცის მსგავსი არქიტექტურა აქვს, ქართველები ბანას უწოდებენ და ქართული კულტურის ნაწილად მიიჩნევენ, მაგრამ ეს ასე არ არის, — აღნიშნა კარაპეტიანმა.

კარაპეტიანი ასევე აცხადებს, რომ ტაძრებში მრავალი ქართული გრავიურაა, რომლებიც ესთეტიური თვალსაზრისით არაჩეულებრივადაა შესრულებული, მაგრამ ისეთ გრამატიკულ შეცდომებს შეიცავს, რომელთა დაშვებაც ქართველებს არ შეეძლოთ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ავტორებმა ქართული არ იცოდნენ.

— ტაძრები მდიდარია ასევე ფრესკებით, რომლებსაც სომხური გავლენა ეტყობა. ტაოს ტაძრები რუსმა არქიტექტორმა ნ. ტოკარსკიმ შეისწავლა, რომელიც საინტერესო დასკვნამდე მივიდა - არქიტექტორის თქმით, ტაოს არქიტექტურა არც სომხურია, არც ბიზანტიური და არც ქართული, ის ამ კულტურების სინთეზია, — აღნიშნა კარაპეტიანმა.

აღსანიშნავია, რომ კარაპეტიანი ასეთ ბრალდებებს ადრეც გვიყენებდა. მისი თქმით, სამება ეჩმიაძინის ასლი იყო. ამის გარდა, ის იმასაც ამტკიცებდა, რომ სამება ქართველებმა სომხების სასაფლაოზე ააგეს.

შორენა მარსაგიშვილი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

ნანა მიშელაშვილი

# კობა ხაბაზი ველოსიპედით ხევში გადაიჩეხა

## ვისი ნასროლი ქვა მოხვდა დეპუტატს

**უმისამართოდ წასული კობა ხაბაზი ამბობს, რომ დამოუკიდებელ ცხოვრებას ბავშვობიდან მიეჩვია. დეპუტატი არ მალავს, რომ ბავშვობისას თავიც აქვს გატეხილი და ხელ-ფეხიც ნატკენი.**

დეპუტატი იხსენებს, რომ ერთხელ ველოსიპედით ხევში გადაიჩეხა და თავი გაიტეხა, მეორედ კი შემთხვევით ნასროლი ქვა მოხვდა.

რატომ იყო სკოლაში ყველა ავანტიურისტული წამოწყების მოთავე, რა ზედმეტსახელი შეარქვა რუსულის მასწავლებელმა და რატომ მიიღო ორიანი ხატვაში?

**„ახალი თაობა“ კობა ხაბაზს ესაუბრა.**

***— სკოლაში როგორი ბავშვი იყავით — ცელქი, ზომიერი თუ წყნარი?***

— ყველაზე მეტად რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სიტყვები გამოდგება ჩემი ბავშვობის დასახასიათებლად. მან მეტსახელი შემარქვა — „პლახოი ატლიჩნიკ“, ანუ ცუდი ფრიადოსანი. ძალიან კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ყველა ავანტიურისტული წამოწყების მოთავე ვიყავი.

***— მაგალითად, რას აკეთებდით?***

— ეს იყო კლასის ჯგუფური გაცდენა, ე.წ. შატალო, ასევე ორგანიზებული პროტესტის გამოხატვა. ჩვენი ბავშვობის დროს ლენინური შაბათობები იყო, რომელშიც მონაწილეობას არ ვიღებდით. როდესაც სკოლის პერიოდი მთავრდებოდა, ბავშვები საზაფხულო სამუშაოებში აქტიურად ერთობოდნენ, ეს იყო ჩაის ნაკვეთების დამუშავება და კრეფა. მაღალ კლასებში როდესაც ქეიფს ვაწყობდით, ქეიფი იმით სრულდებოდა, რომ 2-3 ჭიქა გვყოფნიდა, რათა კარგად შევმთვრალიყავით. ამ ყველაფრის უკან ვიდექით ოთხი მეგობარი, რომლებიც სწავლით კარგად ვსწავლობდით, მაგრამ ცელქები ვიყავით. მეექვსე კლასში ვიყავი, როდესაც ჩემს მეგობარ გოჩასთან სახლში დავრჩი, მეორე დღეს გოჩა დარჩა ჩემთან, მესამე დღეს ამირანთან წავედით, მეოთხე დღეს დათოსთან წავედით. ასე რომ, დამოუკიდებელ ცხოვრებას ბავშვობიდან მივეჩვიე.

***— მასწავლებელს ორიანი დაუწერია?***

— კი.

***— რომელ საგნებში?***

— ორიანი ორჯერ მაქვს მიღებული. ერთხელ ხატვაში, მეორედ — ბიოლოგიაში.

***— ხატვაში ორიანი როგორ მიიღეთ?***

— ხატვას დედაჩემი მასწავლიდა...

***— მერე, დედამ ორიანი დაგიწერათ?***

— დედამ დავალება მოგვცა, რომ რაღაც ორნამენტი უნდა დაგვეხატა. სახლში მივედი და მას ვთხოვე, რომ დაეხატა. დედამ დამიხატა, მაგრამ მეორე დღეს სკოლაში რომ მივედი, იგივე რომ არ გამემეორებინა და სხვა დროსაც არ მეთხოვა, ჩემს ნახატს დახედა თუ არა, თქვა: აშკარად ჩანს, რომ ეს ნახატი შენი დახატული არ არისო და ორიანი დამიწერა.

***— ბიოლოგიაში რატომ მიიღეთ ორიანი?***

— ეს არ იყო გაკვეთილის უცოდინრობის გამო მიღებული ორიანი. ეს იმის გამო მოხვდა, რომ კლასში აკვარიუმი გვქონდა, უყურადღებობის გამო წყალი გამოვიდა, თევზები დაიღუპნენ და გაბრაზებულმა ბიოლოგიის მასწავლებელმა მთელ კლასს, 28 ბავშვს, ორიანი დაგვიწერა.

***— ყველა რატომ დაგსაჯათ, ერთი კონკრეტული დამნაშავე არ იყო?***

— მე თუ მკითხავთ, სწორი სასჯელი იყო. შეიძლება, გაკვეთილის ცოდნასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ ამის შემდეგ აკვარიუმი აღვადგინეთ და თევზებს ყოველთვის ვუვლიდით.

***— მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— კი. სკოლაში ასეთი თამაში გვქონდა, თუ მოვახერხებდით ისე, რომ რაიმე ცუღლუტობას ჩავიდენდით და სხვას გადავაბრალებდით, ვიწერდით ქულებს. მაგალითად, თუ რაღაცას გააფუჭებდი და სხვას დააბრალებდი, ისე, რომ მასწავლებელი ვერ მიმხვდარიყო, ასეთ შემთხვევაში მეგობრებში ერთ ქულას მოიპოვებდი. რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როდესაც მე ჩავიდინე რაღაც, მასწავლებელი მიხვდა, რომ მე ჩავიდინე და დავისაჯე, მაგრამ, რამდენჯერმე სხვამ ჩაიდინა, მე დამაბრალეს, თავის მართლება ვერ შევძელი და გარეთ გამაგდეს.

***— რომელი საგანი არ გიყვარდათ?***

— მასწავლებლების სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ ყველა საგანში განსაკუთრებული მასწავლებელი მყავდა. იყო საგანი, რომელსაც, ასე თუ ისე, კარგად არ ვსწავლობდი, მაგრამ, საგანი რომ არ მყვარებოდა, ასეთი არ იყო.



***— რომელ საგანს ვერ სწავლობდით კარგად?***

— ქიმია იყო ჩემთვის ყველაზე სუსტი წერტილი. როდესაც ქიმიის შესწავლა დავიწყეთ, გარკვეული პერიოდი მასწავლებელი არ გვყავდა და ქიმიის ნაცვლად მათემატიკა გვიტარდებოდა. შემდეგ ქიმიის საოცარი მასწავლებელი ჩამოვიდა ფოთიდან, რუსუდან ჯოჯუა, რომელმაც გარდატეხა შეიტანა ამ მიმართულებით. მათემატიკას სხვადასხვა კლასში სხვადასხვა მასწავლებელი მასწავლიდა. მახსოვს, არითმეტიკულ პროგრესიას როდესაც გვიხსნიდა, მასწავლებელმა უმარტივესი მაგალითი მოიყვანა: მასწავლებელმა როგორ დასაჯა სკოლაში ერთ-ერთი ბავშვი და დაავალა ერთიდან ასამდე ყველა რიცხვის შეკრება, არითმეტიკული პროგრესია, სინამდვილეში ამ ურჩმა ბავშვმა გამოიგონა, რომელმაც გადაწყვიტა, უფრო მარტივი გზა ეპოვა ამის ამოსახსნელად და ფორმულა მოიფიქრა. ასევე ძალიან კარგად მახსენდება ქართულის მასწავლებელი. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური ეპოქა იყო, ის არასდროს მაიძულებდა „გვადი ბიგვას“ სწავლას. შემეძლო, გაკვეთილზე ჰემინგუეის, ჯეკ ლონდონის რომელიმე მოთხრობა მომეყოლა. მახსოვს, მთელი კლასი გასუსული მისმენდა, როდესაც ამ დიდი მწერლების რომელიმე მოთხრობას ვყვებოდი. საბოლოო ჯამში, მასწავლებლებმა ის მოახერხეს, რომ ყველა საგანი მიყვარდა. ფიზიკასა და მათემატიკაში ოლიმპიადებს არა მარტო რაიონში ვიგებდი, არამედ, საქართველოს მასშტაბითაც.

***— ქართულში „შპარგალკა“ გამოგიყენებიათ?***

— არასდროს, სკოლაში „შპარგალკა“ არ გამომიყენებია. დღესაც კი ერთი გვერდი ლექსი ოთხჯერ-ხუთჯერ წაკითხვით შემიძლია ზეპირად ვთქვა. სკოლის დროს 2 წაკითხვა მყოფნიდა, რომ ლექსი ზეპირად მეთქვა. ამაში მამაჩემს ვგავდი, რომელსაც მეხსიერების საოცარი უნარი ჰქონდა. „შპარგალკა“, ინსტიტუტში როდესაც ვაბარებდი, მაშინ წავიღე ქართულში. სხვათა შორის, ოთხი თუ ხუთი „შპარგალკა“ მქონდა, ერთ-ერთი დაემთხვა კიდეც. ეს იყო გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, მაგრამ მივხვდი, რომ „შპარგალკით“ ვერ ვისარგებლებდი, რადგან საკმაოდ უხერხული სიტუაცია იყო, მეორეც, თავისუფალი თემა მოვიდა, რომელიც დავწერე.

***— რა თემა დაწერეთ?***

— თავისუფალი თემა იყო — „რა ხელმა ააგო“. მაშინ საინტერესო იდეა გამიჩნდა ამასთან დაკავშირებით. შემდეგ წლების განმავლობაში ჩემი დაწერილი საგამოცდო თემა გარკვეული შეფასებისა და იუმორის საგანი იყო.

***— რატომ, ასეთი რა დაწერეთ?***

— ასეთი რამ დავწერე: გამოცდის წინა დღეს მცხეთაში დასასვენებლად წავედი, მტკვრისა და არაგვის შენაკადთან ვიპოვე ადგილი, სადაც დავწექი და ჩამეძინა, საუბარმა გამაღვიძა: სვეტიცხოველი და ჯვარი ერთმანეთს ეკამათებოდნენ, თუ რომელია უკეთესი. ორივე უმტკიცებდა, მე უკეთესი ვარ, ვინც მე შემხედავს, იტყვის, რა ხელმა ააგოო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სვეტიცხოველი ჩაგრავს ჯვარს. ჯვარი გაბრაზდება და სვეტიცხოველს ეუბნება: შენ ქვევით ხარ, ვერაფერს ხედავ, თბილისის სატელევიზიო ანძა არ გინახავს, რა ხელმა ააგო, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სადაც ვაბარებდი) სვეტებიანი დარბაზები არ გინახავს, შენ ისიც არ იცი, რომ მინდორში ერთი ბიჭია წამოწოლილი, რომელსაც ხვალ გამოცდა აქვს და ძალიან ნერვიულობს, არადა, ძალიან კარგი ბიჭია. სვეტიცხოველი ეუბნება, კი მაგრამ, თუ კარგი და ჭკვიანი ბიჭია, რატომ ნერვიულობს? არც ერთ ლექტორს არ მოუტრიალდება ხელი, ხუთიანის გარდა, სხვა ნიშანი დაუწეროსო. ასე რომ, გამომცდელები დავანამუსე.

***— თქვენ მიერ დაწერილი თავისუფალი თემის მიხედვით რომელმა გაიმარჯვა: ჯვარმა თუ სვეტიცხოველმა?***

— საბოლოო ჯამში, ორივე შეთანხმდა, რომ კობას თანადგომა სჭირდება, ვინაიდან გამოცდა აქვს.

***— ე.ი. კარგი ნიშნის მისაღებად ჯვარი და სვეტიცხოველიც კი გამოიყენეთ?***

— მე თემა დავწერე....

***— რა ნიშანი მიიღეთ?***

— ოთხი. ერთადერთი ოთხი, რომელიც გამოცდაზე მივიღე, დანარჩენი ხუთები მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ქულები მყოფნიდა, რადგან დანარჩენ საგნებში ხუთები მქონდა მიღებული, საპროტესტოში მაინც მივედი. დღემდე მახსოვს, ერთ-ერთი გამომცდელი გამოვიდა და მითხრა, მე მომიტრიალდა ხელი და ოთხი დაგიწერეო. 11 სასვენი ნიშანი მქონდა არასწორად დასმული. წლები გავიდა და ამ თემას ბევრჯერ ხუმრობით იხსენებდნენ. საერთოდ, ვთვლი, რომ ჯვარი ერთ-ერთი სრულქმნილი ქმნილებაა, ეს არის შედევრი, ჰარმონია მთისა და ულამაზესი ეკლესიის. ჩემთვის ჯვარი ყველაფერია. ხშირად, როდესაც მცხეთაში ჩავივლი ან ჯვარზე ავდივარ, ვერ წარმომიდგენია, ამ მთაზე სხვა ეკლესია იდგეს ან ეს ეკლესია სხვაგან იდგეს, იმდენად საოცარი ჰარმონია და სილამაზეა. ნამყოფი ვარ და მოვლილი მაქვს ოშკი, პარხალი, იშხანი, ოთხთა ეკლესია, ოპიზა, საქართველოში არსებული ყველა ეკლესია, მეგობრებთან ერთად საძილე ტომრებს ვიღებდი და რამდენიმე დღე ვრჩებოდი. ყველა ეკლესიის ნახვისას სხვადასხვა განცდა მეუფლებოდა, მაგრამ ჯვარი ჩემთვის სულ სხვაა. ჯვარი, ამ ყველაფერთან ერთად, საოცარი ჰარმონიაა.

***— ინსტიტუტში რომელ ფაკულტეტზე ჩააბარეთ?***

— სამშენებლო ფაკულტეტზე. მეხუთე კურსზე როდესაც ვიყავი, ეროვნული მოძრაობა დაიწყო, სწავლისთვის დრო აღარ მრჩებოდა. გადავწყვიტე, რაიონში წავსულიყავი და აჭარაში ჩავუდექი ეროვნულ მოძრაობას სათავეში.

***— დავუბრუნდეთ ისევ ბავშვობას. ოდესმე თავი გატეხილი გქონიათ?***

— რა თქმა უნდა.

***— ბავშვობაში ხელი ან ფეხი თუ მოგიტეხიათ?***

— კი.

***— რა ხიფათიანი ყოფილხართ...***

— ფეხი მოტეხილი არ მქონია, რამდენჯერმე ნაღრძობი მქონდა, ასევე ფეხი მქონდა საშინლად გაჭრილი. რამდენჯერმე ველოსიპედიდან გადმოვვარდი. ფეხი ნატკენი მაქვს ფეხბურთის თამაშის დროსაც.

***— თავი ვინ გაგიტეხათ?***

— ერთხელ ველოსიპედით ხეობაში გადავვარდი. ამ გადაჩეხვის შედეგად თავი გამიტყდა, ერთხელ კი შემთხვევით ნასროლი ქვა მომხვდა.

***— შემთხვევით არ იქნებოდა...***

— როგორ არა, ნამდვილად შემთხვევით ნასროლი ქვა მომხვდა. თურმე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო შორს ისროდა ქვას. ერთ-ერთმა ძალიან შორს გაისროლა და მე მომხვდა თავში.

***— ამას ხუმრობთ თუ მართლა ამბობთ?***

— მართლა ასე იყო.

***— ჩხუბში თავი გატეხილი არ გქონიათ?***

— სკოლის პერიოდში ჩხუბი ფაქტიურად არ მიხდებოდა. ოთხი მეგობარი სულ ერთად ვიყავით და ვინ გვეჩხუბებოდა? ამ ოთხიდან ორი ფიზიკურად იმდენად ძლიერი იყო, რომ მეექვსე კლასში ვიყავით, როდესაც ზრდასრული მამაკაცის გარეგნობა და ძალა ჰქონდათ. ასე რომ, ჩვენთან ჩხუბის სურვილი არავის ჰქონდა.

***— ბავშვობაში ტანმორჩილი იყავით?***

— ყოველთვის საშუალო ტანის ვიყავი. მეგობრების — გოჩას, დათოს, ამირანის ფონზე ყოველთვის საშუალო ტანის ვჩანდი. გარდა იმისა, რომ სამივე ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო, სასმელსაც კარგად იტანდნენ. ჯერ კიდევ მე-9, მე-10 კლასში ვიყავით, როდესაც გოჩას, დათოსა და ამირანს 7-8 ლიტრი ღვინის დალევა შეეძლოთ. ზუსტად ვიცი, რომ ამდენს ვერასდროს დავლევ.

***— ყველაზე ბევრი რამდენი ლიტრი ღვინო დაგილევიათ?***

— 2-3 ლიტრზე ავსულვარ სტუდენტობის პერიოდში რამდენჯერმე. ახლა საერთოდ ველარ ვსვამ.

***— სიცელქის გამო მშობლები გსჯიდნენ?***

— არანაირი დასჯა და ხელის შეხება მშობლებისგან არ მახსოვს. არც ჩემზე, არც ჩემს დაზე და არც ძმაზე მშობლებს ხელი არ აუწევიათ. ამ მხრივ განსხვავებული მშობლები მყავს, მამას არამცთუ ფიზიკურად არ დავუსჯივართ, ხმამაღალი სიტყვაც კი არ უთქვამს. დღემდე მახსოვს მამასგან ხმამაღლა ნათქვამი ერთი სიტყვა — ფეხბურთის თამაშის დროს დინამო „თბილისმა“ ერევნის „არარატის“ კარში საგოლე მომენტის დროს გოლი ვერ გაიტანა და „მამაძაღლებოო“, თქვა. მეტი მამასგან ხმამაღალი სიტყვა არ გამიგია. ისეთი დისციპლინა იყო ოჯახში, რომ მამა რაღაცას როდესაც იტყოდა, ის უნდა გაკეთებულიყო.

***— დედა მკაცრი იყო?***

— დედა ძალიან თბილი ქალია. დედაჩემი სვანია — არლევლიანი. როდესაც რაღაცას დავაშავებდით, სვანური წყევლა-არწყევლის სიმბიოზი ჰქონდა მოფიქრებული: შენ არ მოუკვდი დედაშენს. ეს იყო მისი მაქსიმუმი, რაც შეეძლო ეთქვა. კიდევ ერთი — მამას ვერასდროს ვერაფერს ვეუბნებოდით, როდესაც რაიმე გვინდოდა, ყოველთვის დედას ვეუბნებოდით: დედა, მამას უთხარი, რომ ეს გვჭირდება. დედა შუამავალივით იყო ჩვენსა და მამას შორის.

***— ძმა უფროსია თუ უფროსი თქვენზე?***

— ჩემი ძმა, ჯემალი, ჩემზე უმცროსია, და, მაია, ჩემზე დიდია, მე საშუალო ვარ.

***— ძმასთან ბავშვობაში ჩხუბობდით?***

— არა, არასდროს ჩხუბი არ მოგვდიოდა. ჯემალი ჩემზე სამი წლით უმცროსია, მაია — ერთი წლით უფროსია. როდესაც სახლში რაიმე დაშავდებოდა, ოჯახური საბჭო შეიკრიბებოდა და იტყოდნენ: მაია უფროსია, ჭკვიანია და არაფერს დააშავებდა, ჯემალი ჯერ კიდევ პატარაა. ასე რომ, დანაშაული ჩემი ჩადენილი იყო თუ არა, მაინც მე მბრალდებოდა ყველაფერი. შუათანას ხვედრი ცოტა მძიმე იყო. ახლა ვაღიარებ, რომ 90%-ით მე ვიყავი დამნაშავე, მაგრამ, ის ათი პროცენტიც რომ მე მბრალდებოდა, ამაზე ვბრაზდებოდი.

***— გამოდის, რომ ოჯახშიც ბუნტისთავად ითვლებოდით...***

— არა, უბრალოდ, მეექვსე კლასიდან დამოუკიდებელ და ლაღ ცხოვრებას მივეჩვიე.

***— ბავშვები სკოლიდან „შატალოზე“ ძირითადად სად მიდიოდით?***

— ქობულეთში, ზღვაზე. დაბალ კლასებში მივდიოდით ჩანჩქერზე. ძალიან ლამაზი ჩანჩქერი გვაქვს. ასეთი სილამაზის ჩანჩქერი ცოტა მინახავს. „შატალოზე“ ხშირად მივდიოდით რომელიმე კლასელის ოჯახში.

***— ბავშვობაში სვანეთში ხშირად ჩადიოდით?***

— რა თქმა უნდა. სვანეთში ძირითადად ზაფხულში მივდიოდით.

***— დედამ სვანური გასწავლათ?***

— არა, სვანური არ ვიცი. სვანეთთან ძალიან ტკბილი მოგონებები მაკავშირებს. პირველად ცხენზე სვანეთში შევჯექი. ძალიან მაღალი კლდიდან პირველად კოდორში გადავხტი თავით წყალში.

***— თავი მაშინაც ხომ არ გაიტეხეთ?***

— არა, მაშინ არაფერი მომსვლია, თუმცა, დღესაც მახსოვს, მუხლები როგორ მიკანკალებდა, სანამ წყალში ჩავხტებოდი. დღეს შეიძლება ის სიმაღლე იმდენად დიდად არ მომეჩვენოს, მაგრამ მაშინ პატარა ვიყავი და ჩემთვის საკმაოდ დიდი სიმაღლე იყო.

***— სვანეთში მწვერვალებზე სიარული გიყვარდათ?***

— მთა და მწვერვალებზე სიარული ჩემმა ბიძაშვილმა მერაბ ხაბაზმა შემაყვარა. ის ფანტასტიკური ალპინისტი იყო, საქართველოს ყველა მწვერვალზე იყო ასული. დაწყებული კილიმანჯაროდან, ევერესტიდან, მერაბი ყველა კონტინენტის უმაღლეს მწვერვალზე იყო ნამყოფი. მერაბი საოცარი ადამიანი და უდიდესი ალპინისტი იყო. ის უშბაზე დაიღუპა.

***— ხატვაში დედამ კი დაგიწერათ სკოლაში ორიანი, მაგრამ შემდეგ არაფერი დაგიხატავთ?***

— არა, ხატვის ნიჭი არ მქონდა, ეტყობა, ამ მხრივ ხაბაზების გენმა იმძლავრა, რადგან ტექნიკური საგნები უფრო მიყვარდა. ხატვის კუთხით შემოქმედებითი წვა არასდროს მქონია. დღეს მაქვს ერთი ფიქსატორი — კარგ და ცუდ ნახატს ვარჩევ. დოჩანაშვილს აქვს თავის მოთხრობაში, თმები მიდგება ყალყზე, როდესაც კარგ ნახატს ვხედავ, ამით ვხვდები, რომ კარგია, თორემ სიღრმისეული ანალიზი არ შემიძლია, რატომ ჯობია პიკასო, ვთქვათ, იქს მხატვარს. ფიქსატორი უტყუარად მეტყვის, რომელი მხატვარი რომელს სჯობია.

***— ხაბაზებში პურის ცხობა ბევრს უყვარს?***

— ჩემი მეშვიდე წინაპარი იყო გიორგი ქავჟარაძე, რომელიც ქობულეთში ჩამოვიდა და იქ დასახლდა, სადაც ახლა ვცხოვრობთ. მან დაიწყო პურის ცხობა, აქედან წამოვიდა ჩვენი გვარი — ხაბაზი. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პურს აცხობდა ხაბაზი. გამოთქმა გამიგია: პური მეპურემ გამოაცხოსო, მაგრამ ხაბაზის გამომცხვარი პური მეტად აღარ მინახავს.

# მერაბიშვილს რუსეთის აგენტები შემოეპარნენ

შორენა კოწოწაშვილი

**— დღესაც ალიან ბევრი ადამიანია ხელისუფლებასთან ახლოს, რომლებსაც პირდაპირ შუბლზე აწერიათ, რომ რუსულ ინტერესებს ატარებენ. რატომღაც ხელისუფლება ამას ბოლო მომენტამდე არ ამჩნევს. ერთი წლის შემდეგ კიდევ შეი ლება ვიხილოთ ვინმე მოსკოვში აღიარებითი ჩვენებით — კი, მე ფეესბეს ამოცანები შევასრულე და ამაში მივიღე ეს ჯილდოო. შეი ლება, ვიღაც პუტინმაც დააჯილდოვოს, დღეს კი ის ადამიანი იჯდეს თბილისში და კარნახობდეს პოლიტიკას ქვეყანას პოლიტიკაშიც, ეკონომიკაშიც და სხვა სფეროებშიც. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანებიც მეგულება, რომლებზეც მაქვს საფუ ვლიანი ეჭვი, რომ ისინი დღესაც რუსეთზე მუშაობენ, — აცხადებს ექსპერტი გია ხუხაშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ დღეს ოპოზიციურ ფლანგზე არ არის ლიდერი, რომელსაც საზოგადოება გაჰყვება.**



რა შეცდომები დაუშვა ოპოზიციამ, იქნება თუ არა სოციალური მოთხოვნით გამოსვლები და რა შეთქმულება შეიძლება არსებობდეს რუსული ინტერესებიდან გამომდინარე? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს გია ხუხაშვილთან.

***— ბატონო გია, რა სასტარტო პოზიციებით ხვდება ქვეყანა ეკონომიკური კუთხით 2011 წელს და რამდენად რთული იყო ამ მხრივ გასული წელი?***

— სამწუხაროდ, სასტარტო პირობები საკმაოდ მძიმეა, იმიტომ რომ ქვეყანა განსაკუთრებით წლის ბოლოს დაიტვირთა მაღალი ფასებით, თან იმ ფონზე, როდესაც ინდექსაცია არ მომხდარა არც პენსიების, არც ხელფასების. სოციალური რისკები კიდევ უფრო გაიზარდა. გარდა ამისა, სისტემური ცვლილებები, სამწუხაროდ, არ ჩანს. ეკონომიკური რეფორმის თვალსაზრისით მხოლოდ ფრაგმენტული, ხშირ შემთხვევაში უფრო პროპაგანდაზე ორიენტირებული რეფორმები ტარდება, ვიდრე რეალური. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი დაადასტურა იმ რეიტინგმა, რომელიც ბოლოს გამოქვეყნდა. ასეთი საჩუქარი გაგვიკეთა მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა, რომლის კვლევითაც ჩვენ 139 ქვეყანაში 93 ადგილზე ვართ გლობალური სამწუხარო კონკურენტუნარიანობის კუთხით. აი, ეს არის ის სამწუხარო სურათი, რაც დაიხატა ახალი წლის დამდეგს. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, ამ წლიდან ძველი ვალდებულებების გასტუმრების პერიოდი იწყება. ასე რომ, ვერაფერს კარგს ვერ გეტყვით. მაინც იმედიანად უნდა ვიყოთ განწყობილი, რადგან უნდა ველოდეთ უფრო სასწაულს, ვიდრე რეალურ უკეთესობას.

***— სასწაულის იმედად რატომ უნდა ვიყოთ. პრეზიდენტმა წლის ბოლოს ახალ ეკონომიკურ ტალღაზე გააკეთა აქცენტი...***

— ეს ყველაფერი არის დეკლარაციები. დეკლარაციების მხრივ ჩვენ კარგად გვაქვს საქმე, მაგრამ ჩვენ ყველა ველოდებით, რომ ეს დეკლარაციები რეალური შინაარსით შეივსოს. აი, ამ კუთხით გვაქვს პრობლემები, თორემ დეკლარაციები, რა თქმა უნდა, კარგი და მისასალმებელია. ხელისუფლების მთავარი ლოზუნგია: „გასაკეთებელი კიდევ ბევრია". ცოტა ვილაპარაკოთ და ბევრი ვაკეთოთ, ალბათ, ქვეყნისთვის ასე აჯობებდა. უკეთესი იქნებოდა, სიტყვიდან საქმეზე გადავსულიყავით.

***— დეკლარაციის დონეზე დარჩება იგივე სააკაშვილის სიტყვები, რომლითაცმთავრობას ანტიინფლაციური პროგრამის შემუშავება დაავალა.***

— ის, რომ ანტიინფლაციური ღონისძიებები უნდა გატარდეს, მისასალმებელია. მაგრამ, ეს ხომ არ ნიშნავს სისტემურ ცვლილებებს. ეს არის, ასე ვთქვათ, უკვე არსებული დაავადების მკურნალობის მეთოდები და ის, რომ რაღაც მზარდ ორგანიზმს ხელი შევუწყოთ.

***— ანუ, ბატონო გია, თქვენ მთავრობისგან არ ელოდებით მნიშვნელოვან დადებით ნაბიჯებს?***

— სისტემურს, სიმართლე გითხრათ, ვერაფერს ვხედავ, რომ ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ იქნეს სისტემური ნაბიჯები გადადგმული. ერთიორი რაღაც კი იყო. პოზიტივიც არის. მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი ნეგატიურია. არის პოზიტივი, არის ნეგატივი, მაგრამ საერთო ბალანსი არის უარყოფითი. იგივე, მე როდესაც გითხარით გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგები, იქ არის ძალიან ბევრი პარამეტრით გამოკვლეული. არის რაღაც, რაშიც ჩვენ წარმატებული ვართ. არის რაღაც, სადაც მესამემეოთხე ადგილზე ვართ, მაგრამ ჯამური სიტუაცია არის ძალიან მძიმე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, 93-ე ადგილზე ვართ 139 ქვეყანაში, ეს მაშინ, როდესაც აზერბაიჯანი არის 57-ე ადგილზე, რუსეთიც სადღაც იქვეა. რა თქმა უნდა, იმის თქმა, რომ ჩვენ ძლიერი რეფორმატორები ვართ და ჩვენი ქვეყანა პირველია, სადაც პოსტსაბჭოთა სივრცე დაინგრა, ცოტა არ იყოს, გაუგებარია.

***— ბოლო პერიოდში ბევრი მიანიშნებს, რომ ქვეყანა სოციალური კატასტროფის წინაშე დგას და სოციალურ ნიადაგზე გამოსვლები გარდაუვალია. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— სოციალურ ნიადაგზე საქართველოში გამოსვლები არ მოხდება. არც ამის ტრადიციაა. ქართულ მენტალიტეტშიც ეს არ ჯდება, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში სოციალური ფონი არ გახდება გადამწყვეტი. უბრალოდ, ღია მიზეზი ეს არ იქნება. მიზეზი იქნება რაღაც სხვა, რაზეც, ბუნებრივია, აეგება სოციალური პროტესტი. მაგრამ მთავარი მამოძრავებელი ძალა, გაცხადებული, სოციალური არ იქნება. უბრალოდ, სოციალური ფონი უზრუნველყოფს ამ ყველაფრის მასშტაბებს.

***— ანუ ფიქრობთ, რომ საპროტესტო მუხტი საზოგადოებაში ჯერ კიდევ სერიოზულად არის?***

— საპროტესტო მუხტი არის. უბრალოდ, ის სამზარეულოებშია და არ ჩანს ქვეყანაში ძალა, რომელიც ამ მუხტის მაკონსოლიდირებელი იქნება. ეს არის დღეს პრობლემა. ის კი არა, რომ ვინმე კმაყოფილია ასეთი ცხოვრებით. ადამიანებს ნებისმიერ საზოგადოებაში სჭირდებათ ლიდერი, რომლისასაც ირწმუნებენ, რომლის იმედიც ექნებათ და რომელსაც გაჰყვებიან. ასეთი ლიდერები დღეს საქართველოში არ არიან. არ არიან როგორც ოპოზიციაში, ასევე ხელისუფლებაშიც. ჩვენ ქვეყანაში პოლიტიკური ელიტის ღრმა კრიზისი გვაქვს, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური.

***— პოლიტიკური კუთხით არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რა პროგნოზი შეგიძლიათ გააკეთოთ?***

— მე პროგნოზს ვერ გავაკეთებ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოლიტიკა ქვეყანაში აღარ არსებობს. ამ ეტაპისთვის არ არსებობს პოლიტიკა. რასაც ჰქვია პოლიტიკური პროცესი, ქვეყანაში არ მიმდინარეობს. ჩვენ გვაქვს, ასე რომ ვთქვათ, აბსოლუტურად გაუგებარი სიტუაცია. პროცესი არ მიმდინარეობს. პოლიტიკური კონკურენცია ნულზეა დასული. ძირითადად ადამიანები ერთმანეთის ლანძღვა-გინებით არიან დაკავებული. ეს ხომ არ არის პოლიტიკა. ეს არ არის სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი თემები. შესაბამისად, ხელისუფლებას ამ მხრივ შიდაპოლიტიკური გაგებით არანაირი პრობლემა არ აქვს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, უბრალოდ, არ ჰყავს კონკურენტი. კონკურენტები არც ცდილობენ, ხელისუფლებასთან იპაექრონ. ისინი ძირითადად დაკავებული არიან ურთიერთტალახის სროლით და მეტით არაფრით. თუ ვინმე რაღაც საკითხებს აყენებს, ესეც ძალიან პაროდიულად გამოიყურება, იმიტომ რომ ამ ქვეყანაში, სადაც არის გლობალური და მასშტაბური პრობლემები, მაღალი პოლიტიკური რისკები, საუბარი რაღაც წვრილმანებზე და ამაზე აქცენტირება პარტიის მხრიდან და მთელი რესურსების ამაში ჩადება იმ პარტიის მხრიდან, რომელსაც ამბიცია აქვს ხელისუფლებაზე, ესეც ძალიან არასერიოზულია.

***— ამ შემთხვევაში ნინო ბურჯანაძეს გულისხმობთ?***

— არა, კონკრეტულად არავის ვგულისხმობ. ჩათვალეთ, მე ყველას ვგულისხმობ. მე ვერავის გამოვარჩევდი დღეს, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი როლი რომ შეჰქონდეს ქართულ სინამდვილეში.

***— ის რვა პარტია, რომელიც ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ესაუბრება, აცხადებს, რომ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. ასე არ არის?***

— მუშაობს, მერე რა. კი ბატონო, გადადგან წინ ნაბიჯები. მე მხოლოდ გამიხარდება. მაგრამ, ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობს. პოლიტიკური პროცესი დაკონსერვებულია. კარგია, რაც კეთდება, ეს ცუდი კი არ არის. პოლიტიკური წონის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ისინი ვერ განიხილებიან ქვეყანაში პოლიტიკური ბალანსის შემქმნელ ძალად.

***— რამ ჩაკლა პოლიტიკური პროცესი, ოპოზიციის არასწორმა ნაბიჯებმა და სისუსტემ?***

— ყველაფერმა ერთად. ამას ჰქონდა თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ამისთვის ყველაფერი გააკეთა როგორც ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ. იმისათვის, რომ მთელი პოლიტიკური ელიტა საბოლოოდ დაშორებოდა ქართველ საზოგადოებას და გაჩენილიყო ეს უფსკრული, ანუ პოლიტიკური ელიტა დღეს ცხოვრობს ცალკე ცხოვრებით, ქართველი საზოგადოება — ცალკე ცხოვრებით. ორივე თავისი პრობლემითაა დაკავებული.

***— ფაქტია, არც ისე ძნელი გასათვლელი იყო, როცა ოპოზიცია ასეთ ნაბიჯებზე მიდიოდა. ვგულისხმობ იგივე ხელისუფლებასთან ვაჭრობას, ერთმანეთთან დაპირისპირებას.***

— ეს არც მე მომწონს, არც თქვენ. საერთოდ, საქართველოში არავის მოსწონს. სამწუხაროდ, ამ რეალობაში გვიწევს ცხოვრება.

***— არსებობს აზრი, რომ ეს შავი პიარი და ოპოზიციის დაპირისპირება ხელისუფლებისგანაც იყოს მართული.***

— რა მნიშვნელობა აქვს შედეგის მხრივ ამას. შეიძლება, ხელისუფლების მხრიდან მართულიც არის სხვადასხვა მეთოდით. მეორე მხრივ, თვითონ ოპოზიციის, ასე ვთქვათ, ხშირ შემთხვევაში ფატალური შეცდომებიც იყოს, მაგას რა მნიშვნელობა აქვს. შედეგი გვაქვს ის, რაც გვაქვს. შედეგი ის არის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი არ მიმდინარეობს. ხელისუფლებაა მაგარი თუ ოპოზიციაა სუსტი, ეს უკვე გემოვნების საკითხია. საბოლოო ჯამში, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

***— ბატონო გია, არაერთი პოლიტიკოსი მიანიშნებს, რომ უკვე იგრძნობა მოქმედებები ხელისუფლების შიგნით. გააქტიურდა შიდა გადაჯგუფება? ფაქტია, თავისუფლების ინსტიტუტმა ღიად გამოხატა თავისი პოლიტიკური ამბიციები.***

— ეს ბუნებრივია. თუ ჩვენ ვიგულისხმებთ 2013 წელს, გველოდება საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ახალი პრეზიდენტი უნდა მოევლინოს ქვეყანას, ბუნებრივია, ასეთი დაჯგუფებები გაჩნდება. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ალბათ, ეს ბრძოლები იქნება, მაგრამ ქვეყნისვის სავალალო იქნება, თუ პოლიტიკური ბრძოლა ამოიწურა ერთი პარტიის შიგნით ბრძოლით და არა პარტიებს შორის დაპირისპირებით. ეს რას ნიშნავს: მაშინ ეს არის საბჭოთა კავშირი. იქაც კი პირველი მდივანი ვინ გახდებოდა, ერთპარტიულ სისტემაშიც კი ბრძოლები იმართებოდა. თუ ჩვენც ერთპარტიულ სისტემას ვქმნით და შიდა ინტრიგებით წყდება ქვეყნის ბედი, მაშინ ჩვენც შორს არ წავსულვართ იმ ქვეყნიდან, საიდანაც ამდენი სისხლისა და გაჭირვების ფონით გამოვედით.

***— არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ფიქრობთ, რომ სააკაშვილი უპრობლემოდ გადავა პრემიერის პოსტზე?***

— მე ასე მარტივად არ შევხედავდი ამ საკითხს, იმიტომ რომ რეალურად დღეს ქვეყნის ბედი ქვეყნის შიგნით არ წყდება. ეს კიდევ ერთი უბედურებაა, ანუ შიდა პოლიტიკური პროცესი რომ არ მიდის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებას უფრო დიდი რისკები არ აქვს. გარედან მომდინარე პოლიტიკური რისკები, შიგნიდან მომდინარე შიდა ეკონომიკური და სოციალური რისკები. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: სანაკოევია ამ დღეების სკანდალი. სხვათა შორის, მე 2-3 წელია ვამბობ, რომ ეს ადამიანები, ე.წ. ოსური სახელმწიფოს ელიტა, რომელიც დაიახლოვა ჩვენმა ხელისუფლებამ, ძალიან სერიოზული ეჭვები იყო, რომ ისინი, ფაქტობრივად, მათი ქმედებებიდან გამომდინარე, რუსეთთან თანამშრომლობდნენ, ანუ რუსულ ამოცანებს ასრულებდნენ. ამის შედეგად კი მოხდა ის, რაც მოხდა 2008 წელს. დღეს ეს ადამიანი პირდაპირ ამბობს, მე ვმუშაობდიო. ამაზე ჩვენს ხელისუფლებას ჯერ კიდევ როდის ვეუბნებოდით. ესენი არიან საეჭვო ადამიანები, რომლებიც ფაქტობრივად მუშაობენ რუსულ გეგმაზე და არა მხოლოდ ისინი. დღესაც ძალიან ბევრი ადამიანია ხელისუფლებასთან ახლოს, რომლებსაც პირდაპირ შუბლზე აწერიათ, რომ რუსულ ინტერესებს ატარებენ. რატომღაც ხელისუფლება ამას ბოლო მომენტამდე არ ამჩნევს. ერთი წლის შემდეგ კიდევ შეიძლება ვიხილოთ მოსკოვში აღიარებითი ჩვენებით, რომ კი, მე ფეესბეს ამოცანები შევასრულე და ამაში მივიღე ეს ჯილდოო. შეიძლება, ვიღაც პუტინმაც დააჯილდოვოს და დღეს ის ადამიანი იჯდეს თბილისში და კარნახობდეს პოლიტიკას ქვეყანას პოლიტიკაშიც, ეკონომიკაშიც და სხვა სფეროებშიც. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანებიც მეგულება, რომლებზეც მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი დღესაც რუსეთზე მუშაობენ.

***— კახა ბენდუქიძეზე მიანიშნებთ?***

— არა, მე არავისზე არ მივანიშნებ.

***— ბატონო გია, თქვენ აღნიშნეთ, რომ რუსული აგენტურა გამორჩა ქართულ ხელისუფლებას თავის რიგებში. იქნებ მერაბიშვილს არც კი გამორჩა, მაგრამ დროებით დახუჭა თვალი?***

— ფაქტია, რომ გამორჩა. ადამიანი ამბობს, ფეესბეზე ვმუშაობდიო. ეს ადამიანი ძალიან დიდხანს აყალიბებდა იდეოლოგიურ ფრონტს, ქმნიდა, ასე ვთქვათ, პოლიტიკას ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ. კოკოითი ფანდარასტ მე ხომ არ გამიკეთებია? ეს იყო მისი გეგმა, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ფეესბეზე მუშაობდა და ის კოკოითი ფანდარასტი, ეს პოლიტიკური ხაზი მოფიქრებული იყო ფეესბეში კონკრეტული მიზნით. სანაკოევმა თვითონ აღიარა, ე.ი. გამორჩა ხომ?

***— არსებობს ასეთი აზრიც, რომ შეიძლება ეს პროექტი ხელისუფლებამ რუსეთთან ერთად განახორციელა და ამიტომაც დღემდე პასუხი არავის მოუთხოვია, რამდენად კანონიერად იხარჯებოდა ის მილიონები, რომელსაც ბიუჯეტიდან იღებდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია.***

— შეთქმულების თეორიაში ნუ შევალთ. თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია. იმედია, ეს შეგნებულად არ ხდებოდა, იმიტომ რომ ეს კიდევ უფრო ცუდი სცენარია, რაზეც თქვენ მიმანიშნებთ.

თეა მარხვაი ე

**ეროვნულ მოძრაობაში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას გამორჩეული ადგილი ეკავა. პარტია ძალიან ძლიერი შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული და მათ ყველა ანგარიშს უწევდა. ედეპეს ყველა დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო. მერე ყველაფერი აირია და დღეს იმ პარტიისგან ფაქტიურად არაფერი აღარ არის დარჩენილი.**

რატომ იყო ედეპე დასავლეთისა და რუსეთისთვის მიუღებელი, რა რჩევებს აძლევდა მათ პატრიარქი, როგორ გადაიქცა სიონის ეზო ეროვნული მოძრაობის ბუდედ, რა მოხდა ედეპეში და როგორ შეიქმნა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პარტია, ამის შესახებ ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გიორგაძე გვესაუბრება.

**მამუკა გიორგაძე:**

— ჩვენს თაობას ჰქონდა იმის ფუფუნება, რომ სულიერებაზე ეფიქრა. წინა თაობისაგან განსხვავებით, ჩვენ გვქონდა საკუთარი თავის პოვნის შესაძლებლობა. ჩვენ ჩვენს ადგილს ვეძებდით ყველგან — შემოქმედებაში, სპორტში, ხელოვნებაში. ამ თაობის ნაწილი ეძებდა ეროვნული ცნობიერების საფუძვლებს. ამ თაობის გარკვეულმა ნაწილმა აღმოაჩინა, რომ რაღაცა დევს საქართველოს ისტორიაში, ქართულ ლიტერატურაში, აღმოაჩინა, რომ ქართულ სულში ისეთი რამე დევს, რომელიც არათუ ყოველდღიურია, არამედ საკაცობრიო მასშტაბების დონემდეც კი ადის. სხვადასხვა შეხედულებების ადამიანები ამ ძიებამ მიგვიყვანა ეროვნულ მოძრაობამდე და ეკლესიამდე. ეკლესიაში უკვე ვცანით ჩვენი დანიშნულებაც, ჩვენი პიროვნებაც და მომავალი ცხოვრებაც, ასევე განვიცადეთ ის ბედნიერება, რაც თავისუფალ ადამიანს ახასიათებს. შემდეგ დაიწყო ამ ყველაფრისთვის ორგანიზებული სახის მიცემა. სიონის საპატრიარქო ტაძრის საკურთხეველში მივედით იმ დასკვნამდე, რომ ყოველივე ამის რეალიზებისთვის საჭიროა სტრუქტურის შექმნა. მივხვდით, რომ საჭირო იყო ამ ღირებულებების მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდის სიტყვებით გადმოცემა, რაც პროგრამა წესდებაში გამოიხატებოდა.

***— როდიდან დაიწყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება?***

— 1978-1979 წლებში. ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ ბიბლიოთეკებში, ნაცნობების ოჯახებში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საუკუნის დასაწყისში ილია ჭავჭავაძის მიერ იყო ორგანიზებული. შემდეგ კედიას, გაბაშვილის, ვაჩნაძის, ამირეჯიბის, გვაზავას, ყიფშიძეების თაოსნობით შეიქმნა სერიოზული პარტია. მათ მიერ შექმნილი წესდება ზუსტად ასახავს იმ მოთხოვნებს, რომელიც სჭირდება ჩვენს ერს და რომლითაც ვაპირებდით ჩვენი თვითრეალიზაციის განხორციელებას. ძველ მასალებს რომ გადავხედეთ, მივხვდით, რომ რაღაც აკლდა. ეს იყო რელიგიური საკითხი. ჩვენ რელიგიური ადამიანები ვიყავით. ამიტომაც გადავწყვიტეთ, წესდებაზე რელიგიური საკითხებიც შეგვეტანა.

***— ედეპეს პარტიის ლიდერები პატრიარქის სტიქაროსნები იყავით?***

— დიახ, ჩვენ პატრიარქის პირველი სტიქაროსნები ვიყავით. ეს ჩემთვის ძალიან საამაყოა. რელიგიური მომენტი, როგორც უკვე გითხარით, ედეპეს ძველ დოკუმენტებში არ ჩანდა. ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე თვე ვიმუშავეთ ძველ დოკუმენტებში. ამ ძიებამ ძალიან საინტერესო და ჩვენთვის სასიხარულო შედეგი მოგვცა.

***— რა შედეგი?***

— რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად დავადგინეთ, რომ ეპისკოპოსი ნაზარი აფინანსებდა სპირიდონ კედიას მიერ გამოცემულ გაზეთ „საქართველოს“. დავადგინეთ, რომ ამბროსი ხელაია და ლეონიდე ოქროპირიძე ეპისკოპოსობაში ლოცავდნენ ამ პარტიას. მივხვდით, რომ ედეპე იმდენად ბუნებრივად იყო დაკავშირებული სულიერებასთან, რომ ამის აღნიშვნა მათ არაფერში სჭირდებოდათ, თანაც მაშინ საზოგადოება რელიგიური იყო და ამ თემის წინ წამოწევა საჭირო არ იყო. მეოცე საუკუნის ბოლოს რელიგიურობის ხაზგასმა გახდა საჭირო.

***— პატრიარქმა რა გითხრათ, როცა გაიგო, რომ პარტიას ქმნიდით?***

— პატრიარქმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. ამის მიუხედავად, პრაქტიკულად, ამ სამუშაოებს წარმართავდა პატრიარქი.

***— როგორ წარმართავდა?***

— ყოველკვირეული ქადაგებები და საუბრებით, რომელიც ჩვენთან ჰქონდა. მისი სიტყვები გვაძლევდა იმის საფუძველს, რომ ჩვენ უფრო



# კიტოვანთან და იოსელიანთან სუფრაზე შეგვარიგეს

## ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სიონის ეზოში შეიქმნა

მეტად გავმხდარიყავით ეროვნული ინტერესების დამცველნი, გვაძლევდა იმის საფუძველს, რომ ჩვენ თავზე აგვეღო ის პასუხისმგებლობა, რასაც საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლა ერქვა. როგორც არწივი გადაეფარება თავის მართვეებს, ისე გვყავდა პატრიარქი გადაფარებული. მის ფრთებქვეშ თავს მშვიდად ვგრძნობდით. ყველა გაჩენილ კითხვაზე პასუხს ვიღებდით მისი უწმინდესობის საუბრისგან. თითქოს გრძნობდაო, რა საკითხი გვაინტერესებდა. სახარებიდან ისეთ ციტატას გვეტყოდა და ისეთ განმარტებას მოგვცემდა, რომ ცოტა ხანში ის აისახებოდა პროგრამის შესაბამის პუნქტად. კარგა ხნის მუშაობის შემდეგ ედეპე სერიოზულ და მძლავრ პარტიად ჩამოყალიბდა. მან ნამდვილად შეასრულა ის ფუნქცია, რომელიც უნდა შეესრულებინა.

***— როდიდან დაიწყეთ აქტიურობა?***

— 1979-1983 წლებში ძალიან აქტიურად ვმუშაობდით. ამ ოთხი წლის განმავლობაში ვავრცელებდით აკრძალულ ლიტერატურას.

***— რა ტიპის ლიტერატურას ავრცელებდით ძირითადად?***

— რელიგიურ ლიტერატურას ვავრცელებდით. დღეს სახარებისა და წმინდა მამათა გამონათქვამების ყიდვა ყველგან შეიძლება. მაშინ ეს ლიტერატურა დეფიციტური იყო. სასულიერო პირებსაც კი იშვიათად ჰქონდათ მსგავსი ლიტერატურა. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, საპატრიარქოს არქივსა და ბიბლიოთეკაში მოგვეძია ასეთი ლიტერატურა. რელიგიური ლიტერატურის მოძიება მრევლთანაც შეიძლებოდა. ეს იყო მრევლი, რომელსაც გავლილი ჰქონდა გასული საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლების რეპრესიები. მათ ძალიან ბევრი და საინტერესო ლიტერატურა ჰქონდათ დამალული, რომლის გამოჩენასაც ვერ ბედავდნენ. ამ ხალხისგან ვიღებდით მნიშვნელოვან ინფორმაციებს. რელიგიური მასალების ბეჭდვა და გავრცელება დიდ რისკთან და შრომასთან იყო დაკავშირებული. ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ახალი არ არის. შეიძლება, საზოგადოებამ არ იცოდეს, რომ ეკლესიის წინააღმდეგ მაშინ ძალიან სერიოზულად მიმდინარეობდა ბრძოლა.

***— ამას აშკარა სახე ჰქონდა?***

— აშკარა სახე ჰქონდა. მახსოვს, აღდგომა ღამეს ეკლესიაში შემოაგდეს ცრემლსადენი პაკეტი. ტაძარში აფეთქების ხმა გაისმა, რასაც ჭყლეტა მოჰყვა. იყო ერთი ასეთი ღირსეული ქართველი ადამიანი — ბაბო დადიანი. მას ჭყლეტაში ნეკნიც კი გაუტყდა. ტაძრებში კომკავშირლების შემოვარდნებიც ხშირად ხდებოდა.

***— თქვენც მოესწარით კომკავშირლების შემოვარდნას?***

— რა თქმა უნდა.

***— მერე, ედეპეს ბიჭებმა კომკავშირლებს ეს როგორ შეარჩინეთ?***

— ჩვენ არც შეგვირჩენია. არც ღმერთს შეურჩენია მათთვის ეს. ამ ამბებიდან რამდენიმე წელიწადში კომკავშირი საერთოდ გაქრა. დღეს მისი ხსენებაც კი აღარ არის. თუ ვინმე ახსენებს, ახსენებს უარყოფითად. ძალიან ბევრი ადამიანი კომკავშირში კარიერას ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლით იკეთებდა.

***— რა მეთოდებს იყენებდნენ კომკავშირლები ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისას?***

— უამრავი მეთოდი ჰქონდათ. მაგალითისთვის ვითომდაც მთვრალი კომკავშირლები შემოდიოდნენ ეკლესიაში და პროვოკაციულად იქცეოდნენ — სიგარეტს მოუკიდებდნენ ანთებულ სანთლებს და იწყებოდა ერთი ამბავი, ანდა მასაში ჩადგებოდნენ და წირვის დროს შეურაცხყოფას აყენებდნენ სასულიერო პირებს. ეს ყოველივე ჩვენი მხრიდან აქტიურობას ითხოვდა. ჩვენც ვაქტიურობდით. დღეს ტაძარში პატარა სტიქაროსნების სიმრავლეა. მათ რომ ვუყურებ, ძალიან მიხარია. ძალიან მიხარია ისიც, რომ ტაძრებში ბევრი ხალხი დადის. დღეს სიონის საკურთხეველში იმდენი ადამიანი დგას, რამდენიც მთელ ტაძარში არ იყო ხოლმე წირვა-ლოცვის დროს. ჩვენ აკრძალული ლიტერატურის გავრცელების შემდეგ მანიფესტაციებისა და აქციებიც მოწყობაზეც გადავედით. 1983 წელს დაგვაკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხშირი სტუმრები გახლდით. სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით გვიბარებდნენ ხოლმე. 1985 წლიდან დავიწყეთ და დავიწყეთ.

***— უხეშად რომ ვთქვათ, აიშვით?***

— არა, აშვება იმ მომენტში არ ყოფილა. აშვებამდე ცოტა გვაკლდა. აშვებას რაც შეეხება, ეს დაიწყო 1987 წლიდან: იმ სამუშაოებმა, რომელიც ჩვენ მანამდე გვქონდა ჩატარებული, განაპირობა ჩვენი პარტიის სიმრავლე. პარტიაში ძალიან ბევრი ადამიანი შემოდიოდა.

***— რა კატეგორიის ადამიანები შემოდიოდნენ ედეპეში?***

— ესენი იყვნენ ძირითადად მრევლის წევრები. ჯერ ეკლესიაში მოდიოდნენ, შემდეგ ჩვენთან ერთად — ეროვნულ მოძრაობაში. 1988-89 წლებში სიონის ეზოში იყო ეროვნული მოძრაობა. სიონის ეზო ხალხით სავსე, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ურწმუნო იყო თუ მორწმუნე. ყველა აღმსარებლობის ადამიანი იყრიდა იქ თავს. სიონის ეზო იყო ეროვნული მოძრაობის ბუდე და თავისუფლების კუნძული. რაღაც დროის შემდეგ ამ ყველაფერმა სიონის ეზოდან რუსთაველის გამზირზე გადაინაცვალა.

***— ედეპე იყო ძალიან ძლიერი პარტია. თქვენ იყავით ძალიან ანგარიშგასაწევი ძალა. მერე ეს პარტია ფაქტიურად დაიშალა. რატომ მოხდა ის, რაც მოხდა?***

— სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ამოცანის წინაშე ვიდექით. 1979-1983 წლებში ამოცანა გვქონდა, შექმნილიყო ორგანიზაცია, შექმნილიყო იდეური ბაზა, განხორციელებულიყო აქციები. ეს ამოცანა წარმატებით გადავჭერით. 1987-1992 წლებში პარტიის წინაშე სხვა ამოცანები დადგა, რომლებიც ასევე გადავჭერით, 1992 წლიდან კი სხვა ამოცანის წინაშე დავდექით. ედეპეს ძირძველმა წევრებმა, რომელთა მხრებზეც გადაიარა რთულმა პერიოდებმა, ჩათვალეს, რომ ამოცანა შესრულებულია. მხედველობაში საქართველოს დამოუკიდებლობა მაქვს. ვინც არ აპირებდნენ სუფთა პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრებას, წავიდნენ საკუთარი ინტერესების სფეროების მიხედვით.

***— რა გზებით წავიდნენ?***

— 30 კაცი გახდა სასულიერო პირი. დღეს ისინი ღირსეული მოძღვრები არიან. რამდენიმე ადამიანი წავიდა თავის სფეროში. ისინი თავიანთი სფეროს გამორჩეული პროფესიონალები არიან. უმეტეს მათგანს საქართველოდან მოუწია წასვლა. სადაც წავიდნენ, ყველგან წარმატებული გახდნენ. მათი წასვლა ჩვენთვის დიდი დანაკლისი იყო. ამ დანაკლისის უცბად შევსება ძალიან რთული აღმოჩნდა. ჩვენ წინაშე სერიოზული, კარგად მომზადებული ხალხი ამ სამუშაოს აღარ ასრულებდა. ახალი წევრები მოწოდების სიმაღლეზე ვერ იყვნენ. ადამიანურმა სისუსტეებმაც იჩინა თავი. 15-წლიანი დაძაბული ცხოვრების შემდეგ ცოტა მოვეშვით. კონტროლის ისეთი მექანიზმები აღარ იყო საჭირო, რაც მანამდე გვქონდა. პარტიული აპარატი ველარ ამუშავებდა პარტიის წევრებს. პარტიის წევრთა რაოდენობა უკვე 10 ათას კაცს აღწევდა. გარკვეულმა მტრულმა ძალებმა დაიწყეს მუშაობა პარტიის შიგნით.

***— რა მიზნით?***

— პარტიის მუშაობაში ხელის შეშლის მიზნით.

***— ვინ იყვნენ ეს მტრული ძალები?***

— მაშინდელი ხელისუფლება, მოსკოვი. არც საერთაშორისო ორგანიზაციები გვწყალობდნენ მაინცდამაინც.

***— იმათ რაღა უნდოდათ, თქვენ ხომ ყოველთვის პროდასავლურებად ითვლებოდით?***

— ვითვლებოდით, რომ პროდასავლური ორიენტაციის ორგანიზაცია ვიყავით, მაგრამ არ გვწყალობდნენ ჩვენი რელიგიური მომენტების გამო. სერიოზულად იმუშავა რუსეთის აგენტურამ და საქართველოს ხელისუფლებამ. ამან განაპირობა, რომ მზად აღარ აღმოვჩნდით იმ ამოცანის შესასრულებლად, რომელიც ჩვენ წინაშე იდგა.

***— იმელის პარლამენტში ედეპეს წევრები სულ ჩხუბობდით. რატომ იწყებდით ჩხუბს?***

— იმელის პარლამენტი განსაკუთრებული მოვლენა იყო. ამ პარლამენტში ჩხუბი არავის უკვირდა. იქ ძირითადად თვითმყოფადი ადამიანები იყვნენ წარმოდგენილი. იქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყანაზე გარკვეული პრინციპებით ცხოვრობდნენ. რა თქმა უნდა, იყო ბალასტიც, რომელიც ყველაფერზე ასწევდა ხელს, მაგრამ თვითმყოფადი ადამიანები გაცილებით მრავლად იყვნენ. დღევანდელ პარლამენტში დედა რომ შეაგინო ვინმეს, კონიუნქტურის გამო ხმას არ ამოიღებს. იმ პარლამენტში ამა თუ იმ ადამიანისთვის მისი შეხედულების საწინააღმდეგო რამე რომ გეთქვა, იწყებოდა ქაოსი. მაშინ საქართველოსთვის ძალიან პრინციპული საკითხები წყდებოდა. შეუძლებელი იყო, ამ საკითხებზე არ გეჩხუბა. როგორ შეიძლებოდა, ჩხუბი არ ამტყდარიყო, როცა საქართველოს დსთ-ში შეყვანის საკითხი წყდებოდა, ანდა, როგორ არ გვეჩხუბა, როცა გვიმტკიცებდნენ, რომ ვითომ სამშვიდობო ჯარების შემოყვანა კარგი იდეა იყო.

***— ამ ჩხუბების შემდეგ იოლად ურიგდებოდით ოპონენტებს?***

— რა თქმა უნდა. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ერთმანეთს პატივს ვცემდით. ერთხელ კიტოვანთან და იოსელიანთან მოგვიხდა დაპირისპირება. ეს ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მათ მომხრეებთან ჯერ დარბაზში ვიჩხუბეთ, შემდეგ — დერეფანში. სერიოზული ჩხუბი გაიმართა რუსთაველზეც. ამ დაპირისპირებაში ადამიანების გარკვეული ჯგუფი ჩაერია და დაპირისპირებული მხარეები ერთად აღმოვჩნდით სუფრაზე.

***— ქართულად შერიგებულხართ...***

— ამ სუფრაზე მოვიდნენ უმეტესობა კიტოვანის მომხრეები. სანამ შემოვიდოდნენ სახლში, ეზოდან იწყებდნენ კიტოვანის გამხნევებას — ყვიროდნენ, ბატია, ეს რა გაკადრეს ამ ნაძირლებმაო. ოთახში რომ შემოვიდოდნენ და შეგვხედავდნენ, თავად ვარდებოდნენ იდიოტურ სიტუაციაში. სხვათა შორის, ესენი ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც მერე კიტოვანი პირველებმა მიატოვეს. დაპირისპირებული ადამიანები ერთმანეთის მიმართ კარგად ვიყავით განწყობილი. ჩვენ ნოდარ ნათაძეს სულ ვეწინააღმდეგებოდით, მაგრამ პატივისცემა ერთმანეთის მიმართ არასდროს დაგვიკარგავს. იგივე შეიძლება ითქვას თამრიკო ჩხეიძეზეც. ეს პატივისცემა დღესაც ძალიან დიდი გვაქვს.

***— მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა. ადამიანები, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანეთ, არსად ჩანხართ. პოლიტიკურ ავანსცენაზე სხვები არიან. ამის გამო გული არ გწყდებათ?***

— ამაზე ნამდვილად არ მწყდება გული. გული მწყდება იმაზე, რომ ის ვითარება არაა, რისთვისაც ვიბრძოდით. გული მწყდება იმაზე, რომ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეზე, ერთხელაც არ ახსენებენ იმ ადამიანებს, რომლებმაც საქართველოს თავისუფლება მოუტანეს. გული მწყდება იმაზე, რომ ეკლესიის წინააღმდეგ მიდის ბრძოლა. გული მწყდება, რომ დღეს ხელისუფლება იაკობ გოგებაშვილის სახელით ებრძვის ქართულ განათლებას. გული მწყდება იმაზე, რომ ილია ჭავჭავაძის სახელით ებრძვიან ილიას იდეებს. გული მწყდება იმაზეც, რომ ედეპეს ნარჩენებს ხელისუფლება მხოლოდ იმიტომ აფინანსებს, რომ მათ გია ჭანტურიას კურსი ჩაკლან.

# რუსეთთან ბრძოლა იოლი არ არის

## რატომ ამართლებს ვახტანგაშვილი ხელისუფლებას

გულიკო ბალა ე

### ინტერვიუ ყოფილ დეპუტატ გურამ ვახტანგაშვილთან

*— ბატონო გურამ, ვლადიმერ სანაკოევის აღსარება როგორ მოგეწონათ?*

— როგორ უნდა მომეწონოს, წყალწაღებული კაცი ხავსს ეჭიდებოდაო, მაგაზეა ნათქვამი. რა მოსაწონია, კაცი ამბობს, აგენტი ვარო.

*— ისე, ხომ გამოჩნდა, რომ ის გეგმა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებდა ცხინვალის რეგიონში, რუსეთის გეგმაში შედიოდა?*

— მთლად ასე თქმა არ შეიძლება. იმ დროს რაც კეთდებოდა, აბსოლუტურად მთელი საქართველო, ყველა ოპოზიციური პარტია, მთლიანად პარლამენტი და მოსახლეობა იმ პროექტს დადებითად აფასებდა. არავის უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოუხატავს.

*— გაგახსენებთ, რომ მაშინ მე თქვენ ძალიან მწვავედ გესაუბრეთ, კატეგორიულად ვაცხადებდი, რომ ეს იყო ძალიან ცუდი პროექტი, ცუდი სვლა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. ახლა ხომ მიხვდით, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის „აღდგენა", ფაქტობრივად, ამ პროექტით დაიწყო?*

— მთლად ასე თქმა არ შეიძლება, „სამხრეთ ოსეთის" აღდგენა ამ პროექტით დაიწყოო. ის პროექტი რომ არ ყოფილიყო, ომი მაინც მოხდებოდა. ოსები და რუსები მაინც შემოგვიტევდნენ. ომი გარდაუვალი იყო. უბედურება ისაა, ვლადიმერ სანაკოევი რომ ამბობს, აგენტი ვიყავი და რუსეთთან ვთანამშრომლობდიო. ის პროექტი რომ არ ყოფილიყო, რა იქნებოდა დღეს? დიდი და პატარა ლიახვის, ფრონის ხეობასა და ახალგორზე რუსები ყოველთვის პრეტენზიას აცხადებდნენ. ომი მაინც მოხდებოდა. 2006-ში მოხდებოდა, 2007-ში, 2008-ში თუ 2008-ში, ადმინისტრაცია იქნებოდა თუ არა, ისინი მაინც იმას განახორციელებდნენ, რაც ჰქონდათ დაგეგმილი.

*— ასე არ არის. ჯერ ერთი, ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია ომის თავიდან ასაცილებლად. მეორეც — რომ ვთქვათ, ომი გარდაუვალი იყოო და თავი დავიმშვიდოთ, ასე საუბარი როგორ შეიძლება?*

— თავის დამშვიდება როგორ შეიძლება. ხეობელები, დევნილები და ხელისუფლება ალბათ თავს არ იმშვიდებენ. როგორ შეიძლება, ნორმალური ადამიანი იმ ამბის შემდეგ, რაც ცხინვალის ტრაგედია მოხდა — იმდენი ადამიანი გამოიდევნა, იქაურობა მთლიანად გადაწვეს, რომელიმე ქართველი სამაჩაბლოს ან ცხინვალის რეგიონის დაკარგვის შემდეგ მშვიდად იყოს. ვფიქრობ, არც ერთი ნორმალური ქართველი დამშვიდებული არ უნდა იყოს იმის გამო, რაც მოხდა ცხინვალის რეგიონსა და კოდორის ხეობაში. თავის დამშვიდება რას ჰქვია? ნორმალური ადამიანი, ნორმალური ქართველი ან, საერთოდ, საქართველოს მოქალაქე დამშვიდებული არ უნდა იყოს.

*— ხელისუფლების ყველაზე დიდი დანაშაული მაინც ის იყო, რომ იქაურ ქართველ მოსახლეობას იმ უკანონო არჩევნებში მიაღებინა მონაწილეობა და დიმიტრი სანაკოევი აარჩევინეს. სხვა შეფასებებს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ დიდი უსინდისობა იყო ხელისუფლების მხრიდან?*

— არა, არა მთლად ასე არ არის...

*— როგორ არა? ხელისუფლებას რატომ იცავთ?*

— მე მაშინ დეპუტატი ვიყავი და ვიცი. 20 წელი უძრაობა იყო და უკეთესობისკენ ნაბიჯი არ იდგმებოდა. ამიტომ ხეობის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ პროექტის განხორციელებას დადებითად შეხვდა, იქნებ ეს იყოს ჩვენი საშველიო. გვეგონა, დროებითი ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი დაფინანსება, ხეობებში საწარმოების გახსნა და ყველანაირად განვითარება ოსებს საშუალებას მისცემდა, ცხინვალიდან გამოვიდოდნენ და ქართველებთან თანამშრომლობას დაიწყებდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა — კოკოითმა ყველა გზა ჩაკეტა. დაძაბულობაც არ იყო, მაგრამ კოკოითმა, ხალხს რომ არ დაენახა, რა ალმშენებლობითი სამუშაოები მიმდინარეობდა ხეობაში, გზა გადაკეტა.

*— უძრაობა არ სჯობდა ტრაქტორებით ქართული სოფლების გადახვნას და მიწასთან გასწორებას?*

— უძრაობა თუ სჯობდა, 1990-91 წლებში ეროვნული მოძრაობა არ უნდა დაგვეწყო. საქართველოში 9 აპრილს ძალიან ცუდი რამ მოხდა, მაგრამ ყაზახეთსა და სხვა რესპუბლიკებში 9 აპრილი არ მომხდარა, გარდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა, მაგრამ ყველა დამოუკიდებელი გახდა. ყველაზე პირველები ჩვენ გამოვედით. ყველაზე პირველად ჩვენ დავეჯახეთ. ხომ შეიძლებოდა, არ გვებრძოლა. უძრაობას დიდი ხანია შევეჩვიეთ.

*— მე მგონი, ახლა გინდათ, ეროვნულ მოძრაობას დააბრალოთ ის დანაშაული, რომელიც ამ ხელისუფლებამ ჩაიდინა.*

— არა. ხომ შეიძლებოდა, 9 აპრილი სულ სხვანაირად დამთავრებულიყო და ქართველები არ დაღუპულიყვნენ. ხომ შეიძლებოდა, პირველებს ჩვენ არ დაგვეწყო. მე თვითონ ეროვნულ მოძრაობაში ვიყავი და მე თვითონ ხეობელი 30 კაცი, რომლებიც ვაჟკაცები არიან და დღეს დევნილია, ყოველდღე ბუნკერში ჩამომყავდა გამსახურდიას დასაცავად. ბოლოს უკვე რომ აღარ შეიძლებოდა, ისე შემოუტია მაშინდელმა ოპოზიციამ. თვითონ ბატონმა ზვიადმა მითხრა, ეს ბიჭები უკან წაიყვანე, ხეობაში ოსებმა არაფერი დაიწყონო. უკან გამოგზავნა. თავიდანვე ჩართული ვიყავი ამ ამბებში, მაგრამ ჩვენ ყველაფერი ჩქარა გვინდა. უძრაობით რომ ყოფილიყო, ხომ შეიძლებოდა, 9 აპრილი რომ არ მომხდარიყო და ნელ-ნელა გადაგვედგა ნაბიჯები.

*— 9 აპრილი სხვა ანალიზის თემაა. რომ არ აღდგენილიყო ე.წ. სამხრეთ ოსეთი, საქართველოს პარლამენტს არ მიეღო იმის საწინააღმდეგო დადგენილება, რაც მიღებული იყო 1990 წელს. ეს ხომ იყო შესაძლებელი?*

— გასაგებია...

*— მეორეც — ვლადიმერ სანაკოევი ზოგმა გიჟად მონათლა, ზოგმა რად. როგორც ჩანს, ვლადიმერ სანაკოევს ევალებოდა ურთიერთობების დაძაბვა, რაც რუსეთს აწყობდა. ვლადიმერ სანაკოევს ევალებოდა ინფორმაციების გადაცემა. ტელევიზიაში რაც შეიძლება გამომწვევად გადაეცა და გამომწვევად ესაუბრა. ამ ხელისუფლებამაც საქართველოს დედაქალაქში ტელევიზია შეუქმნა მაინცდამაინც „ალანიის" სახელწოდებით...*

— ახლა თვითონაც აცხადებს, რომ ჩვენი ჯარების განლაგებაზე, ძალოვანი სტრუქტურების მოძრაობასა და ყველაფერზე ინფორმაციებს გადასცემდა. აგენტის მოვალეობა ის არის, რომ ყველანაირი სამხედრო თუ პოლიტიკური ინფორმაციები გადასცეს.

*— ეჭვი გეპარებოდათ, რომ სანაკოევი ამას გააკეთებდა?*

— კაცს ხომ შუბლზე არ აწერია, რომ ვლადიმერ სანაკოევი აგენტი იქნებოდა. ასე საქართველოში 100 ათასობით ოსი ცხოვრობს. მაშინ იმათაც არ ვენდოთ...

*— ისინი ხომ ხელისუფლების თათბირებში არ მონაწილეობენ.*

— ხელისუფლების თათბირებში, მაგალითად, სადაც მე ვიყავი, პარლამენტში, არასოდეს ყოფილა.

*— თვითონ ამბობს, თათბირში ვმონაწილეობდიო...*

— თვითონ რას ამბობს, ერთია, მეორეა, თვითონ ჩემი თვალით რაც მაქვს ნანახი. რაც შეეხება ადმინისტრაციის შექმნას, როგორც იქაური კაცი, ომებგამოვლილი, ყველა ამბის მომსწრე, ნებისმიერ ექსპერტს, იმ კუთხით, რომ აღდგებოდა თუ არა დროებითი ადმინისტრაცია, თუ ომი მოხდებოდა, ყველამ იცის, რომ ომი რუსეთსა და საქართველოს შორის მოხდა. ომი გუშინ მოხდებოდა დღეს თუ ხვალ, ის ადმინისტრაცია აღდგენილი იქნებოდა თუ არა, ოსები იმ ტერიტორიაზე მაინც განაცხადებდნენ პრეტენზიას, რაც იყო კომუნისტების დროინდელი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, 1922 წელს შექმნილი. ოსები ყოველთვის იმ ტერიტორიაზე აცხადებდნენ პრეტენზიას...

*— ბატონო გურამ, ბოდიში, უნდა გაგაწყვეტინოთ. ოსების პრეტენზიები უსაფუძვლოა. ჩვენ საფუძვლიანი პრეტენზია გვაქვს ჩვენს ტერიტორიებზე, რომელიც, მაგალითად, თურქეთში დარჩა. სომხები დღემდე საერთაშორისო დონეზე აცხადებენ პრეტენზიას თურქეთში დარჩენილ ტერიტორიებზე, მაგრამ ვინმემ მიართვა მათ ტერიტორიები?*

— ქალბატონო გულიკო, თქვენ იცით, რომ ორჯერ დამიჭირეს რუსებმა, ორჯერ მცემეს. რუსების დროს ცხინვალში ტყვედაც ვიყავი და თავპირი დანგრეული მქონდა. გადავრჩებოდი თუ არა, იმაზე იყო ლაპარაკი. იცით ჩემი დამოკიდეუბლება რუსებისადმი — ტერიტორიები წამართვეს, ხეობა და სამშობლო წამართვეს. ახლა ისეთ რაღაცას ვიტყვი, შეიძლება, ვინმე არ მოეწონოს. რუსი ხომ არის ოკუპანტი? არის. სომეხი არ არის ოკუპანტი? აზერბაიჯანელი არ არის ოკუპანტი? თურქი არ არის ოკუპანტი? ჩვენი ბედოვლათობით ყველა გვართმევს მიწებს. ბელაქანი, ზაქათალა და კახი აზერბაიჯანელებს არ აქვთ წართმეული? აქეთ სომხეთისკენ ტერიტორიები არ გვაქვს დაკარგული? იქით თურქეთისკენ არ გვაქვს დაკარგული? იმით, რომ ემოციური და ცოტა სხვანაირი ხალხი ვართ, ყველა სარგებლობს.

*— ბატონო გურამ, იურიდიული დოკუმენტები მაინც არ უნდა შევუქმნათ. გასაგებია, რომ ვიღაც გვერევა და გვართმევს, მაგრამ ჩვენ თვითონ, ჩვენივე ხელით იურიდიული დოკუმენტები არ უნდა შევუქმნათ. გაგახსენებთ კუშნერის გამოსვლას ერთ-ერთ კონფერენციაზე. ის ხელებს ასავსავებდა, რომ ვერ გაიგო, როგორ იყო ახალგორის საკითხი, იმიტომ რომ იმ დადგენილებით ახალგორიც ე.წ. სამხრეთ ოსეთს ეკუთვნოდა...*

— ახალგორზე რომ ვამახვილებთ ყურადღებას, ცხინვალის რაიონზე რატომ არ ვსაუბრობთ? დიდი და პატარა ლიახვის ხეობები ცხინვალის რაიონში შედიოდა. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ერთს წამართმევენ თუ



მეორეს? რომელ ექსპერტთანაც გინდათ (ხომ იცით, დღეს ყოველ მეორეს ექსპერტი ჰქვია და ყველა ისე ლაპარაკობს, რომ მისი სიტყვა კანონია) მივიდეთ და, რომელიც არ დამეთანხმება, დავუმტკიცებ, რომ ჩვენ აღვადგენდით თუ არ აღვადგენდით ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას, მაინც წაგვართმევდნენ, თუ 2008 წლის საშინელი ომი მოხდებოდა. ახალგორზე ვაცხადებთ პრეტენზიას. რატომ არ ვაცხადებთ პრეტენზიას ხეობებზე...

*— ბატონო გურამ, ხეობებზეც ვაცხადებთ პრეტენზიას, ცხინვალზეც, ჯავაზეც და მთლიანად...*

— ნათქვამია, დედისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ერთი შვილი დაიღუპება თუ მეორე. ნებისმიერის დაღუპვა ცუდია. ღმერთმა დაიფაროს, ქართველი იქნება თუ არაქართველი, შვილი რომ გარდაეცვლება ადამიანს, კითხულობენ, რამდენი შვილი ჰყავდათო. თითქოს გულს გაუკეთებენ, თუ ერთი შვილი დარჩა. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი შეილი დარჩა, დედისა და მამისთვის. მე გეუბნებით, თუ აგვისტოს საშინელი ომი მოხდებოდა, მაინც მთლიანად დაიკარგებოდა.

*— ომი უნდა აგვეცილებინა.*

— რა უნდა აგვეცილებინა? ვალოდია ვალოდიაა, მაგრამ ქარქუსოვებზე რაღაც გაჩუმებულები არიან. არავინ საუბრობს იმაზე, ძმები ქარქუსოვები გაქცეულები რომ არიან, რუსეთში ჩავიდნენ და აღიარეს. ახლა გეტყვით ისეთ რამეს, რაც აქამდე არსად გამიცხადებია. 2008 წლის 8 აგვისტოს დაბომბვები და უბედურებები რომ იყო, სოფელ ერედვში, ღამის პირველ საათზე ედერველები — მოხუცები თუ ახალგაზრდები, ადგილობრივი ბიჭები — ვიდექით. ვხედავთ, 15 ჩვენი ჯარისკაცი მოდის, დიდი ლიახვის ხეობიდან გადმოდიან. ბერულის უბანში (ერედვში შედის) ვდგავართ. ეს ბიჭები რომ მოდიან, გაცეცხლებულები ვართ, რომ ხეობა იცლება, ხალხი გავიდა, ჩვენღა ვართ დარჩენილი, მეომრები. ვხედავთ, 15 ბიჭი მოდის, ჩვენი ჯარისკაცები არიან, ყველანაირი იარაღით. გადავუდექი ტყიდან. მე ვუთხარი, თქვენი დედა, თქვენი მამა, სულ გადავუტრიალე... ქართლ-კახურად ვაგინე... სად მიდიხართ, ხეობას რად ტოვებთ-მეთქი (ამის მოწმეა 20-30 მეომარი ბიჭი, რომლებიც ჩემ გვერდით იდგნენ). ერთი გამოეყო მათ და მითხრა, ბატონო გურამ, ნუ გვაგინებ დედასა და მამას (გაცეცხლებული იყო), მერაბ ოქროპირიძე ვარ სოფელ დისევიდან. რა გაგვეკეთებინა? დილით ქარქუსოვები მოვიდნენ ქურთაში (დიდი ლიახვის ხეობაში), ოფისში ყველაფერი დაალაგეს, გამოიტანეს ყველაფერი, რაც რამე ჰქონდათ, მანქანაზე დაალაგეს და გვითხრეს, დღეს აქ ოსები და რუსები უნდა შემოვიდნენ, წადით და თქვენს საქმეს მიხედეთო. 8-ში ვალოდია გამოვიდა, მაგრამ, თუ აგენტები არ იყვნენ, რა იცოდნენ, რომ 8 აგვისტოს დიდი ლიახვის ხეობაში ოსები და რუსები უნდა შესულიყვნენ.

*— ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ მერაბიშვილის სპეცსამსახურებმა (სადაზვერვო, უშიშროების თუ აგენტურულმა) კრახი განიცადეს...*

— კრახი განიცადაო, მთლად ასე ნუ ვიტყვით. ამოდენა მონსტრი რომ გებრძვის, იქ ვერც უშიშროება ვერაფერს გააკეთებს და ვერც საჯარისო ნაწილები, მით უმეტეს, ამოდენა სრულმასშტაბიან ბრძოლას თუ გაგვიმართავდა, ამოდენა ჯარს თუ შემოიყვანდა, ავიაციას ჩართავდა, ვერ ვიფიქრებდით. თვითმფრინავები სოფლის თავზე ისე დაფრინავდნენ, ჩიტის გუნდები გეგონებოდათ.

*— მაპატიეთ, რომ არ ვთქვა, არ შეიძლება. მონსტრი რომ გებრძვის, პირდაპირ ხახაში რატომ უნდა ჩაუვარდე? საქართველოს ჯარს განა არ ჰქონდა ცხინვალში შესვლის უფლება? კონსტიტუციური უფლება ჰქონდა, მაგრამ...*

— აბსოლუტურად...

*— იმავე ტალიავინის დასკვნაში იმ უბედურების აღწერა პირდაპირ ცხინვალზე შეტევის აღნიშვნით იწყება. საქართველოს ხელისუფლებას ასეთი გაუაზრებელი ნაბიჯი რატომ უნდა გადაედგა?*

— საქართველოს ხელისუფლებას ყველანაირი უფლება ჰქონდა — კონსტიტუციური, ადამიანური, მორალური უფლება გვქონდა, გინდა ჯარი შეგვეყვანა, გინდა ცხინვალი დაგვებომბა, გინდა — ჩვენი სოფლები.

*— უფლება კი გვქონდა, მაგრამ ძალა რომ არ გვქონდა მტრის გასამკლავებლად? როკი და ლარსი ჩაგვეკეტა, ცხინვალში რა უნდოდათ?*

— ლარსი ჩაკეტილი იყო, როკამდე კი ვერ მივედით.

*— როკამდე რომ ვერ მიდიხარ, უნდა გაჩერდე და თავდაცვითი ბრძოლები უნდა აწარმოო და არა შეტევითი.*

— მე რაც შემეძლო, ვიბრძოლე. დღე და ღამე ომში ვიყავი. ხეობელები 11-ში გამოვედით. აგენტებისა და გამყიდველების მაგივრად მე რატომ მეჩხუბებით.

*— თქვენ ხელისუფლების მოქმედებას ამართლებთ და იმიტომ გეუბნებით...*

— მე სიტუაციას ვამართლებ. დღედაღამ იქ ვიყავი. მთელმა ხეობამ იცის, რა დღეში ვიყავით მთელი ხეობის ბიჭები. ქალმა, კაცმა 20 წელი უბედურებაში გაატარა, ახლა კი 2 დღეში ომი დამთავრდა.

*— ამერიკელმა პოლიტოლოგმა ბჟეზინსკიმ „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტს განუცხადა, რუსებისთვის ცოტა ხანს რომ გაგეძლოთ, დასავლეთის დახმარება მოგისწრებდათ, თქვენ ვერ გაუძელით და ჩვენ რა უნდა გვექნაო. რომ ვერ გაუძლებთ, სხვისი იმედით ომი არ უნდა დაიწყო...*

— დასავლელები ამით თავს ნუ იმართლებენ. საქართველოს წინაშე ყველა ტყუის. „ცოტა ხანი" რამდენი ხანია, ხალხი იხოცებოდა. ამდენი ხალხი დაიხოცა. საწყალი მოხუცი ქალები, ლტოლვილები იხოცებოდნენ. მაშინ მოესწროთ და ახალგორისთვის ეშველათ. ახალგორში ოსები და რუსები 2-3 კვირის შემდეგ შემოვიდნენ. ახალგორში რატომ არ გვიშველეს?

*— თვითონ ხელისუფლებამ ხომ უშველა თავის თავს? წარმოიდგინეთ, 7 აგვისტოს, დღის 2 საათზე, როცა ცხინვალში ომი დაწყებული არ იყო, კოდორისკენ მიმავალ გზაზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და მის მხლებლებს კოდორიდან გამომავალი დევნილები უკვე ხვდებოდნენ, იქიდან მანქანებით ხალხი გამოჰყავდათ. ცხინვალის რეგიონიდან გამოეყვანათ ბავშვები და მოხუცები, სადაც ომის საშიშროება უფრო რეალური იყო, იქიდან რატომ გამოჰყავდათ, სადაც ჯერ არაფერი ხდებოდა?!*

— კოდორზე მე ვერაფერს ვიტყვი. პასუხს ვერ გაგცემთ, აფხაზეთის ხელისუფალი სად გარბოდა, სარფში დაიჭირეს, სადღაც გარბოდა და შემოატრიალეს, მე ამაზე პასუხს ვერ გაგცემ. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ორივე ლიახვის ხეობის გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები და ყველა მებრძოლი ბიჭი 11 აგვისტომდე იქ იყო. მაშინ დეპუტატი აღარ ვიყავით, მაგრამ მე ჩემი ორი ვაჟით იქ ვიბრძოდი. მამაჩემი არ გამოგვყვა და ერთი თვის შემდეგ წითელი ჯვრის მეშვეობით გამოვიყვანეთ, საწყალი ავადმყოფი დედაჩემი კი ტყვიავში ჩამოვიყვანეთ. არ გვეგონა, ოსები იქაც თუ შემოვიდოდნენ, რადგან ის ტერიტორია ოლქის საზღვრებში არ შედიოდა. შემდეგ ავადმყოფი დედაჩემიც წითელმა ჯვარმა გამოგვიყვანა. ვერ გეტყვით, კოდორში ვინ საით გარბოდა, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენთან ხეობის ყველა ახალგაზრდა იბრძოდა.

*— მოხუცები და ბავშვები გამოეყვანა, ანუ მოუმზადებელი რომ იყო, რატომ შევარდა?*

— არ ვიცი. ბევრ რაღაცაზე შემდეგ გაგცემთ პასუხს.

*— ასეა თუ ისე, აგენტურა შეგვრჩა ხელში.*

— გამომჟღავნდა, რომ აგენტურა იყო. კიდევ ერთი რამ არის — ქარქუსოვები და სანაკოევები ცხინვალში მცხოვრებ ოსებს ერის მოღალატეებად მიაჩნდათ, სანამ გამოამჟღავნებდნენ, რომ აგენტები იყვნენ. ალბათ, აგენტები არიან. იმიტომ გაამჟღავნეს, რომ თავიანთ რაიონსა და სოფელში ჩაესვლებოდეთ.

# ნათლიას მშობელზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია

ნათლისღების მნიშვნელობა შეუფასებელია, რადგან ნათლისღების გარეშე ჩვეულებრივი, მოუნათლავი ადამიანი არ ითვლება ქრისტეს მხედრიონში, ანუ ეკლესიის წევრად არ ითვლება. ის არ შეიცავს უფალს, იესო ქრისტეს. სიტყვა ქრისტიანი ნიშნავს ჭურჭელს. ჩვენ, ყველანი, ვინც ვინათლებით, ვხდებით ქრისტეს ჭურჭელი, ქრისტეს მატარებელი. არის ჭურჭელი ღვინიანი, წყლიანი, ზეთიანი და ა.შ. ჩვენ ვართ ქრისტიანი ანუ ნათლობის დროს გვენიჭება ეს დიდი მადლი სულიწმინდის ძალით, რომ ყოველი ზიარების შემდეგ ისევ აღვივსოთ იესო ქრისტეს სისხლითა და ხორცით. ამიტომ, ჩვენ ვართ მატარებელი.

ნათია ხურციძე

**14 იანვარს ძველი სტილით ახალი წელი მიულოცა თავის სამწყსოს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის, სოხუმისა და ბიჭვინთის ეპისკოპოსმა ილია მეორემ.**

სავედრებელი პარაკლისი უწმინდესმა სიონის საკათედრო ტაძარში გადაიხადა და თავის მრევლს ახალი წლის დადგომა მიულოცა.

მისმა უწმინდესობამ ილია მეორემ თავის სამწყსოს ბედნიერება უსურვა.

14 იანვარს მართლმადიდებელი ეკლესია ერთ-ერთი წმინდა მღვდელმთავრის ბასილი დიდის ხსენების დღეს აღნიშნავს.

შობის შემდეგ ქრისტიანული სამყარო ნათლისღებისთვის ემზადება.

ნათლისღებას 19 იანვარს აღნიშნავს მართლმადიდებელი ეკლესია.

სწორედ ნათლისღებასა და ნათლობის მადლზე ვთხოვეთ საუბარი სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზს მამა ამირან ამირანაშვილს.

— 14 იანვარს მართლმადიდებელი სამყარო აღნიშნავს ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო მამის, ბასილი დიდის ხსენების დღეს. სამი დიდი მღვდელმთავრიდან ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლავთ ბასილი დიდი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქრისტიანობის გავრცელებაში. დღესაც უდიდეს როლს თამაშობს ის ჩვენი მართლმადიდებელი სამყაროს სიძლიერისა და მისი განვითარებისთვის. წმინდა ბასილი იყო დიდი მქადაგებელი და თავი დადო ქრისტესთვის.

მადლობა უფალს, დადგა ახალი წელი. ახალ წელს თანამედროვე მსოფლიო პირველ იანვარს ზეიმობს, მაგრამ ჩვენ — 14 იანვარს. ახალი წლის დაწყებას გვირგვინი დაადგა უფალმა სწორედ 14 იანვარს. მართალია, მთელი ორი კვირაა, რაც ადამიანები ახალი წლის დადგომას ულოცავენ ერთმანეთს, მაგრამ ჭეშმარიტი, ნამდვილი მართლმადიდებლური ახალი წელი არის 14 იანვარი, რადგან შობა იყო ერთი კვირის წინ. ცოტა დაბნეულობა ყოველთვის არის, მაგრამ მინდა, ყველას ვუთხრა, რომ ქრისტიანული, ორთოდოქსული ახალი წელი უკვე დადგა. მე 30 წელია, რაც სიონის საკათედრო ტაძარში ვარ. პატრიარქს ძალიან უყვარს ეს ტაძარი. სამების საკათედრო ტაძართან ერთად სიონის ტაძარიც საკათედრო გახლავთ. ამდენად, ლოცვათა რიგს ჩვენთვისაც აღასრულებს ხოლმე. ამდენად, ინება, რომ ძველი სიონის საკათედრო ტაძრიდან მიელოცა თავისი სამწყსოსთვის. როგორც აღვნიშნეთ, მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გადაიხადა სიონის საკათედრო ტაძარში სავედრებელი პარაკლისი. ჩვენ მადლობა ვუთხარით უფალს განვლილი წლისთვის და მთელი ერი, ჩვენი ერის ყველა კეთილმეზობელი, ჩვენთან მაცხოვრებელი არამართლმადიდებელიც თუ მართლმადიდებელიც, ასევე ისინი, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, ჩვენი ერის შვილები, მისმა უწმინდესობამ ყველას მიულოცა ბრწყინვალე დღესასწაული, ახალი წლის დაწყება. მისმა უწმინდესობამ ბედნიერება უსურვა ყველას, იმ ადამიანებს, რომლებსაც ეწადით ბედნიერება. ბედნიერება ყველასთვის საწადელია. მეც მოკრძალებულად ვუერთდები ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევას. მინდა, დღეგრძელობა, ჯანმრთელობა, განკურნება სნეულთა, აღდგენა დაცემულთა, მინდა, ბედნიერების განცდა ვუსურვო ჩვენს ერს, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გაერთ მცხოვრებ შვილებს, ყველა ქართველს, რომლებიც შეჭირვებაში თუ განსაცდელში არიან, უძლურებაში თუ სიდუხჭირეში არიან, დაეძლიოთ განსაცდელი, შეჭირვებანი და ბედნიერნი ყოფილიყვნენ 2011 წელს.



*— ნათლისღებასთან დაკავშირებით რომ გვითხრათ, შობის შემდეგ მართლმადიდებელი სამყარო ნათლისღებისთვის იწყებს მზადებას. რა მნიშვნელობის არის ეს დღესასწაული?*

— ნათლისღების მნიშვნელობა შეუფასებელია, რადგან ნათლისღების გარეშე ჩვეულებრივი, მოუნათლავი ადამიანი არ ითვლება ქრისტეს მხედრიონში, ანუ ეკლესიის წევრად არ ითვლება. ის არ შეიცავს უფალს, იესო ქრისტეს. სიტყვა ქრისტიანი ნიშნავს ჭურჭელს. ჩვენ, ყველანი, ვინც ვინათლებით, ვხდებით ქრისტეს ჭურჭელი, ქრისტეს მატარებელი. არის ჭურჭელი ღვინიანი, წყლიანი, ზეთიანი და ა.შ. ჩვენ ვართ ქრისტიანი ანუ ნათლობის დროს გვენიჭება ეს დიდი მადლი სულიწმინდის ძალით, რომ ყოველი ზიარების შემდეგ ისევ აღვივსოთ იესო ქრისტეს სისხლითა და ხორცით. ამიტომ, ჩვენ ვართ მატარებელი. თუ ნათლობის მადლი არ გვაქვს მიღებული, მაშინ ამ მოვლენებთან არავითარი შეხება არ გვექნება და ცხონების გზაც შესაბამისად მოკვეთილია იმ ადამიანისთვის, ვინც მონათლული არ არის. ამიტომ ყოველთვის საწადელია, რომ ადამიანი როდესაც იშვება, თანმიმდევრულად მე-8 დღეს სახელი ერქმევა, მე-40 დღეს ტაძრად მიყვანებაა, როდესაც ჯანსაღია ჩვილი და ბევრიც ინათლება კიდეც. დედა როდესაც ტაძრად მიიყვანს თავის შვილს, ჯერ კიდევ ჩვილს, ეს ძალიან კარგი მოვლენაა. ამ დროს სასურველია ბავშვების მონათვლა, რომ მონათვლის შემდეგ ნათლობის მადლი მიიღონ, ქრისტიანობის ყველა საიდუმლოს, ყველა რიტუალის მონაწილენი გახდნენ. ნათლობის გარეშე არავითარი ძალა არა აქვს ტაძარში ყოფნას. მთელი დღეები ტაძარში რომ გაატარო, თუ მონათლული არ ხარ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ერთ გრამ მადლს ვერ მიიღებ. ასე რომ, ადამიანი მონათლული უნდა იყოს. მონათვლის შემდეგ შეიძლება დაეცე, შეიძლება შეგეშალოს, შეიძლება ცოდვა ჩაიდინო, მაგრამ აღდგენის შანსი გვაქვს. ამიტომ ეს შანსი ცოცხალმა ადამიანმა ხელიდან არ უნდა გაუშვას, ვიდრე ის აღესრულება, ვიდრე სული დატოვებს ჭურჭელს (სხეულს), რომელზეც უკვე მოგახსენეთ. გარდაცვალება სხვა არაფერია, თუ არა მარადიული სულის იმ ჭურჭლისგან გამობრძანება, რომელიც ადამიანს მოსავს. სული დატოვებს ჭურჭელს და მაშინ ვამბობთ: გარდაიცვალა ანუ სხვა ფორმაციაში გადადის სული. მარადიულობაში გადადის წონის გარეშე. როდესაც სული და ხორცი ერთად არის და ცოცხალნი ვართ, ჩვენ გვეხებიან. ჩვენ შეგვიძლია, შევეხოთ სხვა საგანს, მეორე ადამიანს, მაგრამ, როდესაც განშორება ხდება სულის და სხეულის, მაშინ სული წონას კარგავს და მიეშურება იქ, სადაც მართალნი განისვენებენ და თავის სასუფეველს დაიკავებს. ამიტომ ნათლობის მადლის გარეშე ეს პროცესები გამორიცხულია, ნათლობის გარეშე ცხონება და სასუფევლის დამკვიდრება არ ხდება.

*— ნათლობის დროს ადამიანს, როგორც ცნობილია, პირველი შეცოდება, რომელიც თითოეულ ადამიანშია, ეტევება. რას იტყვით ამ საკითხზე?*

— 40 დღის ან 7 დღის ბავშვს რა ცოდვა უნდა ჰქონდეს, მაგრამ საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს იმდენი შემთხვევა, რომ როდესაც ასაკში მყოფნი, 50 წლის 70 წლის ადამიანები, ხანდაზმულები, არიან მოუნათლავნი. ეს შემთხვევები არის ხოლმე დასავლეთში, აჭარის მხარეში. არის შემთხვევები, როდესაც მთელი ოჯახია მართლმადიდებლურად მონათლული, ხოლო ბებია ბაბუა კი — მოუნათლავი არიან, ძალით თავსმოხვეულ სარწმუნოებას ვერ განეშორებიან და მიზეზებს იმიზეზებენ, მაგრამ, პირადი მაგალითიდან გეტყვით — 20 წელი ვმოღვაწეობდი ბათუმში და მქონდა შემთხვევები, როდესაც სიკვდილის წინ, ვიდრე ჯერ კიდევ სული და ხორცი არ განიყოფა, ბევრი მომინათლავს. ყოფილა შემთხვევა, რომ არ გარდაცვლილა და აღმდგარა ადამიანი. ზიარებას ველარ ვასწრებდი და სასწრაფო წესით მომინათლავს, რომ ქრისტიანად აღსრულებულიყო. ბევრი შემთხვევა იყო, რომ მომაკვდავი ადამიანი ფეხზე დამდგარა და წამლები გადაუყრია. გარდა ამ მადლისა, ნათლობას უდიდესი ძალა აქვს. მადლიც აქვს და ძალაც. ნათლობის დროს პიროვნებას უდიდესი ძალა ეძლევა. თუ ადამიანი ფიზიკურად ძლიერია, ის ვერ გრძნობს ამას, მაგრამ, თუ უკვე აბსოლუტურად არ აქვს არავითარი ძალა, უძლურებაშია, სუნთქვაც კი უჭირს, სუნთქვის პროცესი დაქვეითებულია და მხოლოდ ფშვინვაა, მონათვლის შემდეგ ერთსაათიან ძილს მოჰგვრის მფარველი ანგელოზი მას და ადამიანი ფეხზე ადგება, უკვე ჩასაცმელს, საკვებს მოითხოვს. ჩვენ ამას ჩვეულებრივ მოვლენად ვთვლით, მაგრამ, ეს არის პატარა სასწაული, საოცრება ჩვეულებრივი ადამიანისთვის. ასე რომ, ნათლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

*— ნათლიებზე რას იტყვით, რა მნიშვნელობის არის ნათლია ნათლულისთვის?*

— ნათლიობა, გარდა იმ რიტუალებისა, რაც ჩვენთან დამკვიდრდა და მხოლოდ რიტუალის დონეზე დარჩა, ნათლიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ნათლია არის აღმატებული პასუხისმგებელი, ვიდრე ხორციელი მშობელი. ხორციელი მშობლები, ბუნებრივი, ურთიერთშერწყმით და სიყვარულით ბადებენ ნაყოფს, ნათლიობა კი ნებით ხდება. ამას თავად ადამიანი ირჩევს. მას ხომ არავინ აძალებს. ეს კი ღვთის ნებით არის შთაგონებული, როდესაც გთხოვენ, რომ ნათლია გახდე. ამ შემთხვევაში არაბუნებრივი სიტუაციიდან დიდ მადლს იპყრობ, უფლისგან მონიჭებულს. წმინდა მამებისგან ვიცი, რომ 16 წლამდე, სანამ ახალგაზრდებს განაყოფიერების უფლებას არ ვაძლევთ, ამ უფლებისგანაც, ნათლიობისგანაც ვზღუდავთ.

*— რადგან ნათლიობის პასუხისმგებლობა ძალიან დიდია?*

— დიახ, ამიტომ 5-6 წლის ბავშვმა რა იცის პასუხისმგებლობის სიმძიმის შესახებ. ეს იქცევა ხოლმე ფორმალობად. ფორმალობას ყოველთვის უნდა გავექცეთ. ნათლიობა უნდა იყოს ნამდვილი პასუხისმგებლობა, რომელსაც იღებს პიროვნება მეორე პიროვნების მიმართ ღვთის წინაშეც და იმ პიროვნების წინაშეც, რომელსაც ნათლავს. ეს მისი სულიერი აღზრდა იქნება, მომზადება იქნება, გნებავთ, მატერიალური დახმარება, განათლების მიცემა, შემდგომი ცხოვრებისთვის ზრუნვა. მშობელი შეიძლება განეშოროს ადამიანს ან გარდაცვალებით, ან მშობლები შეიძლება გაშორდნენ ერთმანეთს სხვადასხვა მიზეზის გამო, ხდება ასეთი რამე ხანდახან. ჩვენთან არის ტერმინი დედინაცვალი, მამინაცვალი, მაგრამ რაც შეეხება ნათლიას, მისი გამოცვლა არ შეიძლება. ამიტომ ნათლიას მშობელზე მეტი უპირატესობა და აღმატებული პასუხისმგებლობა ენიჭება.

*— ნათლიისთვის ნათლიობა ერთგვარი მადლიც არის?*

— რა თქმა უნდა, ეს არის თანაზიარობა, უფლის მოვალეობის შესრულება, რაც მეტს აიღებ ამ ტვირთს, ეს შენი შრომაა, შენი გაწეული ენერგიაა. რისთვის, რატომ მოხვედი ამ სოფლად? ეს არის ღვთის წინაშე აღებული დამატებითი ვალდებულებები, როდესაც ამ ვალდებულებას იღებს ქრისტიანი ადამიანი და, ვიმეორებ, ამას პირნათლად უნდა აღსრულება. რაც უფრო კეთილშობილი ხარ, რაც უფრო თავდადებული ხარ, ამას უფალი ხედავს. ქრისტიანული მოღვაწეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი და ძალიან აღმატებული არის ნათლია-მირონობის მადლი, რომელიც ხორციელ ნათესაობასაც კი აღემატება.

ფორმალობას ყოველთვის უნდა გავექცეთ. ნათლიობა უნდა იყოს ნამდვილი პასუხისმგებლობა, რომელსაც იღებს პიროვნება მეორე პიროვნების მიმართ ღვთის წინაშეც და იმ პიროვნების წინაშეც, რომელსაც ნათლავს. ეს მისი სულიერი აღზრდა იქნება, მომზადება იქნება, გნებავთ, მატერიალური დახმარება, განათლების მიცემა, შემდგომი ცხოვრებისთვის ზრუნვა. მშობელი შეიძლება განეშოროს ადამიანს ან გარდაცვალებით, ან მშობლები შეიძლება გაშორდნენ ერთმანეთს სხვადასხვა მიზეზის გამო, ხდება ასეთი რამე ხანდახან. ჩვენთან არის ტერმინი დედინაცვალი, მამინაცვალი, მაგრამ რაც შეეხება ნათლიას, მისი გამოცვლა არ შეიძლება. ამიტომ ნათლიას მშობელზე მეტი უპირატესობა და აღმატებული პასუხისმგებლობა ენიჭება.

# ჯერ კიდევ ვერ დამიჯერებია, რომ ჯეოსტარი ვარ

## ოთო ნემსა ე პოპულარობამ და აბა

ეკა ირემაშვილი

**ჯეოსტარელ ოთო ნემსაძეს ჯერ კიდევ ვერ დაუჯერებია, რომ ასეთ მნიშვნელოვან პროექტში გაიმარჯვა და ხალხის რჩეული გახდა. 21 წლის მომღერალმა „ჯეოსტარ-ში“ ბედი მეორედ სცადა და ამჯერად წარმატებულადაც — მან სრულიად საქართველოს სიყვარული მოიპოვა და სწორედ ეს გახდა მისი გამარჯვების მიზეზიც. 31 დეკემბერს ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე მორიგი ჯეოსტარელის გამოსავლენად პროექტის გალაკონცერტზე 58.975 ხმა შევიდა. მათგან 66 პროცენ-ტი სწორედ ოთო ნემსაძეს ერგო. წლევანდელი გამარჯვე-ბულისთვის „ჯეოსელმა“ 25 ათას ლარიანი ჯილდო დააწესა, რომელიც მთლიანად ჯეოსტარელის ალბომის ჩაწერას მოხმარდება. ოთოს ამ სასიამოვნო პრიზთან ერთად ახალთახალი ჰიუნდაის ფირმის მანქანაც ერგო. მისი გასაღები დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე გამარჯვებულს გეგა ფალავანდიშვილმა გადასცა.**

არ მალავს, რომ პოპულარობამ ცოტა დაძაბა, განუწყვეტე-ლი ყურადღება აკომპლექსებს, მაგრამ ამის გამო ტრაგედიას არ ქმნის. უხარია, რომ ისევ ის ოთო ნემსაძეა და ვერანაირი პოპულარობა და გამარჯვება მას ვერ შეცვლის. „ისევ ისეთი უბრალო დავრჩები, როგორიც აქამდე ვიყავი“, ასეთია მისი პასუხი. უყვარს მეგობრებთან ყოფნა, ამ პროექტმაც ბევრი ახალი მეგობარი შემატა, ამიტომ დროის უმეტეს ნაწილს სწორედ ახლობლებისა და მეგობრების გარემოცვაში ატარებს.

როგორც თავად ამბობს, ხელოვანობიდან ძალიან შორს არის. „მე ხელოვანი არ ვარ, მე გორელი ვარ“ — ასეთია მისი მოსაზრება. თუმცა არ მალავს, რომ გაჩერებას არ აპირებს და უკვე დევიზიც კი მოიფიქრა — „მე თქვენთვის ყოველთვის ვიმღერებ!“ მომავალში ძალიან უნდა სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრა ისწავლოს და საკუთარი მუსიკალური შესაძლებლობები კიდევ უფრო გაამდიდროს.

რა გაუჭირდა ყველაზე მეტად „ჯეოსტარში“, მიეჩვია თუ არა პოპულარობას, როგორ უმკლავდება გოგონების „შემოტევას“, რა ენატრება ყველაზე მეტად, აპირებს თუ არა გაყვეს სიმღერას და როგორია გორელი ბიჭისთვის სრულიად საქართველოს ასეთი უზომო სიყვარული, ამ და სხვა თემებზე ოთო ნემსაძე „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ოთო ნემსაძე:**

— ჯერ კიდევ ვერ დამიჯერებია, რომ ჯეოსტარი ვარ და ამ პროექტში გავიმარჯვე. ის კი არა, იმის დაჯერებაც მიჭირს, რომ ჩემი ცხოვრების ულამაზესი სამთვიანი ეტაპი — „ჯეოსტარი“ დასრულდა და ბენდთან ერთად აღარ ვიმღერებ. ეს იყო საოცარი დრო, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. 2010 წელი ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. სრულიად მოულოდნე-ლად სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. სიმღერა არ არის ჩემი პროფესია, ამიტომ ჯერ კიდევ გაუგებრობაში ვარ, ვერ დამიჯე-რებია, რომ ამდენ ძლიერ კონკურენტს შორის მაყურებელმა მე ამირჩია და საუკეთესოდ დამასახელა.

***— მოგწონთ სიმღერის სამყარო?***

— ძალიან, ეს სამყარო საოცრებაა. სიმღერა ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ ასეთ პროექტში მონაწილეობის მიღებას თუ გავბედავდი, არ მეგონა. გამარჯვებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მომწონს აქაურობა, მოვირგე უკვე და იმედი მაქვს, რომ მომავალში კიდევ უფრო უკეთესად მოვირგებ. 2010 წელი ჩემთვის ძალიან მაგარი იყო. ჯერ კიდევ ვერ გამოვედი ემოციებიდან და ალბათ კიდევ დიდხანს ვერ გამოვალ.

***— რატომ მიხვედით „ჯეოსტარში“?***

— რა ვიცი, ძალიან მიყვარს სიმღერა, მუსიკა. ჩემი მეგობრების თხოვნით გავედი პროექტში და მოვიგე კიდევაც. ცდა ბედის მონახევრეაო, რომ ამბობენ, სწორი ნათქვამი ყოფილა. ამ პროექტში მეორედ გავედი, წინა წელს არ გამიმართლა, წელს კი 12 ფინალისტს შორის მოვხვდი, რასაც ნამდვილად არ ველოდი, იმიტომ, რომ ისევ იმ დონეზე ვიყავი და არ მეგონა, თუ ამიყვანდნენ. მართლა ძალიან კარგი კონკურენტები მყავდნენ, მართლა საინტე-რესო „ჯეოსტარი“ იყო და რაც მთავარია, პროექტი შედგა. გასული 2010 წელი ჩემთვის უმაგრესი იყო.

***— პოპულარობამ შეგცვალათ?***

— აბსოლუტურად არა. ახლა რომ ვთქვა, ისევ ის ოთო ვარ-მეთქი, ბანალური იქნება, მაგრამ რა ვქნა, იყოს ბანალური ფრაზა და მართლა გულწრფელად ვიტყვი, რომ ისევ ის ოთო ვარ და პოპულარობის გამო არასოდეს შევიცვლები. რატომ უნდა შევიცვალო? იმიტომ, რომ ვიღაც მაკვირდება? პირიქით, ადამიანი რაც ხარ, ის უნდა იყო.

***— პოპულარობისა და მუდმივი ყურადღების გამო, კომპლექსები არ ჩნდება?***

— თავიდან ჩნდება, მაგრამ მერე ეჩვევი და ეს ყველაფერი გსიამოვნებს. როცა ქართველ მაყურებელს უყვარხარ, ეს არის ყველაზე დიდი საჩუქარი და ყველაზე მაგარი შეგრძნება ამქვეყა-ნაზე. ვგრძნობ, რომ შემიყვარა ქართველმა მაყურებელმა და ამისთვის დიდ მადლობას ვეუბნები.

***— სხვადასხვა სოციალურ ქსელში თქვენი სახელით რომ სარგებლობენ, იცით?***

— კი, ვიცი, რომ ბევრი ოთო ნემსაძეა სოციალურ ქსელში დაფიქსირებული. მეც კი ხშირად მეკითხებიან, მართლა შენ ხარ ოთო ნემსაძე თუ იტყუებიო. ამას უკვე მივეჩვიე.

***— ჯეოსტარში გამარჯვების გამო, გორიდან თბილისში გადმოსვლა მოგიწევთ?***

— ისედაც თბილისში ვიყავი. ოთხი წელია აქ ვცხოვრობ სწავლის გამო. შარშან დავამთავრე და ძირითადად სულ აქეთ ვიყავი. ახლაც აქ ვაპირებ ყოფნას, იმიტომ, რომ შემოთავაზებები მაქვს.

***— არ გეამაყებათ, რომ გორელებმა სამჯერ მოიგეთ ჯეოსტარი?***

— აბა, რა! ეს ძალიან მაგარია! სამით სამია ანგარიში — სამჯერ მოიგო თბილისმა და სამჯერ — გორმა. ეტყობა, გვეკუთვნოდა და იმიტომ მოვიგეთ. მომავალ წელსაც წამოვიყვანთ გორიდან ვინმე ლომს, კიდევ მოვიგეთ და ოთხით სამი გახდება.

***— გვაშინებთ?***

— არა, როგორ გეკადრებათ! არც გაშინებთ, არც გემუქ-რებით, რაც რეალობაა, იმას გეუბნებით. ვხუმრობ, რა თქმა უნდა. საქართველოში ყველა მღერის, ეს ქვეყანა სიმღერისაა, ამიტომ სასიხარულოა, როცა ამდენი ნიჭიერი ადამიანი საკუთარ შესაძ-ლებლობებს ავლენს ფართო საზოგადოების წინაშე.

***— მეგობრებს თუ ურჩევთ „ჯეოსტარში“ მონაწილეო-ბას?***

— რა თქმა უნდა. მყავს მეგობრები, რომლებიც ძალიან კარგად მღერიან და მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა სცადონ ბედი. მარტო ჩემმა მეგობრებმა კი არა, ყველამ უნდა სცადოს ბედი, ვინც კარგად მღერის. „ჯეოსტარი“ ძალიან მაგარი პროექტია. არავინ დაიკარგება, ვინც კარგად მღერის, კარგი გემოვნება აქვს და კარგ მუსიკას უსმენს. „ჯეოსტარი“ არის პროექტი, რომელიც დამწყებ მომღერალს აძლევს საშუალებას, თუნდაც თავის შესაძ-ლებლობებში დარწმუნდეს და ავიდეს იმ დიდ ტრამპლინზე, რომლიდანაც გადახტომა ყველასთვის საამაყოა. საქართველოს დონეზე ვამბობ.

***— რატომ, უცხოეთში არ შეიძლება გასვლა?***

— ეს ცოტა რთული მომენტია საქართველოს შოუბიზნე-სისთვის. მეზობელ რუსეთში აღარ ჩავდივართ და... ჩემს თავს ვერ ვაკადრებ რუსეთში ჩასვლას.

***— უცხოეთში ევროპას ვგულისხმობდი.***

— რა ვიცი, მომავალი ყველაფერს გვიჩვენებს. ჯერ მინდა საქართველოში გავაკეთო ჩემი საქმე. მეპატიჟებიან სხვადასხვა გადაცემებში, ჩაწერები მაქვს, ჟურნალისტები მეკონტაქტებიან. ასე რომ, ჯერ აქაც ბევრი საქმეა.

***— ალბომზე მუშაობას როდის დაიწყებთ?***

— არ ვიცი, მაგრამ უახლოეს მომავალში დავიწყებთ ჩემს ალბომზე მუშაობასაც.

***— თქვენი ალბომის პროდიუსერიც მარინა ბერიძე***



***იქნება?***

— რა თქმა უნდა. აბა, სხვა ვინ უნდა იყოს? ჯერ არ ვიცი რამდენ ხანში დავიწყებთ მუშაობას, მაგრამ ყველაფერი ხარისხი-ანი რომ იქნება, ამის პირობას ვიძლევი.

***— რა სიმღერები შევა ალბომში?***

— ალბათ ალბომში შევა სიმღერების ჩემეული ვერსიები. ასე მინდა რომ იყოს.

***— ოთოსთვის რომ დაწერონ სიმღერები, არ გინდათ?***

— ძალიან მინდა, ეს ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება. მთავარია დავიწყოთ ალბომზე მუშაობა და მერე ყველაფერი გამოჩნდება.

***— გადატვირთულ გრაფიკს უკვე მიეჩვიეთ?***

— რაც „ჯეოსტარი“ დამთავრდა, ცოტა ნაკლებად ვარ გადატვირთული, იმ კუთხით, რომ არ მაქვს გამუდმებული რეპეტიციები, მაგრამ ჩაწერები და ინტერვიუები მართლა ბევრი მაქვს. ახლა და ახლა უფრო დაძაბული გრაფიკი მაქვს, მაგრამ ის პერიოდი სიგიჟემდე მენატრება, როცა გაუთავებელი რეპეტიცი-ები მქონდა და ჩემს საყვარელ ბენდთან ერთად ვმღეროდი. „რუსთავი ორის“ მუსიკალური რედაქცია ერთი დიდი ოჯახია და იქ ყოფნა დიდი ბედნიერებაა. ყველას ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. არაჩვეულებრივი გარემოა, მაგარი პედაგოგები — მანანა მასწ, ძალიან მიყვარხართ!

***— პედაგოგს მასწ-ს ეძახდით?***

— ყველა არა, მაგრამ მე ვეძახდი ასე — მანანა მასწ. ყველანი ძალიან მაგრები და კარგები არიან. არაჩვეულებრივი ბენდია, რომელთან მუშაობაც ერთი დიდი ბედნიერებაა. ასეთ ბენდს მეორეს საქართველოში ვერ ნახავთ. ეს ყველაფერი ნელ-ნელა ეწყობა და თვითონაც აზარტში შედიხარ და ეჩვევი იმ გარემოს. როცა ეს ყველაფერი სრულდება, უკვე ყველაფერი ძალიან გენატრება. ასე ვარ ახლა მეც.

***— ჯეოსტარელები ახლა სხვადასხვა კაფეებში, კლუ-ბებსა და რესტორნებში მუშაობენ. თქვენ თუ იმღერებდით?***

— ჯერ შემოთავაზება არ მქონია, მაგრამ მზად ნამდვილად ვარ იმისთვის, რომ ასეთ დაწესებულებაში ვიმუშავო. ძალიან მინდა სადმე ვიმღერო, მაგრამ ამ ეტაპზე კონკრეტული არაფერი მაქვს. მომავალში ყველაფერი გადაწყდება და საინტერესო წინადადებებსაც ველოდები. რაც მთავარია, მინდა, რომ ისევ ბენდთან ერთად ვიმღერო. უმეტეს კლუბებსა და რესტორნებში ბენდები უკრავენ, რაც ძალიან კარგია. არ მიყვარს ფონოგრამა და დიდი იმედი მაქვს, რომ ის ძალიან მალე სულ მოკვდება.

***— სანამ ფულიანი მამიკოები იქნებიან, ფონოგრამა არ მოკვდება.***

— ალბათ ასე იქნება, მაგრამ მე არ მაქვს ასეთ ადამიანებთან შეხება. ამიტომ არაფერი ვიცი.

***— როგორ გხვდებიან ქუჩაში?***

— ვმოძრაობ ჩვეულებრივი ტრანსპორტით და ვიცი ხალხის განწყობა. არც კი ვიცი ამ კითხვაზე როგორ უნდა გიპასუხოთ. ოთო ვარ გორიდან და მეტი რაღა ვთქვა?!

***— ეს თქვენი დევიზია?***

— არა, ეს დევიზი კი არ არის, ეს სიმართლეა. ჩემი დევიზია „მე თქვენთვის ყოველთვის ვიმღერებ!“ აი, ასეთი მაგარი დევიზი მაქვს.

***— გამარჯვების გჯეროდათ?***

— როდესაც თავიდან „ჯეოსტარში“ მივედი, მეგონა, რომ გავიდოდი მოსახლეობის რაღაც სეგმენტზე, რომელსაც ჩემი ნამღერი მოეწონებოდა. მერე ნელ-ნელა აღმოჩნდა, რომ უფრო მეტს მოვწონდი, ვიდრე მეგონა. ყველა ჟანრი, რაც ტურიდან ტურში მომცეს პედაგოგებმა, ჩემებურად მოვირგე. არ ვიცი, ალბათ იმიტომ მოვეწონე უმრავლესობას და პროექტიც იმიტომ მოვიგე, რისთვისაც ყველას კიდევ ერთხელ ძალიან დიდ მადლობას ვეუბნები, თუნდაც სიტყვიერი მხარდაჭერისთვის. ყველა თაობას როცა უყვარხარ საქართველოში, ეს უდიდესი სტიმულია იმის-თვის, რომ უფრო მეტად გაიხსნა, იყო თავისუფალი, მეტი გააკეთო და არ იყო შებოჭილი.

***— როცა გოგონებს უყვარხარ?***

— ო, ეს კიდევ უფრო განსაკუთრებულია! სცენიდან მამაკაცური ენერგეტიკა მოგაქვს, ქართველი კაცი ხარ და როგორი მომენტი უნდა იყოს? ძალიან სასიამოვნოა.

***— ეს მარინა ბერიძის ტერმინოლოგიაა?***

— ძარღვი მაქვს ხმაში და ორგანული ვარ. ძალიან კარგია, როცა ვიღაცას მოსწონხარ, გოგონებს მით უმეტეს. რატომ არ უნდა მომწონდეს გოგონების ყურადღება?! მივეჩვიე ყურადღებას და მეც მიხარია. როცა ამდენი ხალხის ყურადღებას ვგრძნობ, ძალიან ბედნიერი ვარ.

***— მშობლები მიეჩვივნენ, რომ ასეთი პოპულარული შვილი ჰყავთ?***

— კი, უკვე მიეჩვივნენ. ძალიან უხარიათ და ამაყობენ ამით. ჩემმა ოჯახმა და სამეგობრომ ძალიან ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ ამ შედეგისთვის მიმეღწია. ამისთვის მათ ძალიან დიდი მადლობა.

***— ისევ მოყვარულის დონეზე იმღერებთ თუ პროფესი-ულად უნდა გაიზარდოთ?***

— ჩაბარებას და სადმე სწავლას ალბათ ვერ მოვახერხებ, იმიტომ, რომ პარალელურად სხვა საქმეებიც მაქვს. უკვე გადაწ-ყვეტილი მაქვს, რომ აუცილებლად ვივლი პედაგოგთან და უფრო სხვანაირად მოვემზადები. თუმცა, როგორც ჩანს, ჩემს მიმართე-ბაში ბუნებრიობა უფრო მოსწონს მაყურებელს, ვიდრე დაყენე-ბული ვოკალი. ამით იმის თქმა მინდა, რომ როცა სპექტაკლი გაქვს, სცენაზე გამოხვედი და ბოლომდე არ დაიხარჯე, ამას მაყურებელი აუცილებლად შეამჩნევს. მე ასე არ შემიძლია, ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები და ალბათ სწორედ ეს მოსწონს მაყურებელს ჩემში.

***— უკვე გადაწყვიტეთ, რომელ მუსიკალურ ინსტრუმენ-ტებზე ისწავლით დაკვრას?***

— გიტარაზე დაკვრა ვიცი, მაგრამ აკორდები არ ვიცი, ჩემით ვაწყობ მელოდიებს. თუმცა ეს არ მაკმაყოფილებს, ძალიან მინდა რამდენიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა ვისწავლო. ჩანაფიქრები მაქვს, თუკი გამომივა, ძალიან ბედნიერი ვიქნები.

***— „ჯეოსტარის“ ტურებიდან ყველაზე მეტად რომელი ჟანრის მორგება გაგიჭირდათ?***

— „ჯეოსტარში“ არ ყოფილა ტური, რომლის სიმღერაც ვერ მოვირგე, მაგრამ ყველა სიმღერაზე ძალიან ბევრი ვიწვალე.

***— როკი, ჯაზი, ბლუზი, ფოლკი, ყველაფერი თქვენია?***

— აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ჩემია და აბა მეტი რა გითხრათ?! საბოლოოდ ასე გამოვიდა. არასოდეს მეგონა, რომ თავს ვაკადრებდი ისეთ მომღერლებს, როგორებიც არიან ნინა სიმონე და რეი ჩარლზი, მაგრამ მაკადრებინეს და რა ვქნა? მგონია, რომ ცუდი არ გამომივიდა. ეს მომღერლები ჩემთვის ხელშეუხებ-ლები და მიუწვდომელები არიან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვცდებოდი, თურმე რაღაც დონეზე შეხებაც შეიძლება.

***— ოჯახის წევრები გორიდან გგულშემატკივრობდნენ თუ თბილისში ჩამოდიოდნენ?***

— ჩემი ოჯახის წევრები ყველა ტურზე თბილისში იყვნენ, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ისხდნენ და განიც-დიდნენ ჩემთან ერთად. ღმერთს დიდი მადლობა პირველ რიგში, რომ საერთოდ მოვევლინე ამ ქვეყანას და რაღაც ნიჭი მომცა. მშობლები რომ არ ყოფილიყვნენ ასეთები, შეიძლება არც მემღერა. დედამ სიმღერა მასწავლა და მამამ ხელი შემიწყო. ჩემი მშობლები ფინალშიც ჩემს გვერდით იყვნენ. მათ არასოდეს დავუტოვებივარ, ყოველი კონცერტის დროს ჩემს გვერდით იყვნენ. ისიც კი ვიცოდი, სად ისხდნენ და სულ თვალებში ვუყურებდი ჩემს მშობლებსაც და ჩემს მეგობრებსაც. ჩემს მეგობრებსაც დიდი მადლობა, მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ზედმეტი პრობლემები არ მქონოდა და მხოლოდ პროექტზე ვყოფილიყავი გადართული. მართლა ძალიან, ძალიან მენატრება ეს ყველაფერი. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩავეხუტოთ ერთმანეთს.

***— ახალ მანქანას უკვე მართავთ?***

— არა, ჯერ არ გამოგვიყვანია. ამ ეტაპზე საბუთების მოგროვებისა და გადაფორმების პროცესი მიმდინარეობს. მთელი პროცესებია ჩასატარებელი, რომ მანქანა ჩემი გახდეს.

***— მანქანის მართვა იცით?***

— არა, მართვა არ ვიცი და არც მართვის მოწმობა მაქვს, მაგრამ ვისწავლი აუცილებლად. მოკლედ, მანქანა მაქვს და მართვის მოწმობა მაკლია.

***— გამოცდები უნდა ჩააბაროთ? ამბობენ, გაადვილე-ბულია მართვის მოწმობის აღებაო.***

— ვინ გითხრათ, რომ გაადვილებულია? ადრე 100 დოლარს გადაიხდიდი და ეგრევე გჩუქნიდნენ მართვის მოწმობას. გყავდა 07 და სადაც გინდოდა მიარტყამდი, მერე გადმოიღებდი ჩაქუჩს და გამოასწორებდი თვითონვე.

***— მანქანა ნახეთ?***

— კი, უკვე ვნახე. მაგრამ ვიზუალურად არა, ინტერნეტით ვნახე და ძალიან მომეწონა. კარგი, ახალი, თანამედროვე მანქანაა.

***— თქვენი მომავალი ისევ მუსიკას უკავშირდება?***

— რა თქმა უნდა. სიახლეებით, კეთილი სურვილებით, პატივისცემით და დიდი სიყვარულით და დროებით თქვენი მონა-მორჩილი ოთარ ნემსაძე.

***— აბა, ოთო ვინ დაგარქვათ, დუტამ?***

— ოთარი არასოდეს ვყოფილვარ, ყოველთვის ოთო ვარ. ზოგისთვის ბურლუთა ვარ, მაგრამ უმეტესობა მაინც ოთოს მეძახის. კახელებს ხომ ჰყავთ თავისი ბურლუთა, გორელებსაც ერთი ბურლუთა ვყავარ.

***— გორში როგორ შეგხვდნენ?***

— ძალიან მაგრად. გორში 31 დეკემბერსვე ჩავედი, სადაც ძალიან ბევრი ხალხი დამხვდა. ისინი სიცივეში ერთად იყვნენ შეკრებილი და უყურებდნენ ჯეოსტარის ფინალს. ჩემი მშობლი-ური კუთხის მხარდაჭერა ჩემთვის უმთავრესი და უმნიშვნელოვა-ნესია. მთელ საქართველოს ვუხდი დიდ მადლობას ჩემი მხარდაჭერისთვის.

# მდიდარი და ხელგაშლილი ჰიუ გრანტი

**ჰიუ გრანტი, ინგლისელი მსახიობი და პროდიუსერი, უამრავი მანდილოსნის გულისმპყრობელი, მაყურებლისთვის ძირითადად რომანტიული კომედიებითა და მელოდრამებით არის ცნობილი. კანის კინოფესტივალის ლაურეატი, ფილმში „მორისის" როლის შესრულებისთვის.**




### ბავშვობა

ჰიუ გრანტი, რომლის სრული სახელია ჰიუ ჯონ მუნგ გრანტი, 1960 წლის 9 სექტემბერს დაიბადა საშუალო კლასის მხატვრის, ჯეიმს გრანტის მოკრძალებულ ოჯახში. მამამისი ხალიჩების გაყიდვით არჩენდა ოჯახს, დედა კი მასწავლებელი ჰყავდა. მათი სახლი ლონდონის გარეუბანში მდებარეობდა და სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა.

პატარა ჰიუმ სცენაზე გამოსვლა ჯერ კიდევ სკოლის ასაკში დაიწყო, სადაც ადგილობრივ დრამწრეში ჩაეწერა. სკოლა მარტო ბიჭებისთვის იყო, ამიტომ გრანტს ძირითადად ქალის როლების შესრულება უწევდა და უნდა ითქვას, რომ ეს კარაგადაც გამოსდიოდა. როლებისთვის კი ტანსაცმელს დედა უკერავდა.

„ლატიმერის" სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1979 წელს გრანტი ოქსფორდის უნივერსიტეტის კოლეჯში, „ნიუ კოლეჯში" მოეწყო და უნდოდა ხელოვნებათმცოდნე გამოსულიყო. სტუდენტობისას გრანტი აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა. იყო დახურული სტუდენტური კლუბის წევრი, დგამდა პატარ-პატარა სცენებს სტუდენტურ თეატრში, თამაშობდა კომიკოსთა ჯგუფში „ხუმარები ნორფოკლიდან".

### შემთხვევით ვარსკვლავი

სტუდენტობის პერიოდში გრანტმა ჰოლივუდის მომავალი რეჟისორი, მაიკლ ჰოფმანი გაიცნო და დაუმეგობრდა. ჯერ ისევ ახალგაზრდა გრანტი ერთხელ ჰოფმანმა უბრალოდ მიიწვია თავის ფილმში გადასაღებად და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ჰიუს საკმაოდ კარგად გამოუვიდა. ასე მოხვდა 1982 წელს სტუდენტი ჰიუ გრანტი დიდ ეკრანზე.

ლონდონში, ფილმ „პრივილიგირებულის" პრემიერის შემდეგ მასთან უწყვეტი რაოდენობით დაიწყო აგენტების სტუმრობა, რომელიც გრანტს სუპერვარსკვლავად გახდომას ჰპირდებოდნენ. თავდაპირველად ახალგაზრდა ბიჭს ეს წინადადებები აბსურდული ეგონა. თავადაც არ მიუწევდა გული მსახიობობისკენ და სულ სხვა გეგმები ჰქონდა, მაგრამ მაცდუნებელ წინადადებებს ვერარ გაუძლო და შორს მიმავალ გეგმებზე უარი თქვა.

ასე მოხვდა ტიპიური იგლისელი სნობი, ოქსფორდდამთავრებული ბიჭი უბრალო იჯახიდან შოუ-ბიზნესში. როგორც შემდგომ გაირკვა, მისი ნაბიჯი გამართლებული აღმოჩნდა.

### კინოკარიერა

ჰიუ გრანტის საფირმო ნიშნად ნერვიული, თუმცა ბიჭური გრძნობა, სუფთა და უძირო თვალებიდან ბრწინვალება გახდა. მაყურებელს უკვე „აბოდებდა" ახალგაზრდა მსახიობზე.

გრანტი ბრიტანულ ტელესერიალებში თამაშის შემდეგ დიდი პოპოულარობით სარგებლობდა და 1986 წელს რეჟისორმა ჯონ აივორმა ფილმში „მორისი", ბისექსუალი არისტიკრატის, კლაივის როლის შესასრულებლად მიიწვია. ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაღებული მელოდრამა შეყვარებულ „ცისფერ" სტუდენტებზეა. ამ როლმა მსახიობს აღიარება მოუტანა, თვით კრიტიკოსებიც კი ვერ ფარავდნენ აღფრთოვანებას. ვენეციის კინოფესტივალზე კი მთავარი ჯილდო აიღო, რომელიც მისივე პარტნიორ ჯეიმს ვიბლისთან გაიყო.

„მორისი" გახდა პირველი ფილმი, სადაც გრანტმა ჰომოსექსუალისტის როლი ითამაშა.

იმავეს წელს რეჟისორმა მაიკლ რედფორდმა მსახიობი კრიმინალურ-რომანტიულ ტრილერში „თეთრი ბოროტება" გადაიღო.

ასე გახდა ჰიუ გრანტი ცნობილი, მაგრამ თავის თავში არადამაჯერებელი მსახიობი. გრანტი ყოველი ახალი როლის შეთავაზების შემდეგ საშინლად ნერვიულობდა, ეჭვი ეპარებოდა გადაღებების დროს ყოველ მის მოძრაობაზე და მხოლოდ მაშინ მშვიდდებოდა, როდესაც ფილმი ეკრანზე გამოდიოდა და ახალი აღიარება მოჰქონდა.

როდესაც გრანტი სინჯებზე მივიდა ფილმში „შეყვარებული შექსპირის" გადაღებების დროს, ისე ნერვიულობდა, რომ ასევე სინჯებზე მყოფმა ჯულია რობერტსმა დასაწყნარებლად სახლში გაუშვა. თუმცა, მსახიობს ამანაც ვერ უშველა — მეორე დღეს გრანტი უფრო ანერვიულებული იყო და სკამზე დაჯდომაც ვერ მოახერხა. ამის მიუხედავად, გრანტს როლის შესრულება შესანიშნავად გამოუვიდა.

1988 წელს მსახიობი ერთბაშად 5 ფილმში გადაიღეს. ერთია, ამ ფილმებში „დიდი როლები" არ შეხვედრია და მაყურებელიც დიდად არ აღუფრთოვანებია, მაგრამ სამსახიობო გამოცდილება შეიძინა, რომელიც შემდეგში ძალიან წაადგა.

1991 წელს, რამდენიმე ამერიკულ ფილმში შეუმჩნეველი როლების შესრულების შემდეგ, მსახიობი ევროპაში დაბრუნდა და დიდებულად ითამაშა დიდი შოპენის როლი ფილმში „ექსპრომტი". ფილმში კომიკურად არის აღწერილი პოლონელი კომპოზიტორისა და ფრანგი რომანისტის, ჟორჟ სანდის სიყვარულის ამბავი.

იმავე წელს გრანტმა არანაკლებ შესანიშნავად ითამაშა ბანალური რიჩარდის როლი ფილმში „გამოცდილება ოზების ქვეყნიდან". ამას მოჰყვა მთავარი როლის შესრულება შიდსის თემაზე გადაღებულ ფილმში „ჩვენი შვილები". ფილმმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და დიდი აღიარება მოიპოვა, ხოლო ჰიუ გრანტი ნაციონალურ გმირად შერაცხეს.

### ჰოლივუდში გადასვლა

რომანტიული კომედიის, „ოთხი ქორწილი და ერთი გასვენება" არანორმალურმა წარმატებამ მსახიობს დიდი აღიარება მოუტანა და ჰოლივუდში შესამჩნევი ფიგურა გახადა. მისი დუეტი ენდი მაკდაულეთან ყველა პოპულარული საინფორმაციო საშუალების თემად იქცა, კრიტიკოსები მხოლოდ ქათინაურებად იღვრებოდნენ. ენტონი ჰოპკინსის შემდეგ გრანტი გახდა ყველაზე აღიარებული ინგლისელი მსახიობი ჰოლივუდში და მსახიობიც თავის მეგობარ გოგონასთან, მსახიობ და მოდელ ელიზაბეტ ჰერლისთან ერთად ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად.

1994 წელი მსახიობის კარიერაში გარდამტეხი აღმოჩნდა — ჰოლივუდმა მის წინ ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები გაშალა.

1995-96 წლებში გრანტმა 7 ფილმში მიიღო მონაწილეობა. ამათგან ყველაზე გამორჩეული ინგლისელი მწერლის, ჯეინ ოსტინის რომანის, „გრძნობა და გრძნობიარობა" ეკრანიზაცია იყო. ასევე დასამახსოვრებელი იყო მის მიერ შესრულებული როლები ფილმებში „საშინელი დიდი თავგადასავალი" და „ინგლისელი, რომელიც ბორცვზე ავიდა, მაგრამ მთიდან დაეშვა".

### „ცხრა თვე"

1995 წელს, გრანტის ახალი ფილმის ეკრანებზე გამოჩენამდე მცირე ხნით ადრე, პოლიციამ ჰოლივუდის ბულვარში, თავისივე ავტომობილში მსახიობი მაშინ დააკავა, როდესაც მეძავ დივაინ ბრაუნთან ორალური სექსით იყო დაკავებული. პოპულარული ფრანგული ფილმის „ცხრა თვე"-ს რიმეიქი დღემდე წითელი ხაზით არის გადასმული გრანტი ცხოვრებაში.

ჰიუ გრანტს მტელი პროგრესული საზოგადოებისთვის მოუხდა იმის დამტკიცება, რომ მეძავთან სექსი უბრალო სკანდალი კი არ იყო, არამედ სახალხო აქტი მე-20 საუკუნის ჭირის, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ ფაქტმა აღიარება უფრო დივაინ ბრაუნს მოუტანა, რომელიც გრანტთან სექსის შემდეგ რამდენიმე ტელეშოუში მთავარ როლში გადაიღეს. ბრაუნი ასევე მონაწილეობას იღებდა წინდების სარეკლამო რგოლებში.

გრანტის სახალხო ეროტიკული სცენები უკვე ფილმებში გაგრძელდა. კერძოდ კი, რომან პოლანსკის სექსუალურ მელოდრამაში „მწარე მთავარე".

1996 წელს ფილმში „ყოველი შემთხვევისთვის" მონაწილეობის შემდეგ, მაყურებელი სერიოზულად ჩაფირდა, თუ რომელი სამსახიობო კატეგორიისთვის მიეკუთვნებიათ ჰიუ გრანტი — დრამატული, კომედიური თუ „ექშენი". საქმე ის არის, რომ გრანტმა სწორედ ამ ფილმში გახსნა თვავისი ახალი სამსახიობო თვისებები. გრანტის გმირი კარგად მართავდა მოტოციკლს, დარწმუნებით ჩხუბობდა და მიზანში ზუსტად ისროდა.

ნიკ ჰორნბის წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმის, „ჩემი შვილი" გამოსვლის შემდეგ მსახიობი იმდენად მოიხიბლა თავისივე როლის შესრულებით, რომ გადაწყვიტა საერთოდ აღარ ემუშავა მსახიობად. ის თვლიდა, რომ ამ როლით ყველაფერი დაამტკიცა და სხვა სიმაღლეს ველარასდროს მიაღწევდა.

44 წლის ასაკში კი, მსახიობმა მიიჩნია, რომ რომანტიული კომედიები გარკვეულ ზღვრამდე უნდა ითამაშოს.

და მსახიობმაც შესვენება აიღო.

### დაბინდებული პოპულარობა

გრანტი 1997 და 1998 წლებში საერთოდ არც ერთ ფილმში არ მიუღია მონაწილეობა. წარსული პოპულარობა კი 1999 წელს დაბრუნდა, როდესაც ეკრანებზე მელოდრამა „ნოტინგ ჰილი" გამოვიდა. ფილმში გრანტის მეწყვილე უმშვენიერესი ჯულია რობერტსია.

კინოგაქირავებაში შემდეგი წარმატებული ფილმები „ცისფერთვალება მიკი" და „ბრიჯიტ ჯონსის დღიური" იყო, ხოლო საშობაო რომანტიკულმა კომედიამ „რეალური სიყვარული" კიდევ უფრო გაამყარა მისი პოპულარობა.

მაყურებელმა კვლავ დაინახა ჩვეული ჰიუ გრანტი — მელოდრამული კომედიების იდეალური პერსონაჟი. სწორედ ასეთად იყო წარმოდგენილი ბრიჯით ჯონსის ორნაწილიან გმირის დროს.

2004 წლიდან გრანტის გმირი რამდენადმე შეიცვალა. მართალია, ის ისევ რჩებოდა მთავარ პლეიბოიდ, მაგრამ უკვე ტკბილიც იყო და მწარეც, სიმართლის მოყვარულიც და დიდი მატყუარაც.



მსახიობის წარმატებას და დიდებას მეტი თავდაჯერება შემატა 2007 წელს გადაღებულმა რომანტიკულმა კინოკომედიამ „თვალით აღარ დამენახო, ეშმაკსაც წაუღიხარ".



### პირადი ცხოვრება

თავის თავზე ჰიუ გრანტი, ისევე როგორც კინოვარსკვლავების დიდი ნაწილი, ძალიან ცოტას ლაპარაკობს. მსახიობი ყოველთვის ამჯობინებდა თავისი პირადი ცხოვრების დეტალები გახმაურებული არ ყოფილიყო. თუმცა, გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება შეუმჩნეველი მაინც არ რჩება.

როდესაც 2000 წელს გრანტი და ჰერლი 13-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ, მსახიობის დედამ შვებით ამოისუნთქა.

— უკვე მობეზრებული მქონდა მათი ყოველდღიური სკანდალი, — განაცხადა გრანტის დედამ.

თავად ლიზი კი ამბობდა, რომ მათ არასდროს მოსვლიათ აზრად დაქორწინებულიყვნენ. ბრიტანელი მსახიობი კი თვლიდა, რომ შვილები ის სულიერები არიან, რომელთაც ცხოვრებაში ქაოსი შემოაქვთ. ამის მიუხედავად, გრანტი მზად იყო ბიჭი ეშვილა და თითქოს წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა.

თავის შემდგომ მეგობარ გოგოს გრანტი დიდი ხნის მანძილზე ირჩევდა და საბოლოოდ, 30 წლის ლამაზმანზე, შესანიშნავი გარეგნობისა და ღრმა ინტელექტის მქონე ჯემიმე ჰანზე, მილიარდელ ჯეიმს გოლდსმიტის ქალიშვილზე გაჩერდა.

რათა დარწმუნებულიყო თავის მდგომარეობაში, გაცნობიდან რამდენიმე თვეში გრანტმა გოგონას საქორწილო წინადადებით მიმართა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. ამ ფაქტმა მსახიობი ძალიან აღაშფოთა. 2006 წლის დასაწყისში წყვილი ერთმანეთს დაშორდა. როგორც ჯემიმა აცხადებდა, გრანტი აუტანელი იყო.

მსახიობიც მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე — სიყვარული სხვა არის, ოჯახის შექმნა — სხვა!

ლონდონში მსახიობს 4 რეზიდენცია აქვს, რომლებიც ერთმანეთისგან ნახევარი მილის დაშორებით მდებარეობს. თუმცა, როგორც ამბობენ, გრანტს საერთოდ არ აქვს გემოვნება და სახლები ერთმანეთზე უარესად არის გაფორმებული. თავის მთავარ ღირსებად მსახიობი სიმდიდრესა და ხელგაშლილობას მიიჩნევს.

### საინტერესო ფაქტები

ჰიუ გრანტი თავისი ყოფილი მეგობარი გოგონას ელიზაბეტ ჰერლის შვილის ნათლიაა. ის ხშირად სტუმრობს ორივე მათგანს, მაგრამ მათი ურთიერთობა მხოლოდ ამით შემოიფარგლება.

1995 წელს ჟურნალმა „ამპაირმა" ჰიუ გრანტი 100 ყველაზე სექსუალურ კინოვარსკვლავთა შორის 43-ე ადგილზე დააყენა.

კარიერის დასაწყისში მსახიობი ცნობილი იყო როგორც ჰიუგი გრანტი.

ჰიუ გრანტი სერიოზულად არის გატაცებული გოლფით და როგორც თავად ამბობს, ისე შეიტყუა, რომ ნარკოტიკზე ძლიერი აღმოჩნდა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# არიენ რობენი: „მსურს, გუნდში მნიშვნელოვან როლს ვასრულებდე“

არიენ რობენი ევროპულ ფეხბურთში ერთ-ერთ ყველაზე ტრავმულ მოთამაშედ ითვლება. სულ მცირე რამეზეც კი არიენი დიდი ხნის განმავლობაში აღმოჩნდება ხოლმე საავადმყოფოში. საქმე იქამდე მივიდა, რომ მას ზედმეტსახელიც შესაფერისი მოუძებნეს — „ბროლის ფეხები“. ძნელი სათქმელია, რას უკავშირდება ჰოლანდიელის ასეთი სამწუხარო რეალობა, მაგრამ ბოლოს რობენმა გულშემატკივრები საკუთარი თამაშით სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაახარა. მას შემდეგ არიენი გამუდმებით მკურნალობს და მკურნალობს.

სწორედ მისი დრიბლინგი, ფლანგური გარღვევები, ინდივიდუალური ოსტატობა და საგოლე ინსტინქტი დაეხმარა მიუნხენის „ბაიერნს“ გასულ სეზონში ბუნდესლიგის მოგებასა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაში. გულშემატკივრის მეხსიერებაში კიდევ დიდხანს დარჩება „ოლდ ტრაფორდზე“ რიბერის ჩაწოდების შემდეგ „მანჩესტერის“ კარში მის მიერ გატანილი გოლი. არიენისთვის სამწუხაროდ, 2010 წელს მისმა გუნდმა ერთბაშად ორი ფინალი დათმო. ჯერ მისი „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მილანის „ინტერთან“ შერცხვა, მერე კი ჰოლანდიის ეროვნულმა ნაკრებმა ესპანელებთან ოთხწლედის უმნიშვნელოვანესი ტურნირის ფინალი წააგო. ამასთან, მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტ შეხვედრაში რობენი იკერ კასილასის პირისპირ ორჯერ აღმოჩნდა, მაგრამ მომენტების გამოყენება ვერ მოახერხა.

***— საუბარი გასული წლის იანვარ-ივლისის პერიოდით დავიწყოთ. ეს მონაკვეთი თქვენს საფეხბურთო კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო?***

— შესაძლოა, მაგრამ ეს ნორმალურია, როდესაც თითქმის ყველაფერს მიაღწევ, რისკენაც მიილტვი, რისი იმედიც გაქვს. კლუბთან ერთად გერმანიის ჩემპიონატი და ქვეყნის თასი მოვიგე, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვითამაშე. ეროვნულ გუნდთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე გადამწყვეტ მატჩამდე მივაღწიე. ყველანაირი წინაპირობაა საიმისოდ, რომ ამ სეზონს ჩემს კარიერაში საუკეთესო ვუწოდოთ.

***— თქვენი თანაკლუბელები დეკემბრის შუა რიცხვებიდან ისვენებდნენ. არ შეგეძლოთ, მოგეთხოვათ და დამატებით გევარჯიშათ?***

— არა, ვგრძნობ, რომ ზამთრის შესვენება ჰაერივით მჭირდებოდა. ფიზიკურად, ცოტა არ იყოს, გადაღლილი ვარ. უკანასკნელი თვეები ძალიან რთული და ენერგიის გამცლელი იყო როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დასვენება საუკეთესო ვარიანტი იყო და მწამს, სეზონის განახლებას ასი პროცენტით მზად შევხვდები.

***— როგორია გუნდთან ერთად სრულფასოვანი ვარჯიშის განახლება?***

— სრულყოფილების შეგრძნება დიდებული რამაა! აქამდე ვერც კი წარმოვიდგენდი, განსაკუთრებული სპეციფიკური შეგრძნება თუ მექნებოდა. როდესაც გუნდთან ერთად დიდი ხნის განმავლობაში ვერ ვარჯიშობ, ხოლო ჩემს შემთხვევაში ეს პერიოდი მთელი ხუთი თვე გაგრძელდა, თანაგუნდელებთან ხელახლა შესათამაშებლად და დავალებების ასათვისებლად დამატებითი დრო გჭირდება. დარწმუნებული ვარ, შეჩვევის პროცესი სწრაფად და კარგად ჩაივლის. ახლა კარგ ფიზიკურ ფორმაში ვარ და ძალისმიერ დატვირთვებს სრულ მზადყოფნაში ვხვდები.

***— რას აკეთებს კლუბის სამედიცინო შტაბი?***

— ვინმეს რეკომენდაცია და პირადი ფიზიოთერაპევტი არ მჭირდება. მუშაობისაკენ თავს მე თვითონ ვუბიძგებ და განსაკუთრებით შექმნილ სიტუაციაში ხელებდაკაპიწებული ვივარჯიშებ. არავის თქმა არ მჭირდება, ყველაფერი თავადაც კარგად ვიცი.

***— მიღებული ტრავმის შემდეგ თქვენ უფრო მეტად უგდებთ ყურს საკუთარ სხეულს?***

— არა, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. საკუთარი სხეულის მდგომარეობა ძალიან კარგად ვიცი და ყველა აუცილებელი ვარჯიშის შემდეგ დამატებით კიდევ ვმუშაობ. ექიმები და მიუნხენის „ბაიერნის“ მთელი შტაბი ჩემზე ბევრს ზრუნავენ. პატივცემული მიულერ-ვოლფარტის ხელმძღვანელობით ექიმების ფანტასტიკური გუნდი გვყავს.

***— ლუის ვან გაალმა თქვა, რომ „ვოლფსბურგთან“ მატჩში 20 წუთით მოედანზე თქვენს გაყვანას გეგმავს. ამის გაგონებამ გაგახარათ?***

— ახლა თავს კარგად ვგრძნობ და ყველა ერთად შევხედავთ, 15 იანვრისთვის რა მდგომარეობაში ვიქნები. თუ 20 წუთს დამითმობენ, მოხარული ვიქნები. სწორედ ამიტომ გვყავს მწვრთნელი, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები მიიღოს. ჩემგან მხოლოდ იმას მოითხოვენ, რომ რაც შეიძლება მალე ვიქცე გუნდის ნაწილად.

***— „ბაიერნში“ თქვენი არყოფნა გერმანიის ბუნდესლიგის პირველ წრეზე არცთუ კარგად აისახა. ხალხი ამბობს, რომ რობენის დაბრუნების შემდეგ მიუნხენელები მნიშვნელოვნად მოუმატებენ. არ გრძნობთ ზეწოლას?***

— ეს სიტყვები მეც მოვისმინე. მსურს, გუნდში მნიშვნელოვან როლს ვასრულებდე, როგორც კი ამის საშუალება მექნება. მაგრამ, მოდით, ლოგიკურები ვიყოთ — მთელი ექვსი თვეა, არ მითამაშია. ადვილი არ იქნება. არ შეიძლება, ერთ საათში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს მხოლოდ იმის გამო, რომ მე მოედანზე ვიქნები. ერთი შეხედვით ყველაფერი ადვილია, მაგრამ სინამდვილეში ასე არაა.



***— რა დრო დაგჭირდებათ იმისათვის, რომ სათამაშო ფორმის პიკს მიაღწიოთ?***

— წარმოდგენაც არ მაქვს. მხოლოდ იმის პირობა შემიძლია მოგცეთ, რომ შესაძლებელზე ასი პროცენტით მეტად დავიხარჯები, რათა ეს მაქსიმალურად მოკლე ვადაში მოხდეს.

***— გჯერათ, რომ „ბაიერნი“ ბუნდესლიგის მოგებას კიდევ შეძლებს?***

— რეალისტები უნდა ვიყოთ და მოწინააღმდეგეებს პატივი ვცეთ. „დორტმუნდისთვის“ ჩემპიონატის პირველი ნაწილი წარმოუდგენლად იღბლიანი იყო და ტიტულისაკენ გიგანტური ნაბიჯი გადადგა. ვფიქრობ, მათი 14-ქულიანი უპირატესობის აღმოფხვრა შეუძლებელია. თუმცა, ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და სიტუაცია წამიერად შეიცვალოს. მაქსიმუმს გავიღებთ, ცდას არ დავაკლებთ და ვნახოთ, ამით რა შედეგს მივიღებთ. ყოველ შემთხვევაში, მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ იოლი გამოცდა არ გვექნება.

***— „ბაიერნს“ ბრწყინვალე შანსი ეძლევა, რათა მილანის „ინტერთან“ ჩემპიონთა ლიგის გასული გათამაშების ფინალში განცდილი მარცხისათვის ახლა მეთექვსმეტედფინალში რევანში აიღოს.***

— პირადად ჩემთვის რევანშის იდეა არც ისე მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ „ინტერთან“ არცთუ იოლი შეხვედრა გველის. მილანელები ტაქტიკურად ძლიერები არიან და ბრწყინვალედ თამაშობენ დაცვაში. ნებისმიერ შემთხვევაში იტალიური კლუბები ჩემპიონთა ლიგაზე ყოველთვის კარგად გამოიყურებიან.



# ლივერპული კენი დალგლიშის იმედად

როი ჰოჯსონის წასვლის შემდეგ „ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე შოტლანდიელ კენი დალგლიშის დაბრუნებამ გუნდის ფანები გაახარა — მეფე კენი ხომ მერსისაიდული კლუბის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია.

როდესაც 1977 წელს ლეგენდარულმა ბობ პეისლიმ დალგლიში „ენფილდზე“ მიიწვია, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შოტლანდიელი ინგლისურ გრანდში ამდენს მიაღწევდა. იმდროინდელი ბევრი წარუმატებელი ტრანსფერისგან განსხვავებით, „სელტიკის“ ყოფილმა ფორვარდმა თავიდანვე მოახერხა ლივერპულელთა მომხრეების გულის მონადირება. ეს მით უფრო გასაკვირია იმის ფონზე, რომ 440.000 გირვანქად შეძენილმა კენიმ გუნდში „ჰამბურგში“ წასული კევინ კიგანი შეცვალა. კიგანის ავტორიტეტი ძალიან მაღალი იყო და გარკვეული პერიოდით ფანებს უიმედობის განცდაც კი დაეუფლათ, მაგრამ ისინი ოპტიმისტურ განწყობაზე კენი დალგლიშმა მოიყვანა. გლაზგოელმა ჭაბუკმა „ლივერპულის“ შემადგენლობაში პირველი მატჩი „მიდლსბროს“ წინააღმდეგ ჩაატარა, მეორე შეხვედრა კი უკვე „ენფილდზე“ გამართა „ნიუკასლ იუნაიტედის“ პირისპირ და ტრიბუნებზე მრავლად შეკრებილი გულშემატკივარი ეფექტური გოლითაც გაახარა. დალგლიში მალე იქცა ბობ პეისლის „წითელი მანქანის“ ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმად. მისი ავტორიტეტი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. „ენფილდმა“ კენი ახალ გმირად აღიარა, რასაც დალგლიში მონდომებული და ოსტატური თამაშით პასუხობდა. კენი მალევე გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, განსაკუთრებით ლამაზი ბურთი მან 1978 წელს ლონდონის „უემბლიზე“ ჩემპიონთა თასის ფინალში ბელგიურ „ბრიუგეს“ გაუტანა, „ლივერპულს“ ზედიზედ მეორედ მოაგებინა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო პრიზი, თავად კი პირველად გახდა მნიშვნელოვანი გათამაშების გამარჯვებული. კენი დალგლიშისთვის განსაკუთრებულად წარმატებული მომდევნო ანუ 1979 წელი გამოდგა. შოტლანდიელი ნისლიანი ალბიონის წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა კენიმ კი „ლივერპულს“ ინგლისის ჩემპიონატი დამაჯერებლად მოაგებინა. დალგლიშს ლივერპულური პუბლიკა აღტაცებაში არა მარტო დიდოსტატური თამაშით მოჰყავდა, არამედ თავდადებული ასპარეზობით პარტნიორებისთვის მაგალითის მიმცემიც გახლდათ. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კენი დალგლიშისა და იან რაშის დუეტი „ლივერპულის“ მიერ საშინაო და საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებული ტრიუმფების სულისჩამდგმელი იყო, შოტლანდიელს კი ისეთი ვარსკვლავების გვერდით მოიხსენიებდნენ, როგორებიც დიეგო მარადონა, ზიკო, მიშელ პლატინი და კარლ ჰაინც რუმენიგე იყვნენ.

აი, ასეთი საყვარელი მოთამაშე ჩაუდგა სათავეში ამჟამად არცთუ დალხინებულ „ლივერპულს“. ეს ამბავი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში გახმაურდა და როდესაც „ოლდ ტრაფორდის“ ტრიბუნაზე მოკალათებულმა ლივერპულელმა გულშემატკივრებმა გასახდელიდან გამოსული კენი დალგლიში დაინახეს, ისეთივე გულითადი შეხვედრა მოუწყვეს, როგორი სიყვარულითაც ხვდებოდნენ ისინი თავიანთ კერპს „ენფილდ როუდზე“ გამოჩენისას.

კენი დალგლიშს „ლივერპული“ ადრეც გაუწვრთნია და ამ პოსტზეც არაერთხელ გაუხარებია გუნდის მომხრეები. „მეფე კენის“ დამოძღვრილმა ენფილდელებმა 1986, 1988 და 1990 წლებში ინგლისის ჩემპიონობა მოიპოვეს, 1986 და 1989 წლებში ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციის თასს დაეუფლნენ, 4-ჯერ კი ინგლისის სუპერთასი მოიგეს (1986, 1988, 1989, 1990). 1991 წელს დალგლიში „ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელობიდან გადადგა, 20-წლიანი პაუზის შემდეგ კი კვლავ ენფილდელთა სათავეშია.

***— როგორი განწყობით ჩაატარეთ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველი მატჩი „ლივერპულის“ დამრიგებლის რანგში?***

— დადებითი ემოციით აღსავსე ვარ. გულშემატკივრებმა დაუვიწყარი შეხვედრა გამიმართეს. იმდენად გახარებული გახლდით, კინაღამ ჟოზე მოურინიოს მივბაძე და იმ სექტორისკენ გავიქეცი, რომელშიც „ლივერპულის“ გულშემატკივრები ისხდნენ. ჩვენს ერთგულ ფანებს ზუსტად იმავეს ვპირდები, რა განწყობითაც 1977 წელს პირველად დავდგი ფეხი „ენფილდ როუდზე“ — კენი დალგლიშის იმედი გქონდეთ.

***— უპირველესად რის გაკეთებას აპირებთ „მერსისაიდელთა“ დამრიგებლის პოსტზე?***

— ჩემი ცხოვრების მომდევნო 6 თვე ფანტასტიკურ პერიოდად მეჩვენება. თუკი ისეთივე შთაგონებითა და თავდადებით ვითამაშებთ, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ, წარმატება არ დააყოვნებს. ჩემს ამოცანას კი იმაში ვხედავ, რომ თითოეულ ფეხბურთელს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენაში დავეხმარო. ვფიქრობ, საერთო ძალისხმევით ამას მივაღწევთ.

***— სათასო მატჩის წინ სერ ალექს ფერგიუსონთან გასაუბრება თუ მოასწარით?***

— ფერგიუსონმა დაბრუნება მომილოცა და წარმატება მისურვა. ამისთვის მისი მადლობელი ვარ.

***— თამაშის მსვლელობამ კმაყოფილი დაგტოვათ?***

— წაგებულმა თამაშმა კმაყოფილების გრძნობა როგორ უნდა დამიტოვოს, მაგრამ, მთავარი ისაა, ბიჭებმა მონდომებითა და ცალკეულ ეპიზოდებში თავგანწირვით რომ იასპარეზეს. თუკი ამგვარი მიდგომა სამომავლოდაც გამოვავლინეთ, მდგომარეობას სასიკეთოდ გამოვასწორებთ.

***— დავუბრუნდეთ თქვენს სამომავლო საქმიანობას. „ლივერპულის“ მთავარ მწვრთნელად მხოლოდ 6 თვის ვადით დაინიშნეთ. ეს უხერხულობის გრძნობას არ გიჩენთ?***

— როდესაც შაბათ დილით დამირეკეს და „ლივერპულის“ დამრიგებლობა შემომთავაზეს, თანხმობა უმალ მივეცი. ჩემთვის „ენფილდზე“ დამრიგებლად მუშაობა დიდი პატივია და არასდროს მივცემ თავს უფლებას, კლუბის ხელმძღვანელებს რაიმე სახის პირობა წავუყენო. თავის მხრივ, არც მე მიმიცია პირობა. ყველამ იცის, თავდაუზოგავად რომ ვიმუშავებ. თუკი მწვრთნელობას თავს კარგად გავართმევ, მაგრამ სეზონის დასრულების შემდეგ მაინც შემცვლიან, ჩემთვის ეს ტრაგედია არ გახდება. საკაპიტნო ხიდურაზე ფეხი მხოლოდ იმიტომ შევდგი, „ლივერპულს“ რომ დავეხმარო და, თუკი სხვა თანამდებობაზე გამოვადგები კლუბს, იქაც ენთუზიაზმით ვიმუშავებ.

***— სამწვრთნელო პრაქტიკაში კარგახნიანი პაუზა გამოგივიდათ. ეს მომენტი მუშაობაში ხელს ხომ არ შეგიშლით?***

— არა. ამ ხნის განმავლობაში დიდი რაოდენობის მატჩი ვიხილე. არა მგონია, რომელიმე მწვრთნელს ამდენი შეხვედრის ხილვისა და გაანალიზების დრო ჰქონოდა. თუმცა, ისიცაა, ასპარეზობებს მაინც დამკვირებლის სტატუსით ვუცქერდი და ამ დროს, შესაძლოა, რომელიმე მნიშვნელოვანი მომენტი თვალთახედვის არედან გამოგეპაროს.

***— რა ნაბიჯებს გადადგამთ სამწვრთნელო ოსტატობის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით?***

— ამჟამად, სპორტული მეცნიერება დიდ როლს თამაშობს ფეხბურთის შემდგომი განვითარების საქმეში. მეეჭვება, ჩემს ასაკში ყველა მნიშვნელოვან ნოვაციას გავეცნო და ავითვისო, მაგრამ, გარწმუნებთ, ენერგიასა და დროს არ დავზოგავ, რათა თანამედროვე მოთხოვნებს ფეხი ავუწყო. მართალია, 10 წლის განმავლობაში უმუშევარი გახლდით, მაგრამ საფეხბურთო ცოდნა და ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება მაქვს. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრებთან, კლუბის ხელმძღვანელებსა და ფეხბურთელებთან საერთო ენის გამონახვა არ გამიჭირდება.

**გვერდი მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# „მამლები“ „მანჩესტერის“ დაკბენას შეეცდებიან



## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.01 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 15.01 | სიტი-ვულვზი | 1.35 | 4.8 | 9.0 |
| 15.01 | სტოკი-ბოლტონი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 15.01 | ვესტ ბრომ.-ბლექპული | 1.73 | 3.8 | 4.33 |
| 15.01 | უიგანი-ფულემი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 15.01 | ვესტ ჰემი-არსენალი | 5.5 | 4.0 | 1.57 |
| 16.01 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 16.01 | სანდერლენდი-ნიუკასლი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 16.01 | ლივერპული-ევერტონი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 16.01 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 2.8 | 3.3 | 2.5 |

### ჩელსი — ბლექბერნი

ჩელსი: ***ტრავმ***-ჯონ ობი მიკელი, იური ჟირკოვი, იოსი ბენაიუნი

ბლექბერნი: ***ტრავმ***-კეიტ ენდრიუსი, სტივენ ნზონზი, ვინსე გრელა, პოლ რობინსონი, ფილ ჯოუნსი, ჯეისონ რობერტსი

### სიტი — ვულვზი

სიტი: ***ტრავმ***-მიკა რიჩარდსი, მარიო ბალოტელი

ვულვზი: ***ტრავმ***-სტივენ მოუიოკოლო, მაიკლ კინტლი, კარლ ანრი, ჯოდი გრადოკი; ***დისკვ***-ჯორჯ ოლოკობი

### სტოკი — ბოლტონი

სტოკი: ***ტრავმ***-მამადუ სიბიდე

ბოლტონი: ***ტრავმ***-ივან კლასნიჩი, სტიუარტ ჰოლდენი, რიკარდო გარდნერი, გრეტარ სტეინსონი, ლოიდ სამუელი, შონ დევისი, ჯო ობრაიენი

### ვესტ ბრომვიჩი — ბლექპული

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-სტივენ რიდი; დისკვ-იონას ოლსონი

ბლექპული: ***ტრავმ***-მატეუ გილკსი, მარლონ ჰარევუდი, მალაური მარტინი, კრის ბაშამი, ბილი კლარკი

### უიგანი — ფულემი

უიგანი: ***ტრავმ***-ტომ კლევერლი, ფრანკო დი სანტო, ვიქტორ მოიესი, ჯეიმს მაკარტნი

ფულემი: ***ტრავმ***-მატეუ ბრიგსი, ბობი ზამორა, ფილიპ სენდეროსი

### ვესტ ჰემი — არსენალი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ბენედიქტ მაკარტნი, ლარს იაკობსენი, ჰერიტა ილუნგა, მანუელ და კოსტა, პიტერ კურუჩი; ***დისკვ***-ვიქტორ ობინა

არსენალი: ***ტრავმ***-დენილსონი (?), სებასტიენ სკილაჩი, აბუ დიაბი, მანუელ ალმუნია, ტომას ვერმალენი, ემანუელ ფრიმპონგი; ***დისკვ***-ბაქარი სანია

### ბირმინგემი — ასტომ ვილა

ბირმინგემი: ***ტრავმ***-ჯეიმს მაკფადენი

ასტომ ვილა: ***ტრავმ***-ლუკ იანგი, ანდრეას ვაიმანი; ***დისკვ***-ეშლი იანგი, ემილ ჰესკი

### სანდერლენდი — ნიუკასლი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დანი უელბეკი, დავიდ მეილერი, ლი კატერმოლი, ნედუმ ონიუა, ჯონ მენსა, მაიკლ ტერნერი, მატეუ კილგალონი, ფრაიზერ კემბელი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-სოლ კემბელი, ენდრიუ კეროლი, სტივენ ტეილორი, ჰატემ ბენ არფა; ***დისკვ***-ისმაილ ტიოტე

### ლივერპული — ევერტონი

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯო კოული, ჯიმი კარაგერი

ევერტონი: ***ტრავმ***-ფილ იაგილკა, როს ბარკლი

### ტოტენჰემი — მანჩესტერი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-უილიმ გალასი, რობი კინი, ლედლი კინგი, ჯიმი ოჰარა, ჯონათან ვუდგეიტი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-უეინ რუნი, პოლ სქოულზი, ანტონიო ვალენსია

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 20 | 12 | 8 | 0 | 43:19 | 44 |
| 2.სიტი | 22 | 12 | 6 | 4 | 33:16 | 42 |
| 3.არსენალი | 21 | 12 | 4 | 5 | 42:22 | 40 |
| 4.ტოტენჰემი | 21 | 10 | 6 | 5 | 31:25 | 36 |
| 5.ჩელსი | 21 | 10 | 5 | 6 | 36:19 | 35 |
| 6.სანდერლენდი | 22 | 8 | 9 | 5 | 25:22 | 33 |
| 7.ბოლტონი | 22 | 7 | 9 | 6 | 34:29 | 30 |
| 8.ნიუკასლი | 21 | 8 | 4 | 9 | 34:31 | 28 |
| 9.ბლექპული | 20 | 8 | 4 | 8 | 29:33 | 28 |
| 10.ბლექბერნი | 22 | 8 | 4 | 10 | 29:35 | 28 |
| 11.სტოკი | 21 | 8 | 3 | 10 | 26:26 | 27 |
| 12.ევერტონი | 21 | 5 | 10 | 6 | 23:25 | 25 |
| 13.ლივერპული | 21 | 7 | 4 | 10 | 25:29 | 25 |
| 14.ფულემი | 21 | 4 | 10 | 7 | 22:24 | 22 |
| 15.ბირმინგემი | 20 | 4 | 10 | 6 | 20:25 | 22 |
| 16.ვესტ ბრომ. | 21 | 6 | 4 | 11 | 26:39 | 22 |
| 17.ვულვზი | 21 | 6 | 3 | 12 | 21:34 | 21 |
| 18.ასტონ ვილა | 21 | 5 | 6 | 10 | 23:38 | 21 |
| 19.უიგანი | 21 | 4 | 9 | 8 | 18:33 | 21 |
| 20.ვესტ ჰემი | 22 | 4 | 8 | 10 | 22:38 | 20 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.01 | ნაპოლი-ფიორენტინა | 1.73 | 3.5 | 5.0 |
| 15.01 | ინტერი-ბოლონია | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 16.01 | კალიარი-პალერმო | 2.45 | 3.1 | 3.0 |
| 16.01 | ბრეშა-პარმა | 2.5 | 3.1 | 2.9 |
| 16.01 | კატანია-კიევო | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 16.01 | ჩეზენა-რომა | 4.0 | 3.2 | 2.0 |
| 16.01 | ჯენოა-უდინეზე | 2.3 | 3.1 | 3.25 |
| 16.01 | იუვენტუსი-ბარი | 1.4 | 4.33 | 8.5 |
| 16.01 | ლაციო-სამპდორია | 1.85 | 3.3 | 4.5 |
| 16.01 | ლეჩე-მილანი | 6.5 | 3.8 | 1.53 |

### ნაპოლი — ფიორენტინა

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ; დისკვ-მარეკ ჰამშიკი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ალესიო ჩერჩი, ვლად ავრამოვი (?), ადრიან მუტუ, ხუან ვარგასი, სესარ ნატალი, სებასტიენ ფრეი, სტევან იოვეტიჩი

### ინტერი — ბოლონია

ინტერი: ***ტრავმ***-ჟულიო სეზარი, უესლი სნეიდერი, ფილიპ კოუტინიო, ვალტერ სამუელი

ბოლონია: ***ტრავმ***-ვანგელის მორასი (?), არჰიმედ მორლეო, რიკარდო მოჯორინი, მასიმო მუტარელი

### კალიარი — პალერმო

კალიარი: ***ტრავმ***-ანდრეა ლაძარი (?), ფერედიკო მარჩეტი; დისკვ-ანდრეა კოსუ

პალერმო: ***ტრავმ***-სანტიაგო გარსია (?), დორინ გოიანი, მაურისიო პინილია, აბელ ერნანდესი; დისკვ-სესარ ბოვო

### ბრეშა — პარმა

ბრეშა: ***ტრავმ***-მატეო სერენი (?), სიმონე დალამანო (?), ანდრეა კარაჩიოლო (?), პერპარიმ ჰეტემაი (?)

პარმა: ***ტრავმ***-არავინ; დისკვ-ბლევირ ჯემაილი

### კატანია — კიევო

კატანია: ***ტრავმ***-პაბლო ალვარესი, მარიანო იზკო (?), ალესანდრო პოზენცა (?), კრისტიან ტერლიცი, ტაკაიუტი მორიმოტო, მარკო ბიაგანრი (?), ბლაჟეი აუგუსტინი

კიევო: ***ტრავმ***-ლუჩიანო

### ჩეზენა — რომა

ჩეზენა: ***ტრავმ***-იოტო ნაგამოტო

რომა: ***ტრავმ***-ფილიპ მექსეში, დავიდ პიზარო, ბოგდან ლობონტი (?); ***დისკვ***-ჟულიო სერჯიო

### იუვენტუსი — ბარი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ამაური (?), მოჰამედ სისოკო (?), ფაბიო კვალიარელა, ვინჩენცი იაკვინტა, ლუკა ტონი (?), პაოლო დი ჩელიე, ლეანდრო რინაუდი; ***დისკვ***-ფელიპე მელო

ბარი: ***ტრავმ***-პაულო ბარეტო, სერჯიო ალმირონი, აბდელკადერ გეზალი, სალვატორე მასიელო

### ლაციო — სამპდორია

ლაციო: ***ტრავმ***-ტომაზო როკი, ფრანჩესკო მატუზალემი, ხავიერ გარიდო; დისკვ-ჯუზეპე ბიავა

სამპდორია: ***ტრავმ***-დანიელე კასტადელო, ფაბრიციო კაჩიატორე, ფრანკო სემიოლი

### ლეჩე — მილანი

ლეჩე: ***ტრავმ***-ოფერე, რუბენ ოლივეირა (?), ალბერტო გუალიატო, ტორე რეგინიუსენი

მილანი: ***ტრავმ***-კრისტიან აბიატი, ანდრეა პირლო, კევინ პრინ ბოატენგი, ჯანლუკა ძამბროტა, ფილიპო ინძაგი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 19 | 12 | 4 | 3 | 34:17 | 40 |
| 2.ნაპოლი | 19 | 11 | 3 | 5 | 30:20 | 36 |
| 3.ლაციო | 19 | 10 | 4 | 5 | 25:18 | 34 |
| 4.რომა | 19 | 9 | 5 | 5 | 27:24 | 32 |
| 5.პალერმო | 19 | 9 | 4 | 6 | 32:22 | 31 |
| 6.იუვენტუსი | 19 | 8 | 7 | 4 | 33:24 | 31 |
| 7.ინტერი | 17 | 8 | 5 | 4 | 25:16 | 29 |
| 8.უდინეზე | 19 | 8 | 3 | 8 | 27:25 | 27 |
| 9.სამპდორია | 19 | 6 | 8 | 4 | 20:17 | 26 |
| 10.ბოლონია | 19 | 6 | 7 | 6 | 19:24 | 24 |
| 11.კალიარი | 19 | 6 | 5 | 8 | 21:18 | 23 |
| 12.ფიორენტინა | 18 | 6 | 5 | 7 | 20:20 | 23 |
| 13.ჯენოა | 18 | 6 | 5 | 7 | 13:15 | 23 |
| 14.კიევო | 19 | 5 | 7 | 7 | 19:21 | 22 |
| 15.პარმა | 19 | 5 | 7 | 7 | 19:23 | 22 |
| 16.კატანია | 19 | 5 | 6 | 8 | 17:24 | 21 |
| 17.ჩეზენა | 18 | 5 | 4 | 9 | 13:21 | 19 |
| 18.ლეჩე | 19 | 5 | 3 | 11 | 18:36 | 18 |
| 19.ბრეშა | 19 | 4 | 3 | 12 | 15:26 | 15 |
| 20.ბარი | 19 | 3 | 5 | 11 | 12:28 | 14 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.01 | ხეტაფე-სოსიედადი | 1.73 | 3.6 | 4.75 |
| 15.01 | ხიხონი-ერკულესი | 2.2 | 3.25 | 3.3 |
| 15.01 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 15.01 | სარაგოსა-ლევანტე | 1.85 | 3.5 | 4.33 |
| 15.01 | ბილბაო-რასინგი | 1.73 | 3.6 | 4.75 |
| 16.01 | სევილია-ესპანიოლი | 1.73 | 3.75 | 4.5 |
| 16.01 | ვალენსია-დეპორტივო | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 16.01 | ალმერია-რეალი | 12.0 | 5.5 | 1.25 |
| 16.01 | ბარსელონა-მალაგა | 1.1 | 9.5 | 19.0 |
| 17.01 | არლეტიკო-მალიორკა | 1.73 | 3.6 | 4.8 |

### ხეტაფე — სოსიედადი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ადრიან კოლუნგა (?)) ბორხა, მარიო

სოსიედადი: ***ტრავმ***-იმანოლ აგირე, კარლოს მარტინესი, დიეგო იფრანი; ***დისკვ***-ანტოინ გრეიზმანი

### ხიხონი — ერკულესი

ხიხონი: ***ტრავმ***-ალბერტო ბოტია, ალვარეს მარკოსი

ერკულესი: ***ტრავმ***-როისტონ დრენტე, ტოტე, ტიაგო გომეში, ფრანსისკო ფარინოსი

### ვილიარეალი — ოსასუნა

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ნილმარი, კარლოს მარჩენა, მარკოს სენა, ხუან ტრუიოლსი

ოსასუნა: ***ტრავმ***-ნაჩო მონრეალი, ჯავად ნეკუნამი, მასუდ სოჯაე, ვალტერ პანდიანი, ხავიერ გამუნასი, რუპერი; ***დისკვ***-ფერნანდო სორიანო

### სარაგოსა — ლევანტე

სარაგოსა: ***ტრავმ***-ვიქტორ ლაგუარდია, იკეჩუკვუ უჩე; ***დისკვ***-ლეონარდო პონციო

ლევანტე: ***ტრავმ***-ასიერ დელ ორნო, ვისენტე დელა ფუენტე, მიგელ პერესი, იგნასიო გონსალესი, რამირეს ექტორი; ***დისკვ***-ვიქტორიანო ნანო

### ბილბაო — რასინგი

ბილბაო: ***ტრავმ***-სუსაეტა, იბაი გომესი, იონას რამალიო

რასინგი: ***ტრავმ***-პაპა დიოპი, ფაბიო კოლტორტი, მანუელ როდრიგესი, ალექსანდროს ციოლისი

### ვალენსია — დეპორტივო

ვალენსია: ***ტრავმ***-რიკარდო კოსტა, დავიდ ალბელდა, სესარი, ალეხანდრო დომინგესი, მიგელ მოია, მანუელ ფერნანდესი

დეპორტივო: ***ტრავმ***-რიკი, ოლავ რინდაროი, ზე კასტრო, ანდრეს გუარდადო, მიჩელი

### ალმერია — რეალი

ალმერია: ***ტრავმ***-მიჩელი, მიგელ ნიეტო, დარიო პელერანო

რეალი: ***ტრავმ***-პეპე, ირჟი დუდეკი, გონსალო იგუაინი, სერხიო კანალესი

### ბარსელონა — მალაგა

ბარსელონა: ***ტრავმ***-არავინ

მალაგა: ***ტრავმ***-ივან ლოპესი, ედუ რამოსი, ედინიო, რუბენი, ხუანიტო, ალბერტ ლუკე

### ატლეტიკო — მალიორკა

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ტიაგო, ელიასი

მალიორკა: ***ტრავმ***-ტომას პინა, სერხიო ტეიშეირა, სერჯი ენრიჩი, ტუნი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 17 | 15 | 1 | 1 | 53-10 | 46 |
| 2.რეალი | 17 | 14 | 2 | 1 | 42-14 | 44 |
| 3.ვილიარ. | 17 | 11 | 3 | 3 | 32-14 | 36 |
| 4.ვალენსია | 17 | 9 | 4 | 4 | 26-20 | 31 |
| 5.ესპანიოლი | 17 | 9 | 1 | 7 | 19-24 | 28 |
| 6.ატლეტიკო | 17 | 8 | 3 | 6 | 27-19 | 27 |
| 7.ხეტაფე | 17 | 8 | 2 | 7 | 28-25 | 26 |
| 8.ბილბაო | 17 | 8 | 1 | 8 | 26-29 | 25 |
| 9.მალიორკა | 17 | 7 | 3 | 7 | 19-20 | 24 |
| 10.სევილია | 17 | 7 | 2 | 8 | 22-27 | 23 |
| 11.სოსიედადი | 17 | 7 | 1 | 9 | 23-28 | 22 |
| 12.დეპორტ. | 17 | 5 | 6 | 6 | 15-20 | 21 |
| 13.ერკულესი | 17 | 5 | 4 | 8 | 18-25 | 19 |
| 14.რასინგი | 17 | 5 | 4 | 8 | 13-23 | 19 |
| 15.ოსასუნა | 17 | 4 | 5 | 8 | 15-21 | 17 |
| 16.მალაგა | 17 | 5 | 1 | 11 | 22-36 | 16 |
| 17.ლევანტე | 17 | 4 | 3 | 10 | 19-28 | 15 |
| 18.სარაგოსა | 17 | 2 | 7 | 8 | 16-28 | 13 |
| 19.ალმერია | 17 | 2 | 7 | 8 | 15-27 | 13 |
| 20.ხიხონი | 17 | 2 | 6 | 9 | 13-26 | 12 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.01 | ნიურნბერგი-გლადბახი | 1.95 | 3.5 | 3.75 |
| 15.01 | ზ.პაული-ფრაიბურგი | 2.37 | 3.3 | 2.9 |
| 15.01 | შტუტგარტი-მაინცი | 1.95 | 3.5 | 3.75 |
| 15.01 | ვერდერი-ჰოფენჰაიმი | 2.0 | 3.6 | 3.5 |
| 15.01 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 5.0 | 3.5 | 1.73 |
| 15.01 | შალკე-ჰამბურგი | 1.95 | 3.5 | 3.75 |
| 16.01 | აინტრახტი-ჰანოვერი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 16.01 | კაიზერი-კიოლნი | 1.95 | 3.5 | 3.75 |

### ნიურნბერგი — გლადბახი

ნოიურნბერგი: ***ტრავმ***-ფელიციო ფორბესი, დანიელ ბაცი, კრისტოფ საუტერი, ილკაი გუნდოგანი, პერ ნილსონი, ალბერტ ბუნიაკუ

გლადბახი: ***ტრავმ***-პოლ სტარტერი, ქარიმ მატმური, კრისტიან დორდა, ბერნარდ იანეჩეკი, დანტე; ***დისკვ***-მარსელო ბობადილა

### ზ.პაული — ფრაიბურგი

ზ.პაული: ***ტრავმ***-ჟან პილიპ კალა, ფაბიო მორენა, მარსელ ეგერი, დენის დაუბე

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ჯონათან ჯაგერი, ალაინ ოლე ოლე, ომერ ტოპრაკი, სიმონ პუპლინი,პაველ კრმასი, ზლატან ბაირამოვიჩი

### შტუტგარტი — მაინცი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ალექსანდერ სტოლცი, მარტინ ჰარნიკი, ჰალიდ ბულაჰრუზი, მამადუ ბა, იოან აუდელი

მაინცი: ***ტრავმ***-ეუგენ გოპკო, ზლოტც ლოუ, პეტარ სლივკოვიჩი, იან სიმაკი, ბო სვენსონი

### ვერდერი — ჰოფენჰაიმი

ვერდერი: ***ტრავმ***-ნიკლას ანდერსენი, იურიცა ვრანიესი, ალექს იკენგი, დომინიკ შმიდტი, პასკალ ტესტრო, უესლი, კრისტიან ვანდერი, ნალდო

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-დემბა ბა, პასკალ გროსი, რობინ ნეუპერტი, ანდრეას ლუდვიგი, ჩინედუ ობასი

### ვოლფსბურგი — ბაიერნი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ქარიმ ზიანი, ანდრე ლენცი, ვლად მუნტიანუ, მაკოტო ჰასებე, ჰასიმ ბენ ჰალიფა, კევინ ვოლცე

ბაიერნი: ***ტრავმ***-ედსონ ბრააფჰეიდი, ტონი კროოსი, ივიცა ოლიჩი

### შალკე — ჰამბურგი

შალკე: ***ტრავმ***-ვასილიას პლიასტიკასი, პედრაგ სტევანოვიჩი, ჰანს სარპეი, ლევან ყენია, ტიმ ჰოოგლანდი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ჰენგ მინსონი, პაოლო გუერერო, იორის მატიისენი, რომეო კასტელენი

### აინტრახტი — ჰანოვერი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ალექსანდერ ვასოსკი, მარკოს ალვარესი, ნიკოლა პეტკოვიჩი, მარკო რუსი, მაიკ ფრანცი, კრისი, ზლატან ბაირამოვიჩი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ვილი ევსეევი, ტიმ ჰოფმანი, მარკუს მილერი, კარლიტოს, ლეონ ანდრეასენი

### კაიზერი — კიოლნი

კაიზერი: ***ტრავმ***-მარსელ კორეია, მარკოს კნალერი, იან შიმუნეკი; დისკვ-ალექსანდერ ბუგერა, კრისტიან ტიფერტი

კიოლნი: ***ტრავმ***-იუსიფ მოჰამედი, კონსტატბტინუს ჯიანულისი, ვილფრედ სანო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 17 | 14 | 1 | 2 | 39:10 | 43 |
| 2.მაინცი | 17 | 11 | 0 | 6 | 30:19 | 33 |
| 3.ლევერკუზენი | 17 | 9 | 6 | 2 | 35:25 | 33 |
| 4.ჰანოვერი | 17 | 10 | 1 | 6 | 25:27 | 31 |
| 5.ბაიერნი | 17 | 8 | 5 | 4 | 31:20 | 29 |
| 6.ფრაიბურგი | 17 | 9 | 1 | 7 | 25:25 | 28 |
| 7.აინტრახტი | 17 | 8 | 2 | 7 | 24:21 | 26 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 17 | 6 | 7 | 4 | 32:22 | 25 |
| 9.ჰამბურგი | 17 | 7 | 3 | 7 | 27:28 | 24 |
| 10.შალკე | 17 | 6 | 4 | 7 | 25:24 | 22 |
| 11.ნიურნბერგი | 17 | 6 | 4 | 7 | 22:28 | 22 |
| 12.კაიზერი | 17 | 6 | 3 | 8 | 27:27 | 21 |
| 13.ვოლფსბ. | 17 | 4 | 7 | 6 | 24:25 | 19 |
| 14.ვერდერი | 17 | 5 | 4 | 8 | 23:35 | 19 |
| 15.ზ.პაული | 17 | 5 | 2 | 10 | 16:30 | 17 |
| 16.კიოლნი | 17 | 4 | 3 | 10 | 18:33 | 15 |
| 17.შტუტგარტი | 17 | 3 | 3 | 11 | 32:35 | 12 |
| 18.გლადბახი | 17 | 2 | 4 | 11 | 26:47 | 10 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.01 | ოსერი-მონაკო | 1.95 | 3.1 | 4.33 |
| 15.01 | ბრესტი-კანი | 1.83 | 3.25 | 4.8 |
| 15.01 | ლანსი-სენტ ეტიენი | 2.37 | 3.1 | 3.1 |
| 15.01 | ლიონი-ლორიენი | 1.5 | 3.8 | 7.5 |
| 15.01 | მონპელიე-ვალანსიენი | 2.0 | 3.2 | 4.0 |
| 15.01 | ნიცა-ლილი | 4.33 | 3.1 | 1.95 |
| 15.01 | პსჟ-სოშო | 1.5 | 3.75 | 7.5 |
| 15.01 | რენი-არლე | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 16.01 | ტულუზა-ნანსი | 2.0 | 3.2 | 4.0 |
| 16.01 | მარსელი-ბორდო | 1.83 | 3.2 | 4.8 |

### ოსერი — მონაკო

ოსერი: ***ტრავმ***-ბენუა პედრეტი, დელვინ ნდინგა, იელენი, იაია სანოგო, ალექსანდერ ლიკატა

მონაკო: ***ტრავმ***-ჯიმი ტრაორე, დიუდონე მბოკანი, სედრიკ მონგომგუ, ედუარდო კოსტა

### ბრესტი — კანი

ბრესტი: ***ტრავმ***-ლარსენ ტურე, აპანგა, გრანდი ნგოი, ფილიპ დარლა, ივან ბურჯესი

კანი: ***ტრავმ***-ჯერემი სორბონი

### ლანსი — სტ.ეტიენი

ლანსი: ***ტრავმ***-ნენად კოვაჩევიჩი, მაულიდა, დარნელ ბუიენტე, დავიდ პოლე, მარკო რამოსი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ალბინ ებონდო, აბდულაე კულიბალი, ენდრიუ, ბუბაქარ სანოგო

### ლიონი — ლორიენი

ლიონი: ***ტრავმ***-კრისი, ჯერემი ტულალანი, ედერსონი

ლორიენი: ***ტრავმ***-ანტონი ბურონი, სებასტიენ დუბარბიერი, ფაბიენ რობერი, ლამინე კონე, მატია ოტრე

### მონპელიე — ვალანსიენი

მონპელიე: ***ტრავმ***-არავინ

ვალანსიენი: ***ტრავმ***-გაეტან ბონგი, ფუედ კადირი, ამარა ბანგურა, რაფაელ შმიტცი

### ნიცა — ლილი

ნიცა: ***ტრავმ***-დავიდ ოსპინა, ლარუს მაბიალა

ლილი: ***ტრავმ***-არავინ

### პსჟ — სოშო

პსჟ: ***ტრავმ***-სიაკა ტინე, მეტიუ ბოდმერი

სოშო: ***ტრავმ***-ედუარდ ბურტინი, ჩარლი დევისი, ვაცლავ სვერკოსი, ტდი რიშე

### რენი — არლე

რენი: ***ტრავმ***-არავინ

არლე: ***ტრავმ***-ჰამერ ბუაზა, ვინსე პლანტე, ჯონათანი

### ტულუზა — ნანსი

ტულუზა: ***ტრავმ***-ჩეიკ მბენგუე, დანიელ ბრაატენი, მაურო კეტო, ხავიერ პენტეკოტე, იოან პელე

ნანსი: ***ტრავმ***-სამბა დიაკატე, ჯამელ ბაქარი, მიშელ ჩრეტიე

### მარსელი — ბორდო

მარსელი: ***ტრავმ***-ბრანდაო, ედუარდო სისე, ვიტორინო ჰილტონი

ბორდო: ***ტრავმ***-მეტიუ ჩალმე, დავიდ ბელიონი, მარკ პლანუსი, აბდულაიე კეიტა

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 18 | 8 | 8 | 2 | 33-21 | 32 |
| 2.პსჟ | 19 | 8 | 7 | 4 | 30-21 | 31 |
| 3.რენი | 19 | 8 | 7 | 4 | 18-12 | 31 |
| 4.ლიონი | 19 | 8 | 7 | 4 | 26-21 | 31 |
| 5.მარსელი | 19 | 7 | 8 | 4 | 27-17 | 29 |
| 6.სტ.ეტიენი | 19 | 7 | 8 | 4 | 26-20 | 29 |
| 7.ბრესტი | 19 | 7 | 7 | 5 | 20-15 | 28 |
| 8.ტულუზა | 19 | 8 | 3 | 8 | 21-20 | 27 |
| 9.მონპელიე | 19 | 7 | 6 | 6 | 15-19 | 27 |
| 10.ბორდო | 19 | 6 | 9 | 4 | 24-21 | 27 |
| 11.სოშო | 19 | 7 | 4 | 8 | 29-23 | 25 |
| 12.ლორიენი | 19 | 7 | 4 | 8 | 22-24 | 25 |
| 13.ოსერი | 19 | 4 | 11 | 4 | 25-22 | 23 |
| 14.ნიცა | 19 | 5 | 8 | 6 | 14-18 | 23 |
| 15.ნანსი | 18 | 7 | 4 | 7 | 21-26 | 24 |
| 16.ვალანს. | 19 | 5 | 7 | 7 | 21-21 | 21 |
| 17.მონაკო | 19 | 3 | 10 | 6 | 19-20 | 19 |
| 18.კაენი | 18 | 4 | 6 | 8 | 17-26 | 18 |
| 19.ლანსი | 18 | 3 | 7 | 8 | 19-36 | 16 |
| 20.არლე | 19 | 1 | 5 | 13 | 10-36 | 8 |

# სააკაშვილს მარტო ერთად დგომით გავისტუმრებთ

## დასავლეთმა ლამის დაიჯერა, რომ ეს რეჟიმი მოგვწონს



ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ გელა ნიკოლეიშვილთან**

***— ბატონო გელა, მოდით ქართულ ჯარში მომხდარი ტრაგედიის შეფასებით დავიწყოთ, ბევრმა ეს შეაფასა, როგორც დაუდევრობა, როგორია თქვენი შეფასებები?***

— მეც მგონია, რომ ეს იყო დაუდევრობა, ტექნიკური გაუმართაობა, არაკვალიფიციურობა. მე ახლა შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ ეს ვინმეს მხრიდან შეიძლება ყოფილიყო სპეციალურად მოწყობილი, ან დივერსია, ტერაქტი ან რაიმე ამისთანა. პირველი შეფასება, ყოველ შემთხვევაში, ასეთია და მერე ვნახოთ რა გამოიკვეთება. გამოძიება დაწყებულია, სამი ადამიანი დაკავებულია და ალბათ გამოიკვეთება რეალური სურათი, ეს არ არის ის შემთხვევა, სადაც ხელისუფლების ინტერესი იქნება რაიმე დაიმალოს, იმიტომ, რომ მე მაინც მგონია, ეს არის შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია დაუდევრობასთან, არაკვალიფიციურობასთან და ტექნიკურ გაუმართაობასთან.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, არის ეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?***

— საერთოდ, მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი ნებისმიერ განსაკუთრებულ შემთხვევასა და ნებისმიერ ტრაგედიაზე შეიძლება დადგეს, თუმცა ვიმეორებ, ჯერ ამას სჭირდება გამოძიება. როდესაც სამინისტროში რაღაცა მნიშვნელოვანი ხდება, ასეთ შემთხვევაში პასუხს აგებს პირველი პირი, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არა თუ ასეთ შემთხვევაში, არამედ ეს არის ქვეყანა, სადაც თავდაცვის მინისტრის და პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა წაგებული ომის შემდეგაც კი და ამ კონკრეტულ ლოკალურ შემთხვევაზე დადგება? მართალია ტრაგედიით დამთავრდა, მაგრამ იმ ტრაგედიასთან შედარებით, რაც საქართველომ 2008 წელს განიცადა, ამდენი დაღუპული, ამდენი დაკარგული ტერიტორიები, ეს ამ კონკრეტული ოჯახებისთვის არის ძალიან დიდი უბედურება და ტრაგედია, თორემ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით გაცილებით დიდი ტრაგედიები მომხდარა და პასუხი არავის უგია.

***— საუბარია, რომ ახალაია იმისთვის მივიდა ქართულ ჯარში, რომ ქართულ ჯარს ღირსება დააკარგვინოსო. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— საერთოდ მე ვთვლი, რომ ღირსების დაკარგვა ადამიანების მიმართ ხდება მიზანმიმართულად და სწორედ ისეთ პოლიტიკას აწარმოებენ, რომ მათ დაუკარგონ ღირსება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ახალაიამ გამოიარა სკოლა, სადაც მისი პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო სწორედ ღირსების დაკარგვისკენ მიმართული ქმედებები. მე ვგულისხმობ პატიმრების ღირსების დაკარგვას, მის მიერ დანერგილი ტრადიცია დღესაც გრძელდება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შემდეგ, სადაც გადადის ეს ადამიანი, იგივე პოლიტიკას აგრძელებს, მით უმეტეს, ის გასამხედროებულ უწყებაში გადავიდა. როგორც ჩვენამდე მოდის ინფორმაციები, იქაც იქცევა ისე, როგორც ციხეში პატიმრებს ექცეოდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბაჩო ახალაიას მეთაურობით ეს სამინისტრო ატარებს ჯარისკაცების ღირსების შელახვისაკენ მიმართულ პოლიტიკას. თუმცა ეს არ არის კონკრეტულად ბაჩო ახალაიას მიერ შემუშავებული პოლიტიკა, ბაჩო ახალაია ამ შემთხვევაში არის ინსტრუმენტი, იარაღი, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკას ატარებს. პოლიციური სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი იდეა სწორედ ეს არის, რომ დამორჩილებული, რობოტებად ქცეული, ღირსება შელახული და შეშინებული ადამიანები და მოქალაქეები მიიღონ და ამას ყველა უწყებაში აღწევენ. დამორჩილება ერთი მხრივ დგას შიშზე და მეორე მხრივ წახალისებაზე, მოსყიდვაზე, ფულის მიცემაზე და ჩვენ თუ გადავხედავთ ამ პოლიტიკას ყველა სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა სამინისტროში, ყველგან ფაქტიურად ერთსა და იმავესთან გვაქვს საქმე.

***— ადამიანის უფლებების შელახვაზე ვსაუბრობთ და აქვე მინდა აფხაზეთის ომის ვეტერანებზეც გკითხოთ, რამდენიმე მათგანის ინტერესებს თქვენ იცავთ. საუბარია, რომ ეს აქცია სანქცირებული და ნებადართული იყო, თქვენი აზრით, რატომ მოხდა მათი დარბევა?***

— მე წინააღმდეგი ვარ და ყოველთვის ვუსწორებ ჩემს თანამოსაუბრეს, როდესაც ამბობენ სიტყვა სანქცირებულს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მიტინგს, მანიფესტაციას, საერთოდ აქციას, არ სჭირდება სანქცია. როდესაც აქცია გზის სავალ ნაწილზე იმართება, ასეთ შემთხვევაში მიტინგის ორგანიზატორები ვალდებულნი არიან მერიას გაუგზავნონ შეტყობინება და არა მოთხოვონ სანქცია ან ნებართვა. შეტყობინება იგზავნება მხოლოდ იმისთვის, რომ მერიამ გაითვალისწინოს ეს და სხვა მიმართულებით უზრუნველყოს ტრანსპორტის მოძრაობა სხვა ადგილას, მხოლოდ და მხოლოდ ამისათვის, მხოლოდ შეტყობინება. რაც შეეხება ისეთ ადგილებში აქციის გამართვას, სადაც არ იზღუდება ტრანსპორტის მოძრაობა, ასეთ შემთხვევაში ვსეთი შეტყობინებაც კი არ არის საჭირო. კანონი ამას არ მოითხოვს. ვეტერანები სადაც ატარებდნენ ამ აქციას, იქ არანაირი ტრანსპორტი არ იზღუდებოდა, მაგრამ მაინც გაუგზავნეს მერიას შეტყობინება 24 დეკემბერს და 27 დეკემბერს. მათ მიიღეს შეტყობინება მერიიდან, რომ ეს შეტყობინება მიღებულია და თუ არ დაარღვევთ მითითებულ ნორმებს, არ გადაკეტავთ გზას, არ იქნება არეულობა და ასე შემდეგ, როგორც თქვენ აცხადებთ, 7 იანვრამდე აქცია არის სრულიად ლეგიტიმური და მას ვერავინ ვერ შეეხება. სამი იანვარი იყო უკვე და 6-ში ისინი ისედაც ადგომას აპირებდნენ, ყველაფერი ძალიან მშვიდად და წყნარად მიმდინარეობდა. მე ეს ყველა დეტალი ვიცი იმდენად, რამდენადაც ოთხ მათგანს ვიცავდი სასამართლო პროცესზე და იქ სრულიად აშკარა იყო, რომ არანაირ დარღვევას არა ჰქონია ადგილი. სიმართლეს შეეფერება ის ვერსია, რომ გამოიარა სააკაშვილის ესკორტმა და მან იქვე გასცა ბრძანება, დაეშალათ აქცია. იმისთვის ხომ მთავარი არ არის კანონი, მისთვის მთავარია სურვილი. მან ისურვა, რომ დაეშალათ და დაიწყეს დაშლა. შემდეგ ზონდერ ბრიგადები ჩაერთვნენ ამაში და რაც მოხდა, ყველამ იხილა. ეს არის ხელისუფლების დამოკიდებულება კანონისადმი, მოქალაქეებისადმი, ვეტერანებისადმი, საერთოდ სამოქალაქო უფლებებისადმი. სასამართლოზე სასაცილო რაღაცას ამბობდნენ ესენი, რომ თითქოს პრევენციისთვის მივიდნენ იქ, რომ არ გადმოსულიყვნენ გზაზე. კადრებში კარგად ჩანს, რომ გზაზე გადმოსვლას არავინ აპირებდა. მათ არ მოუთხოვიათ აქციის შეწყვეტა, კადრებში კარგად ჩანს, რომ ხელით ყრიდნენ ისინი და ძალით ერეკებოდნენ ამ ხალხს. ცემატყეპა აუტეხეს ხალხს, ქალებს რომ შეეხენ ხელით, ამაზე აღარაფერს ვამბობ. ეს არის დამოკიდებულება საკუთარი საზოგადოებისადმი და მთავარი, რაც აქ გამოჩნდა, არის ის, თუ როგორია სასამართლოს დამოკიდებულება ამ ყველაფრისადმი. სასამართლომ არ ისურვა იმ კადრების ნახვა, რომელიც მთელმა საქართველომ და მთელმა მსოფლიომ ნახა. მან თვალები დაიბრმავა და ყურები დაიყრუა და თქვა, მე არ მაინტერესებს ვნახო ის, რაც გადაღებულია, არამედ მე მჯერა ამ პოლიციელების.

***— უბრალოდ, პრეზიდენტმა მოისურვა ასე და ამიტომ დაარბიეს?***

— როგორც ჩანს, სხვა ახსნა ამას არა აქვს. უბრალოდ, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება, სამი დღის შემდეგ ისედაც დგებოდნენ ადამიანები და სრულიად კანონიერი აქცია დაარბიეს. ესენი აქცენტს აკეთებენ, რომ პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა გამოაცხადესო და მათ ისიც არ იციან, რომ ამ მუხლში, რომელსაც ისინი ედავებიან, პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაა სამართალდარღვევა და არა პოლიციელის ნებისმიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა. ამ შემთხვევაში პოლიციელებს ჰქონდათ აქციის მონაწილეთა მიმართ კანონსაწინააღმდეგო მოთხოვნა, იმიტომ, რომ ისინი კანონიერ აქციას ატარებდნენ, აქედან გამომდინარე ისინი ვალდებულნი არ იყვნენ დამორჩილებოდნენ კანონსაწინააღმდეგო მოთხოვნას და სწორადაც მოიქცნენ. ამიტომაც ასეთი გამოხმაურება მოყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც და ამერიკის ელჩმაც კი გააკეთა მწვავე შეფასება. არასამთავრობოებმა კი საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუგზავნეს წერილები. მე მგონია, რომ ამით მხოლოდ ხელისუფლებამ წააგო.

***— გამოითქვა ასეთი მოსაზრებაც, რომ თითქოს ხელისუფლებას სურვილი ჰქონდა, რომ ეს აქცია უმართავ პროცესებში გადაზრდილიყო, თუმცა რადგან დაინახეს, რომ ვეტერანები მშვიდად აპირებდნენ დაშლას, ადგნენ და ცინიკურად დაშალესო...***

— იმდენად ალოგიკური იყო ხელისუფლების მოქმედება, რომ ახსნას როდესაც ეძებს ადამიანი, ერთ-ერთ ვერსიად ალბათ ამასაც განიხილავს. ეს ვერსია საფუძვლიანად მეჩვენება იმიტომ, რომ სხვა ლოგიკა არ არსებობს. ჩვენ 14-მდე გვქონდა გასაჩივრების ათდღიანი ვადა და გუშინ შევიტანეთ სააპელაციო საჩივარი, რა თქმა უნდა, ჩვენ აქ საჩივრის დაკმაყოფილების იმედი არა გვაქვს და არც ველოდებით მსგავს გადაწყვეტილებებს, მაგრამ მთავარი არის ის, რომ ჩვენ ეს აუცილებელი ინსტანცია უნდა გავიაროთ და ამის შემდეგ სტრასბურგში აუცილებლად წავა ეს საქმე. მე საერთოდ კატეგორიულობა არ მიყვარს, მაგრამ ამ საქმესთან დაკავშირებით ვიძლევი აბსოლუტურ გარანტიას, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლო გრძელვადიანია, საბოლოო ჯამში აუცილებლად მოვიგებთ ამ საქმეს იმიტომ, რომ სრულიად აშკარაა აქ, როგორც მეექვსე ევროპული კონვენციის, ისე მეთერთმეტე და მეცამეტე მუხლების დარღვევები. ამ მუხლების დარღვევები აუცილებლად იქნება დადასტურებული სტრასბურგის სასამართლოს მიერ და ის 400 ლარიანი ჯარიმები, რომელიც 11 კაცზე ჯამში 4400 ლარს შეადგენს, მე ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფოს მრავალი ასეული ათასი ევროს გადახდა მოუწევს ამ საქმესთან დაკავშირებით.

***— როდესაც ხელისუფლების ქმედებებს უყურებს საზოგადოება, ხშირად უჩნდება განცდა, რომ თითქოს ხელისუფლება ამ ყველაფერს მიზანმიმართულად აკეთებს, რომ არეულობა გამოიწვიოს, ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს და ეს ყველაფერი უმართავ პროცესებში გადაიზარდოს, როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით?***

— მე ვფიქრობ, რომ ხშირ შემთხვევაში ეს არის არაპროფესიონალიზმის, გამოუცდელობის და ამჩატებული მოქმედების შედეგი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ეს მიზანმიმართულიც იყოს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება გარკვეულ პლუსებსაც იწერს. ჩვენ თუ დავაკვირდებით, რა შედეგებით დამთავრდა ის მასობრივი და მწვავე გამოსვლები და დღეს რა სიტუაცია გვაქვს, დავინახავთ, რომ საბოლოო ჯამში ამით ხელისუფლებამ მოიგო. როდესაც ის აქეზებს ადამიანებს, გამოდით და ამავდროულად აჩვენებს, რომ მათ გამოსვლას შედეგი არა აქვს და ხალხი ხელჩაქნეული ხდება, აქედან გამომდინარე შეიძლება ხელისუფლებას ჰქონდეს ის მიზანი, რომ ხალხში დათესოს უიმედობა, ხელჩაქნეულობა და ამავე დროს შეატრიალოს მათი პროტესტი ოპოზიციის წინააღმდეგ. იმიტომ, რომ როდესაც ხალხი გამოდის და პროტესტს გამოხატავს, იმედი აქვს, რომ ოპოზიცია ამ სიტუაციას გამარჯვებამდე მიიყვანს და ის ამ გამარჯვებამდე ვერ მიდის, ხალხს უჩნდება განცდა, რომ ეს ოპოზიციაც არაფრის მაქნისია და საზოგადოებას მათი იმედი არ უნდა ქონდეს. აქედან გამომდინარე, როგორც მინიმუმ, საზოგადოება ინდიფერენტული ხდება და ხელისუფლების წინააღმდეგ აღარ გამოდის. მოსახლეობამ შეიძლება თქვას, რომ ისევ ეს ცუდი ხელისუფლება ჯობია უარეს ოპოზიციას, შეიძლება ეს გათვლა იყოს, თუმცა ყოველთვის არა.

***— გაკეთდა ასეთი შეფასებებიც ექსპერტების მხრიდან, რომ შესაძლოა მალე საზოგადოებას აღარ დასჭირდეს პოლიტიკური ლიდერი და პროცესები თავად წარმართოს, რამაც შეიძლება ქვეყანა უმართავ პროცესებამდე მიიყვანოსო...***

— მე ვფიქრობ, რომ ამის საშიშროება არსებობს და ამას მივყავართ ქაოსამდე. ქაოსი კი ყველაზე ცუდი პროცესია. ქაოსს გარკვეულ მომენტში დიქტატურაც კი ჯობია. იმიტომ, რომ ქაოსი არის განუკითხაობა. დიქტატურა მაინც არის წესრიგი, სრული უსამართლობა, მაგრამ მაინც გარკვეული წესრიგი. ქაოსში მტყუანის და მართლის გარჩევა არ ხდება, ქვეყანაში მდგომარეობას აუარესებს და ეს არის ალბათ ყველაზე დიდი უბედურება, რაც შეიძლება მოსალოდნელი იყოს ქვეყნისთვის და ეს ყველანაირად თავიდან უნდა ავიცილოთ, თუმცა მე გეთანხმებით, ამის საფრთხე ნამდვილად არსებობს.

***— რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებს, საუბარია, რომ თებერვლის ბოლოდან სიტუაცია დაიძაბებაო, როგორც წესი, ჩვენს ოპოზიციას შემოდგომა-გაზაფხული არ დაელია, მაგრამ მაინც თქვენ როგორ ფიქრობთ, არის საზოგადოება ამისთვის?***

— არსებობს ხელისუფლების შეცვლის ორი გზა, ერთი არჩევნები, მეორე ეროვნული დაუმორჩილებლობა. ეროვნული დაუმორჩილებლობისთვის საზოგადოება სერიოზულად უნდა მოემზადოს ამისათვის. მეორე არის არჩევნები და არჩევნებისთვისაც სერიოზულად უნდა მოემზადოს. საზოგადოებას ორი მთავარი ბარიერის გადალახვა მოუწევს ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც, თუ უნდა, რომ რაღაცას მიაღწიოს. ეს არის შიში და სიხარბე, რაზედაც დგას ეს ხელისუფლება. იმიტომ, რომ არჩევნებიდან არჩევნებამდე მათრახის და თაფლაკვერის პოლიტიკა მას ძალიან მაღალ დონეზე აქვს შემუშავებული. არიან ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ექვემდებარებიან მათრახს, შიშს, დაპატიმრების შიშს, გაძარცვის შიშს, როდესაც ხელისუფლება მათ ართმევს ქონებას. არის საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელიც ექვემდებარება მოსყიდვას, ეს განსაკუთრებით ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს შეეხება, ესენი იქნებიან მომღერლები, მწერლები თუ სხვა ფენის წარმომადგენლები. აი, ამ ორ ბერკეტს იყენებს ხელისუფლება და მე ვფიქრობ, რომ ჩვენი საზოგადოების მუშაობა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ რამენაირად მოახერხონ ამ ორი ძალიან დიდი ბარიერის გადალახვა. თქვენ მეკითხებით, რომ ამ გაზაფხულზე არის თუ არა ამის პერსპექტივა, მე არ ვფიქრობ, რომ ამის პერსპექტივა სამწუხაროდ ამ გაზაფხულზე იყოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მუდმივად უნდა მიდიოდეს და ეს რაღაცა წერტილამდე მივა. ეს გაზაფხულზე იქნება, ზაფხულზე თუ შემოდგომაზე, ეს თავად საზოგადოების მომზადებაზეც არის დამოკიდებული, ლიდერების გონიერებასა და გაბედულობაზეც და რაც მთავარია, გარეშე ძალებისთვის, საერთოდ ეკონომიკური ვითარების და შექმნილი გარემოს მდგომარეობაზე. იმიტომ, რომ თუ არ იქნა ასევე პარალელურად გარეშე ძალების, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ იმ ძალებს, რომლებიც წარმართავენ მსოფლიოს, ჩვენ შემთხვევაში რუსეთის და ამერიკის მხრიდან სათანადო პოზიციების დაფიქსირება და ნურავის ჰგონია, რომ დღეს რუსეთს არ აწყობდეს სააკაშვილი ხელისუფლებაში, ან უნდოდეს ამ პოლიტიკის შეცვლა. თუ არ შეირყა ეს ფასადური დემოკრატია, რომელიც შექმნეს და რომლისთვისაც მილიარდებს იხდიან, თუ ეს არ შეირყა და არ ჩამოყალიბდა ოპოზიციური ძალების კონსტრუქციული თანამშრომლობა დასავლეთთან და არ დაინახა დასავლეთმა, რომ ასეთ დიქტატორულ რეჟიმს სხვა რეჟიმი ჯობია და სხვა პოლიტიკურ ძალას აქვს საშუალება აკონტროლოს აქ სიტუაცია, ასეთ შემთხვევაში მათ ურჩევნიათ იყოს აქ სააკაშვილი, იყოს სტაბილურობა. იმიტომ, რომ დასავლეთი ძალიან ხშირად მხარს უჭერს ისეთ რეჟიმებს, რომლებიც დემოკრატიისგან ძალიან შორს არიან. თუნდაც ძალიან დიდი ხნის და თითქმის მუდმივი მოკავშირეა ამერიკის ეგვიპტე, რომლის პრეზიდენტიც უკვე 25 თუ 30 წელია მართავს ქვეყანას და არც აპირებს ჩამოცილებას; ამერიკა კი საკმაოდ მშვიდად ახერხებს მასთან თანამშრომლობას. შორს რომ არ წავიდეთ, აგერ ლუკაშენკოს მაგალითი ავიღოთ, მას ევროპის უკანასკნელ დიქტატორს ეძახოდნენ, მაგრამ როგორც კი რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაშინვე თავზე ხელის გადასმა დაუწყეს, თუმცა ახლა რაღაც სანქციები მაინც დაუწესეს.

***— ამით იმის თქმა გინდათ, რომ ჩვენც იგივე საფრთხე გველის და შესაძლოა სააკაშვილს რამდენიმე ათეული წელი ვუყუროთ?***

— რა თქმა უნდა, არსებობს ამის საფრთხე, ჩვენ ხელისუფლების შეცვლაში ხელს არავინ არ შეგვიწყობს, ერთადერთი, ჩვენ დასავლეთს უნდა დავანახოთ, რომ ამ რეჟიმს ჩვენ ვერ შევეგუებით და თუ უნდათ, რომ საქართველოში იყოს სტაბილურობა, ასეთ შემთხვევაში მათ კეთილი უნდა ინებონ, ან აიძულონ არსებული რეჟიმი, მეტ დათმობაზე წავიდნენ; ან უნდა ხელი შეუწყონ იმ ძალებს, რომლებიც ამ ხელისუფლების ალტერნატიული ძალები არიან, რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, თორემ თუ ჩვენ თავი დავხარეთ, თუ ჩვენ დავექვემდებარეთ შიშს, მოსყიდვას და სიხარბეს, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ჩვენ გასაკეთებელ საქმეს ისინი არ გააკეთებენ. დასავლეთი ჩათვლის, რომ ჩვენ მოგვწონს ეს რეჟიმი, გვეტყვიან, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო. მათ თავისი ინტერესები აქვთ, თავისი ქვეყნის ინტერესები, ავღანეთში ჯარის გაგზავნა იქნება, სატრანსპორტო დერეფანი თუ ნავთობსადენის გაყვანა, ყველაფერი მათ ჩაიგდეს ხელში. ამ შემთხვევაში თუ ჩვენ ხმა არ ამოვიღეთ, ყველა მშვიდათ იქნება, კმაყოფილი იქნება ჩვენი ხელისუფლებაც, ერთადერთი უკმაყოფილო იქნება ჩვენი საზოგადოება და უბედური იქნება ჩვენი ქვეყანა. საზოგადოების გააქტიურება, სოლიდარობა, ერთმანეთისთვის გვერდში დოგმა, არის ის ერთადერთი წამალი, რომელიც აიძულებს როგორც ჩვენ, ისე უცხო ქვეყნების ხელისუფლებებს, წავიდნენ გარკვეულ დათმობებზე და ადამიანებს მისცენ ამოსუნთქვის საშუალება, გარკვეული დოზით მაინც. მინიმალურ დონეზე მაინც იქნას დაცული ის საერთაშორისო ვალდებულებანი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აღებული აქვს ქვეყანას დ აიძულონ ისინი, ეს ვალდებულებები შეასრულონ.

## ორშაბათი 17 იანვარი

06.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 14.00 დოკ. ფილმი "ფილიპ ნუარე მოუხერხებელი ჯენტლმენი" 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "გასეირნება ურჩხულებთან" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00 აუდიტორია 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.30 მხ. ფილმი "პოლოკი" (12) (სუბტ.) 02.45 მოამბე 03.05 ცხოვრება მშვენიერია

08.00 დოკ. ფილმი 09.00 მხ. ფილმი "გარდასახვის ოსტატი" 11.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.00 რეგიონის დროით 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "შოგა კრენკებთან" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "სკანდალის გარეშე" (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "გრძნობათა ტყვეობაში" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20 კურიერი 12.30 სერ. "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ."სპარტაკი" 1-ლი ს. 15.30 "გუნცაძეები" 16.00 სერ. "სიყვარულის საიდუმლო" 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ."სად არის ელისა" 22.00 კონცერტი 00.00 საფეხბურთო ღამე 01.00 მხ. ფილმი "მეორე სუნთქვა" (18) (დ. ოტეი) 03.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "არგაი" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 მხ. ფილმი 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 21.00 სერ. "სი ეს აი" 22.00 მხ. ფილმი სუბტიტრით 00.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 01.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "მეორე სიცოცხლე" 13.00 სერ. "ლოგას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "ლუნას მემკვიდრეობა" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 1-ლი ს. 18.45 სერ. "ლოგას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" მე-3ს. 00.00 სამსონაძეები 00.30 მხ. ფილმი "მოგზაური" (18) (დ. არკენი) (სუბტ.) 02.30 მხ. ფილმი "ველური ორქიდეა 2" (18) (სუბტ.) 04.20 მხ. ფილმი "კრისტი" (ლ. ლი სმიტი) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "სალომეა" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50 სერ. "ჩემი მიწა" 14.50 ფერისცვალება 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "მოჯადოება" 19.30 სერ. "კურტიზანები" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "ფიროსმანი" 13.40 კონცერტი 15.10 სპექტაკლი 17.10 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.35 ახალი აღთქმის განმარტებანი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.30 ტელეზღაპარი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი "დაგვიანებული სასიძო" 21.05 კალენდარი 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 დოკ. ფილმი "ყველაზე საქმიანი ადამიანები" 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" 1-ლი ს. 00.40 სუფთა დაფა

## სამშაბათი 18 იანვარი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 თოქ-შოუ "არენა" 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "რჩევა ახალგაზრდა რეჟისორს: ლუკ და ჟან-პიერ დარდენები" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00, 01.05 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 ელდარ შენგელაია – ცხოვრება – ჯილდო და სასჯელი 23.40 მხ. ფილმი "ევოლუცია" (დ. დუხოვნი) (სუბტ.) 01.00 მოამბე 02.40 აუდიტორია

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00, 19.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 20.00 მხ. ფილმი "ბუნების ძალები" 01.00 მხ. ფ. "პოლოკი" (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "გრძნობათა ტყვეობაში" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ. "სპარტაკი" 15.30 "გუნცაძეები" 16.00 სერ. "სიყვარულის საიდუმლო" 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ."სად არის ელისა" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვის უნდა 20 ათასი 00.00 მხ. ფ. "უხამსი წინადადება" (15) (დ. მური) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "არგაი" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 იმედის ფსონი (პირდ.) 15.30 სერ."ორნახევარი კაცი" 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 21.00 მხ. ფილმი სუბტიტრით 23.00 გადაცემა "მეექვსე გრძნობა" 00.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 01.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "მეორე სიცოცხლე" 13.00 სერ."ლოგას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "ლუნას მემკვიდრეობა" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ. "ლოგას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 ოქროს გლობუსი 2011 00.30 მხ. ფილმი "წინასწარმეტყველი" (12) (ნ. ქეიჯი) (სუბტ.) 02.25 მხ. ფილმი "კერკეტი კაკალი" (12) (ბ. უილისი) (სუბტ.) 04.35 მხ. ფილმი "სიკვდილის შემდეგ" (12) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "სალომეა" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50, 19.00 სერ. "კურტიზანები" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "მოჯადოება" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 11.25 დოკ. ფილმი "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" 1-ლი ს. 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი "დაგვიანებული სასიძო" 13.15 კონცერტი 15.10 მხ. ფილმი "გლახის ნაამბობი" 16.30 მულტფილმი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 19.20 მხ. ფილმი "მე ვხედავ მზეს" 20.40 ძილი ნებისა 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.20 დოკ. ფ. "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" მე-2ს. 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.40 შარავანდედი

## ოთხშაბათი 19 იანვარი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 ქართ. ტელეფილმი "შინდი თეთრი" 08.30 ძველი ქართული საგალობლები 09.00 ნათლისღება (ტრანსლაცია სამების ტაძრიდან) 14.00 ქართ. ტელეფილმი "დედაო ღვთისავ" 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 16.00, 20.00 მოამბე 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 ქართ, ტელეფილმი "ხევსურები" 19.05 ქართ. ტელეფილმი "ათონის ქართველთა სავანე" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00, 01.25 ისტორია 23.00 მხ.ფ."მატყუარა იაკობი"(რ.უილიამსი) (სუბტ.) 01.05 მოამბე 03.25 მხ. ფილმი "ჩემი სიკვდილის შემდეგ"

07.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 ქართ. ტელეფილმი "შინდი თეთრი" 08.30 ძველი ქართული საგალობლები 09.00 ნათლისღება 14.00 ქართ. ტელეფილმი "დედაო ღვთისავ" 14.45, 17,45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00, 19.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 20.00 მხ. ფილმი "საღამოს ვარსკვლავი" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 01.00 მხ. ფილმი "ევოლუცია"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "გრძნობათა ტყვეობაში" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ. "სპარტაკი" 15.30 "გუნცაძეები" 16.00 სერ. "სიყვარულის საიდუმლო" 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ."სად არის ელისა" 00.00 მხ. ფ. "მიშველი იარაღი 2" (18) (ლ. ნილსენი) 02.00 პატრული

08.00 კონცერტი "ზუმბალენდი – ადილა" 09.20 მულტფილმი "მეფის ასულთა სასახლე" 10.00 გოგიჩას დილა 11.10 მხ. ფილმი 12.40 ანიმაცია 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.40 კონცერტი "შინი და მაია ბარათაშვილი" 15.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 16.00 მხ. ფილმი 19.00 კონცერტი "ნატო გელაშვილი" 20.30 მხ. ფილმი 22.00 კონცერტი "თეატრალურის კვარტეტი" 23.20 მხ. ფილმი 01.20 კონცერტი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "მეორე სიცოცხლე" 13.00 სერ. "ლოგას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ."ლუნას მემკვიდრეობა" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლოგას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 00.00 კონცერტი: ერისიონი 01.15 მხ. ფილმი "ჩემი ძმაკაცის შეყვარებული" (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) 03.45 მხ. ფილმი "ჩვევად ქცეული ქორწინება" (კ. ბესინგერი) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სალომეა" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50, 19.00 სერ. "კურტიზანები" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "მოჯადოება" 22.00 სცენა 23.00 სერ. "მონტალბანო" 00.00 ქართ. ფილმი "ფესვები"

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 09.00 ნათლისღება (ტრანსლაცია სამების ტაძრიდან) 12.20 მხ. ფილმი "მე ვხედავ მზეს" 13.25 კონცერტი 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საგალობელი 15.05, 21.05 საეკლესიო კალენდარი 15.10 მხ. ფილმი "ყველაზე სწრაფები მსოფლიოში" 16.35 კვირიაკე 17.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 19.20 მხ. ფილმი "ამაღლება" 20.40 ძილი ნებისა 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.00, 00.05 სიახლენი 22.25 ქართული ალბომი 22.40 დოკ. ფილმი "ნათლისღება" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15, 00.35 სუფთა დაფა 01.00 გადაცემა "კარაბადინი"

## ხუთშაბათი 20 იანვარი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ისტორია 13.30 ჩვენი ფერმა 14.00 ცხოვრება მშვენიერია 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "მილიონერები" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 სერ. "ფარი" (12) 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფილმი "ჰამლეტი" (კ. უინსლეტი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00, 19.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 20.00 მხ. ფილმი "დეივი" 01.00 მხ. ფილმი "მატყუარა იაკობი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "გრძნობათა ტყვეობაში" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ. "სპარტაკი" 15.30 გუნცაძეები 16.00 სერ. "სიყვარულის საიდუმლო" 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ."სად არის ელისა" 22.00 პროფილი 23.30 ტოკ-ტო 00.00 მხ. ფილმი "თავისუფლების მიწა" (18) (ჟ. რუსილიონი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "არგაი" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 მხ. ფილმი 17.40 ანიმაცია 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 21.00 სერ. "სი ეს აი" 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 01.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "მეორე სიცოცხლე" 13.00 სერ."ლოგას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "ლუნას მემკვიდრეობა" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლოგას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 00.00 სამსონაძეები 00.30 მხ. ფილმი "შეუპოვარი" (12) (ჰ. ფორდი) (სუბტ.) 03.05 მხ. ფ. "ლომის გული" (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) 05.15 მხ. ფილმი "ზოროტების სავანე 3" (18) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ."მონტალბანო" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50, 19.00 სერ. "კურტიზანები" 14.50 სცენა 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "მოჯადოება" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 გადაცემა "კარაბადინი" 11.00 სუფთა დაფა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.20 მხ. ფილმი "ამაღლება" 13.30 კონცერტი 15.10 მხ. ფილმი "გასეირნება თბილისში" 16.20 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.45 დოკ. ფილმი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 19.20 მხ. ფილმი "აურზაური სალხინეთში" 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.25 დოკ. ფილმი "წმინდა იოანე ნათლისმცემელი" 22.25, 23.15 ბიზნეს მარათონი 23.00 საღამოს ლოცვა 00.00 საახალწლო მილოცვა 00.35 პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

## პარასკევი 21 იანვარი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00, 03.20 მოამბე 12.30 ავტოპილოტი 13.30 ვაშინგტონი დღეს 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "მილიონერები" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 სერ. "ფარი" (12) 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი "როზმარის ჩვილი" (15) (მ. ფეროუ) 03.50 მხ. ფილმი "სოციალური მკვლელობა"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00, 19.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 20.00 მხ. ფილმი "ჩემი სიკვდილის შემდეგ" 01.00 მხ. ფილმი "ჰამლეტი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "გრძნობათა ტყვეობაში" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 პროფილი 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ."სად არის ელისა" 21.00 კურიერი 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 სერ. "ჰაუსი" 00.00 მხ.ფ."გავცვალოთ ადგილები"(18) (დ.ელიოტი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "არგაი" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ."ორნახევარი კაცი" 12.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 მხ. ფილმი 17.40 ანიმაცია "101 დალმატინელი" 18.30 პულსი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 21.00 გადაცემა "105 წუთი" (პირდ.) 22.50 მხ. ფილმი (სუბტ.) 01.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "მეორე სიცოცხლე" 13.00 სერ."ლოგას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 1-ლი ს. 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლოგას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 00.00 სამსონაძეები 00.30 მხ.ფ."სახიფათო დავალება" (კ. როკი) (სუბტ.) 02.50 მხ. ფილმი "გამოგონილი მკვლელობა" (12) (ბ. ბრაუნი) (სუბტ.) 04.35 მხ. ფილმი "უცხოები" (18) (ლ. ტაილერი)

09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "მონტალბანო" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50, 19.00 სერ."კურტიზანები" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "მოჯადოება" 19.00 მუსიკა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.35 ბიზნეს-მარათონი 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.20 მხ. ფილმი "აურზაური სალხინეთში" 13.30 კონცერტი 15.10 მხ. ფილმი "გაზაფხული საკენში" 16.35 დოკ. ფილმი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 19.15 მხ. ფილმი "ჭირვეული მეზობლები" 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 22.40 დოკ. ფილმი "ქართლის მოწამენი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "გელინო" 1-ლი ნ. 00.40 კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## შაბათი 22 იანვარი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი "ჩვეულებრივი სასწაულები" 11.30 "ბავშვობანა" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.15 მხ. ფილმი "ნიანგი დენდი" 13.40 სპექტაკლი "დარისპანის გასაჭირი" 16.15 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 დოკ. ფილმი "მოგზაურის დღიური" 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 ქართ. ფილმი "აბეზარა" 20.00 მოამბე 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 ქართ. სერ. "კ-17" 23.00 სერ. "ფარი" (12) 00.00 მხ. ფილმი "ბარი ლინდონი" (12) 04.35 მხ. ფილმი "როზმარის ჩვილი" (15)

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 დოკ. ფილმი 19.00 რეგიონის დროით 19.30 საუკუნის პორტრეტები 20.00 მხ. ფილმი "სოციალური მკვლელობა" 21.35 კონცერტი: "ზუმბა" 23.00 წითელი ზონა 00.00 მხ. ფილმი "როზმარის ჩვილი" (18)

08.00 კურიერი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 სერ. "კლუბი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვარსკვლავური ცხოვრება 13.00 მხ. ფ. "სიყვარულისა და დანების ისტორია" 15.30 ქართ. ფილმი "მარადისობის კანონი" 17.30 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ."სად არის ელისა" 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 23.00 სერ. "ჰაუსი" 00.00 მხ. ფ. "ძილის სცენა" (18) (გ. გარსია ბერნალი) 02.30 მხ. ფილმი "დრაკონის კოცნა"

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია"ტომი და ჯერი" 11.00 საბ. სერ. "ოდისეა" 11.30 ანიმაცია "დონერი" 12.00 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. "ელიზა" 15.00 მხ. ფილმი 17.00 გადაცემა "მეექვსე გრძნობა" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ტაქსის მძღოლი" 21.00 სერ. "სი ეს აი" 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი 02.00 მხ. ფილმი

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ალადინი" 09.15 მხ. ფილმი "ლონდონი სანტა კლაუსი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.10 სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" 12.00 სერ. "რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი" მე-5ს. 13.00 სერ."ლოგას საიდუმლო" 14.30 ბოიარის ციხესიმაგრე 15.00 თბილისი ლაივი 16.00 სერ."მონტეს ოჯახი" მე-2 ს. 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ. "ლოგას საიდუმლო" 20.30 სპეც. რეპორტაჟი 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 00.00 მხ. ფილმი "ევროტური" (15) (ს. მეჰლოვიჩი) (სუბტ.) 01.50 მხ. ფილმი "საშიში ამბავი" (პ. კრუსი) (სუბტ.) 03.25 მხ. ფილმი "დამცველი" (12) (სუბტ.) 05.15 მხ. ფილმი "სიცილიური კლანი" (სუბტ.)

09.00, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "მონტალბანო" 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 13.15, 18.50 სერ. "კურტიზანები" 14.30 დროის ვექტორი 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "ამანდა,ო" 00.00 მხ. ფილმი "მარლენ დიტრიხი"

ერთსულოვნება 08.20 მულტფილმი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საგალობელი 09.05, 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 09.10 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 კვირიაკე 12.20 მხ. ფილმი "ჭირვეული მეზობლები" 13.30 კონცერტი 15.10 ოპერა 18.05 საქ. არქივიდან 19.15 ქართული ალბომი 19.30 მხ. ფილმი "მზე შემოდგომისა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 გამოყენებითი ხელოვნება 21.30 სამედიცინო გადაცემა "კარაბადინი" 22.35 ჩემი ქალაქი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 00.40 მხ. ფილმი "ფილატელისტის სიკვდილი"

## კვირა 23 იანვარი

07.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი "შინ დაბრუნება" 12.00, 16.00, 20.00, 03.10 მოამბე 12.15 მხ. ფილმი "მზის ამოსვლამდე" 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 ძველი აფიშა 15.30 ჩვენი სამართალი 16.15 ჩვენი ეზო 17.00 დოკ. ფილმი "მოგზაურის დღიური" 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 კონცერტი – ნ.ერგემლიძე 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 ქართ. სერ. "კ-17" 23.00 სერ. "ფარი" (12) 00.00 ღამის საუბრები 01.00 მხ. ფილმი "უკანასკნელი სამურაი" (15) (ტ. კრუზი) 04.05 აქცენტები

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 სპექტაკლი "იეთიმ გურჯი" 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 პროცესი 21.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.00 კონცერტი: ს.ჭიაურელი, საქველმოქმედო კონცერტი 23.30 მხ. ფილმი "ბარი ლინდონი" (12)

08.00 "კურიერი პ.ს."დაიჯესტი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 სერ. "კლუბი" 11.00 საბავშვო ამბები 11.30 მულტფილმი "მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი "ჩხუბლებთა ქოლგით" 15.20 სერ. "სიამაყე" 17.25 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკო-ვოკი 19.50 სერ."სად არის ელისა" 21.00 კომედი-შოუ 22.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 23.00 სერ. "ჰაუსი" 00.00 მხ. ფ. "პეპლის ეფექტი 2" (18) (ე. ლაივლი) 02.30 მხ. ფ. "აპოკალიფსო"

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია"ტომი და ჯერი" 11.00 გადაცემა "ტვ-ტესტი" 11.30 ანიმაცია "გიყვარვარ დედა?" 12.00 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. "ელიზა" 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი "განძთა კუნძული" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ტაქსის მძღოლი" 21.00 სერ. "სი ეს აი" 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი 02.00 მხ. ფილმი

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ალადინი" 09.15 ან.ფ."ბარბის დღიურები" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 12.00 სერ. "რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი" 13.00 სერ."დათარსული კვირა" 14.30 სპეცრეპორტაჟი 15.00 მხ. ფილმი "პირველი მერცხალი" 17.30 ბოიარის ციხესიმაგრე 17.45 ეტალონი 19.05 სამსონაძეები 20.00 იმედის გმირები 20.20 ინტუიცია 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 00.00 თბილისი ლაივი 01.00 მხ. ფილმი "მზის ბნელი მხარე" (ბ. პიტი) (სუბტ.) 03.05 მხ. ფილმი "მტრის საწოლში" (12) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) 04.40 მხ. ფილმი "წყალქვეშა საბურღილე" (12)

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "მონტალბანო" 10.00 დილის ტალღა 12.00 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 13.00, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "ამანდა,ო" 19.00 ქართ. ფილმი "ფესვები" 00.00 მხ. ფილმი "ფორესტ გამპი"

ერთსულოვნება 08.30 მულტფილმი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საგალობელი 09.05, 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 09.10 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 19.00, 22.00 სიახლენი 10.35 ჩემი ქალაქი 11.15 ტაძრები 11.30 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 12.20 მხ. ფილმი "მზე შემოდგომისა" 13.50 ქართ. მულტფილმები 14.30 გადაცემა "კარაბადინი" 15.10 პატრიარქის ქადაგება 15.35 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 დოკ. ფილმი "გელინო" ფილმი 1-ლი 17.00 სუფთა დაფა 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.00 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფილმი "ფესვები" 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 24.00 პატრიარქის ქადაგება 00.40 ოპერა

# მილანის პროკურატურა სილვიო ბერლუსკონის საქმეს იძიებს

მილანის პროკურატურამ დაადასტურა, რომ პრემიერ-მინისტრის, სილვიო ბერლუსკონის მიმართ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და არასრულწლოვანთა პროსტიტუციასთან დაკავშირებულ საქმეს იძიებს.

პროკურორების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ბერლუსკონისა და მისი ადვოკატების სახელზე მომზადებულია უწყებები დაკითხვაზე გამოცხადების თხოვნით.

ამჟამად მილანის სამართალდამცავი ორგანოები ამ სკანდალურ საქმესთან დაკავშირებით ჩხრეკებს ატარებენ.



ლაპარაკია არასრულწლოვან მაროკოელ გოგონაზე, რომელიც საქმეში რუბის სახელით ფიგურირებს. იგი ღამის კლუბში მოცეკვავედ მუშაობდა და როგორც თავად განაცხადა, 17 წლის ასაკში იტალიის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში კერძო წვეულებებზე სტუმრობდა.

გარდა ამისა, პროკურატურა ამჟამად ამოწმებს, ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი სილვიო ბერლუსკონის ამ გოგონას გათავისუფლებასთან, პოლიციის მიერ ქურდობის ბრალდებებით დაკავების შემდეგ.

ეს ისტორია იტალიის მედიაში რამდენიმე თვის წინ ამოტივტივდა. ბერლუსკონიმ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ბრალდებები უარყო და განაცხადა, რომ მხოლოდ და მხოლოდ გასაჭირში მოხვედრილ ადამიანს დაეხმარა.

გოგონა, თავის მხრივ, არ აღიარებს, რომ 74 წლის სილვიო ბერლუსკონისთან სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა. ჟურნალისტებს მან განუცხადა, რომ მილანში, ბერლუსკონის რეზიდენციაში წვეულებაზე სტუმრობის შემდეგ გასამრჯელოს სახით 7 ათასი ევრო მიიღო.

**გ.თ.**

# ნარკომანმა ქმარმა სახე დამიუთოვა

**საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ ნარკომანობას სიკვდილი უწოდა. ამის მიუხედავად, სპეციალისტები აცხადებენ, რომ საქართველოში ნარკომანთა რიცხვი არათუ მცირდება, არამედ ელვის სისწრაფით იზრდება. მაიამ სამი წელი გაუძლო ნარკომანი ქმრის აუტანელ გამოხდომებს და მხოლოდ მაშინ მიიღო მისგან წასვლის გადაწყვეტილება, როდესაც ქმარმა ცხელი უთოთი გაუთოება დაუპირა.**

მაია:

— 23 წლის ვარ და უკვე იმდენი ტანჯვა ვნახე, გული როდის გამიჩერდება, შიშით ველოდები. ჩემი ქმარი, უფრო სწორად, ყოფილი ქმარი ნარკომანი იყო და სიცოცხლეს მიმწარებდა. ძალიან მიყვარდა, სიყვარულით გავყევი და მის ცოლობაზე ყოველთვის ვოცნებობდი, მაგრამ იმის მოთმენა, რასაც ის მიკეთებდა, აღარ შემეძლო.

როცა ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება მივიღე, ამაზე მართლა ბევრი ვიფიქრე. ვიცოდი, რომ ჩემს მეზობელ სანდროს ძალიან მოვწონდი და ვუყვარდი, მაგრამ მე არ ვიყავი მის მიმართ იმავე გრძნობით განწყობილი, ამიტომ არ მინდოდა, მთელი ცხოვრება ტყუილში მეცხოვრა და არჩევანი ისევ ოთოზე გავაკეთე, იმიტომ რომ ოთო ყველაზე და ყველაფერზე მეტად მიყვარდა.

***— როდის გაიგეთ, რომ თქვენი ქმარი ნარკომანია?***

— თავიდან ყველას ვუმალავდი, რომ ჩემი ქმარი წამალს იკეთებდა, მაგრამ ბოლოს ამის დამალვაც შეუძლებელი გახდა. ჩემი ქმარი ისე ცუდად იქცეოდა, მასთან ერთად სადმე წასვლის მრცხვენოდა. არ ვიცოდი, როდის მოუვლიდა „ლომკა“ და როდის მოუნდებოდა წამლის გაკეთება. მხიარული და ნათესავების მოყვარული გოგო სულ მალე სახლში ჩაკეტილ და გაუბედურებულ ადამიანად ვიქეცი. აღარც ჩემს მშობლებთან დავდიოდი და აღარც ნათესავებთან. ეზოში ჩასვლისაც მეშინოდა.

***— როცა გათხოვდით, თქვენი ქმარი უკვე ნარკომანი იყო?***

— არ ვიცი. თვითონ როგორც ამბობს, მანამდე ნარკომანი არ ყოფილა და წამალი ორი წლის წინ გასინჯა, მაგრამ მისი არ მჯერა. გამარჯობა რომ მითხრას, იმასაც არ დავუჯერებ. სანამ ოთოს ცოლად გავყვებოდი, ჩემმა მშობლებმა მის შესახებ გაიკითხეს და მამაჩემმა შემაქო, რა კარგი ბიჭი აგირჩევიაო. ძალიან ბედნიერი ვიყავი, იმიტომ რომ ჩემი არჩევანი ყველაზე ძვირფასმა ადამიანებმა — მშობლებმა მომიწონეს. ოთოს მშობლები საზღვარგარეთ ცხოვრობენ, მხოლოდ ერთი და ჰყავს, რომელიც გათხოვილია. მათი რძალი რომ გავხდი, თეო უკვე გათხოვლი იყო და მე და ჩემი ქმარი მარტო ვცხოვრობდით. ჩემი მშობლები ბევრს მეხვეწნენ, მათთან გადავსულიყავით საცხოვრებლად, მაგრამ არც მე მინდოდა ჩემს მშობლებთან ცხოვრება და არც ოთოს. მიმაჩნია, რომ ახლად დაქორწინებულები რაღაცა პერიოდი ცალკე უნდა ცხოვრობდნენ, რომ ერთმანეთი უკეთესად გაიცნონ. ასე უფრო ბედნიერები ვიყავით, საკუთარი თავის პატრონები ვიყავით და ერთმანეთის ყურება გვიხაროდა. ნეტავ მაშინ ჩემებისთვის დამეჯერებინა და მათთან გადავსულიყავით, იქნებ ჩემს მშობლებს არ გამოპარვოდათ მისი უცნაური საქციელი და მეც ამ უბედურებას ავცილებოდი.

ერთი წელი არ დავორსულებულვარ. ამან ჩემი ქმარი ძალიან აალელვა, თუმცა ვამშვიდებდი, რომ ერთი წელი პრობლემად სულაც არ ითვლებოდა. პირველი ორსულობა შეწყვეტით დასრულდა. ამან ძალიან დამაეჭვა და ექიმთან წავედით. აღმოჩნდა, რომ მე ყველაფერი წესრიგში მქონდა, მაგრამ ჩემი ქმარი იყო სამკურნალო. ოთომ შორს დაიჭირა, რა მკურნალობა, ლომივით ჯანმრთელი ვარ, მაგათი დანიშნული წამლები არ მჭირდებაო. ამის შემდეგ ორსულობა კიდევ სამჯერ შემიწყდა. ბოლო ორსულობის დროს კი საკმაოდ დიდი ვიყავი და ბავშვი ძალით გამაჩენინეს. ხელოვნური მშობიარობის შემდეგ დადგინდა, რომ ჩემი შვილი მახინჯი იყო და, როგორც კი დაიბადებოდა, მაინც არ იცოცხლებდა.

ჩემი ქმარი ამ ამბავმა ძალიან შეაშფოთა, შეიცვალა, საკუთარ თავში ჩაიკეტა და გამუდმებით თავს იდანაშაულებდა, რომ არ ვიმკურნალე, ასე იმიტომ დაგვემართაო. ვამშვიდებდი და ვურჩევდი, მკურნალობა არც ახლაა გვიან, წამოდი, ნორმალურ ექიმთან მიგიყვან და ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. მისი დაყოლიება გამიჭირდა, მაგრამ ბოლოს მაინც დავითანხმე, თუმცა, წინა დღეს, სანამ ექიმთან წავიდოდით, საშინლად მთვრალი მოვიდა და ფული მთხოვა. გამიკვირდა მისი საქციელი. პირველად მაშინ ვიჩხუბეთ. ვუთხარი, ხომ იცი, მკურნალობა უნდა დაიწყო, დალევა არაფრით არ შეიძლება-მეთქი. აქეთ დამადანაშაულა, რა ჩემი ბრალია, ეს პრობლემები შენს გამოჩენამდე არ მქონდა, ყველაფერი შენი ბრალიაო. ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა.

***— ფული მიეცით?***

— არა. ვუთხარი, არ მაქვს-მეთქი. ძალიან გაბრაზდა. სახლიდან წავიდა და ორი დღე არ გამოჩენილა. მისი ძებნა არც მიცდია, მხოლოდ მის ნათქვამზე ვფიქრობდი. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა. ისევ ნასვამი იყო, მაგრამ ისეთი მთვრალი არა, როგორც ჩხუბის დღეს. მოვიდა და ბოდიშებს მიხდიდა, მაპატიე, იმ დღეს გაბრაზებული ვიყავი და ასე აღარ მოვიქცევიო. დავუჯერე. შევრიგდით კიდეც. ცოტა ხანში ფული მთხოვა. ისევ უარი ვუთხარი. მაშინ კიდევ უფრო გაბრაზდა და ისეთი დღე მაყარა, დღესაც არ მინდა გახსენება.

***— როგორ გაიგეთ, რომ თქვენი ქმარი წამალზეა დამოკიდებული?***

— სმა სისტემატურად დაიწყო. ყოველ საღამოს მთვრალი მოდიოდა. მე მეგონა, რომ მთვრალი იყო, თურმე წამლის კაიფში ყოფილა. ნარკომანი ადამიანი არასოდეს მენახა და ვერ ვხვდებოდი, მთვრალი იყო თუ სხვა რამ სჭირდა. თვალი ისევ მამაჩემმა ამიხილა. ერთ საღამოს სრულიად მოულოდნელად მამაჩემი სახლში გვესტუმრა. ჩემი ქმარი ანალოგიურ მდგომარეობაში იყო. მამამ ოთო რომ დაინახა, გაგიჟდა, ჭკუიდან გადავიდა. ასეთი რამ როგორ გაბედეო და ხელი გაარტყა. მომკიდა ხელი და სახლში წამოდიო, მითხრა, მაგრამ არ გავყევი. ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა. იმ დღეს მამაჩემს რომ სახლში გავყოლოდი, ახლა ასეთ დღეში არ ვიქნებოდი.



***— რა მოხდა?***

— იმ დღის შემდეგ ოთოს ვეღარ ვცნობდი. სულ უკმაყოფილო იყო, სულ ჩხუბობდა, მცემდა კიდეც. არ ავიწყდებოდა, რომ მამაჩემმა ხელი გაარტყა და ეს როგორ გამიბედაო, მსაყვედურობდა.

ასე ცხოვრება აღარ შემეძლო. ერთხელ მაღაზიაში ჩასულს სანდრო შემხვდა. ისევ ისეთი სითბოთი და სიყვარულით მომიკითხა. ოჯახის ამბები მკითხა. ვუთხარი, ძალიან ბედნიერი ვარ, ოთოში გამიმართლა-მეთქი. არ მინდოდა, შევბრალებოდი და ჩემთვის სიბრალულით დაეწყო ყურება. სიტყვის დამთავრება არ დამაცადა, თვითონვე მომახალა, რატომ მატყუებ, მთელი უბანი ლაპარაკობს, რომ შენი ქმარი წამალზე შეჯდა და საშინელ დღეში გაგდებსო. ჯიუტად ვუმტკიცებდი, ასეთი ჭორები ჩვენმა ჭორიკანა მეზობლებმა მოიგონეს, ოთო არ არის ნარკომანი და არც ცუდ დღეში მაგდებს-მეთქი. წამოსვლისას მითხრა, ყველაფრის მიუხედავად, ჩემი გრძნობები შენ მიმართ არ შეცვლილა და არც შეიცვლებაო.

***— ოთოსგან წამოსვლა როდის გადაწყვიტეთ?***

— როცა მოთმინების ფიალა საბოლოოდ ამევსო და ყველაფრისთვის ხაზის გადასმა გადავწყვიტე. ერთ საღამოს სახლში მობრძანდა, ფული მჭირდება და მომეციო. რაც არ მქონდა, რას მივცემდი. უარი რომ ვუთხარი, არ ესიამოვნა, მაშინ ეგ ბეჭედი მოიხსენი და მომეციო. ამაზეც უარი ვუთხარი, ჩემი მშობლების ნაყიდია და რატომ უნდა მოგცე-მეთქი. გაგიჟდა, ნუ ამომიყვანე შენი მშობლებით ყელში ეს ცხოვრება, შენ გარდა მშობლები სხვას არ ჰყავსო? ხელში მეცა, უნდოდა, ბეჭედი მოეძრო თითიდან, მაგრამ ხელი ვკარი და მოვიშორე. არ ვიცი, ოთოს რა დაემართა, მომვარდა და გამეტებით დამიწყო ცემა. სადამდეც შემეძლო, თავს ვიცავდი, მაგრამ კაცს ქალზე მეტი ძალა აქვს და როგორ მოვერეოდი. როცა კიდევ ერთხელ მითხრა, ბეჭედი მოიხსენი და მომეციო, ისევ უარი ვუთხარი. მაშინ მოკვლით დამემუქრა. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ, თუ ჩემი საყვარელი მამაკაცი სასიკვდილოდ გამწირავდა, ამას ვერასოდეს დავიჯერებდი. ოთომ ხელი გამიშვა და მეორე ოთახში გავიდა. იქიდან უთო გამოიტანა, ხელები შემიკრა და ლოგინზე დამაგდო, შემდეგ უთო ჩართო და გავარვარებული სახესთან მომიტანა, თან მემუქრებოდა, თუ არ დამიჯერებ, ამ უთოთი დაგაუთოვებო. ნათქვამი აასრულა, როდესაც კიდევ ერთხელ ვუთხარი უარი, ცხელი უთო სახეზე მომადო, იარა ახლაც მაქვს. ჩემს კივილზე სახლში მეზობლები შემოცვივდნენ და ოთო ოთახიდან გაათრიეს. ტკივილისგან გული წამივიდა და, როცა გონს მოვედი, უკვე ჩემი მშობლების სახლში ვიყავი. იმ დღის შემდეგ ჩემი ქმარი აღარ მინახავს. დამწვრობა სერიოზული აღმოჩნდა.

***— შვილი არ გყავთ?***

— არა. ხელოვნურად მშობიარობის შემდეგ აღარ დავორსულებულვარ. მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ ოთო ნარკომანია, შეგნებულად ვარიდებდი თავს დაორსულებას, არ მინდოდა, კიდევ ერთი მახინჯი ბავშვი გამეჩინა და ჩემი შერყეული ფსიქიკა კიდევ უფრო მერყეულიყო.

***— მის მშობლებს არ გააგებინეთ მათი შვილის ამბავი?***

— მის მშობლებს კი არა, ჩემს მშობლებსაც არ ვეუბნებოდი ჩემი ქმრის ამბავს. ამას ახლა ძალიან ვნანობ, მაგრამ რაღა დროსია. მაქსიმალურად ვცდილობდი, ჩემი ოჯახის პრობლემები თავად მომეგვარებინა, მაგრამ ვერ შევძელი. ერთი პერიოდი ჩემს მულთან დალაპარაკებაც გადავწყვიტე, მაგრამ ვერ გავბედე. საკუთარ თავში ვიკლავდი ამდენ დარდსა და ნაღველს და იმიტომაც დამემართა ასე. თავის დროზე ყველასთვის რომ მეთქვა, ჩემს ქმარს რაც სჭირდა, იქნებ ერთად უფრო მოგვეგვარებინა ეს პრობლემა და დღეს ასეთ დღეში აღარ ვყოფილიყავი. ახლა ამაზე ფიქრს აზრი აღარ აქვს. მთავარია, ეს ყველაფერი დავივიწყო და ახალ ცხოვრებას მომავალში აუცილებლად დავიწყებ.

***— სანდროსთან ერთად?***

— ვიცი, რომ სანდროს ისევ ვუყვარვარ, მაგრამ არ მინდა, ჩემნაირ გაუბედურებულ და ტკივილით აღსავსე ქალს დაუკავშიროს ცხოვრება. სანდრო საუკეთესო ცოლს იმსახურებს. მე მისი ღირსი არა ვარ.

**თიკო ნინიაშვილი**


**ნათელმხილველი მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.**
**მის: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

**განცხადებები**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.




მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

განჩინება
საქართველოს სახელით
სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ
საქმე №2/11140-10 03 იანვარი, 2011 წელი
ქ.თბილისი
თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე გიორგი მაისურაძე

მოსარჩელე: გურამ შარაბიძე
მოპასუხე: მარია შარაბიძე
დავის საგანი: ქორწინების შეწყვეტა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხე მარია შარაბიძისათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი და

**გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2010 წლის 27 ოქტომბერს სარჩელით მომართა გურამ შარაბიძემ მოპასუხე მარია შარაბიძის მიმართ ქორწინების შეწყვეტის თაობაზე.

სასამართლომ მოპასუხე მარია შარაბიძის საჯარო შეტყობინებით გზავნილის ჩაბარების საკითხის განხილვისას დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე გურამ შარაბიძის სარჩელი მოპასუხე მარია შარაბიძის მიმართ ქორწინების შეწყვეტის თაობაზე 2010 წლის 01 ნოემბრის განჩინებით მიღებულია სასამართლო წარმოებაში;

საქმის განხილვისთვის მომზადების მიზნით მოპასუხე გია ბერუაშვილს სასამართლოს მიერ გაეგზავნა გზავნილი საქმეში მითითებულ მისამართზე, თუმცა მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის „ა" და „ბ" პუნქტის თანახმად, სასამართლო უგზავნის მოპასუხეს სარჩელისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს; დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისთვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასზე დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან განსახილველი საკითხი წარმოადგენს მარტივი კატეგორიის საქმეს, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეს წერილობითი პასუხის სასამართლოში წარმოდგენისათვის უნდა მიეცეს 07 დღე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 201-ე, $232^1$-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. მოპასუხე მარია შარაბიძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6) გურამ შარაბიძის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ პასუხის (შესაგებლის) წარდგენისთვის განესაზღვროს 07 დღის ვადა და განემარტოს, რომ სარჩელი და თანდართული მასალები მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს და სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა აითვლება ამ დროიდან.

2. განემარტოს მოპასუხე მარია შარაბიძეს, რომ მის მიერ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, წინააღმდეგ, შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებების მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

3. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „ახალი თაობა".

4. საჯარო შეტყობინება განხორციელდეს მოსარჩელე — გურამ შარაბიძის ხარჯით;

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

*მოსამართლე: გიორგი მაისურაძე*

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, წარსულში ცნობილი სპორტსმენი, რეკორდსმენი, საზოგადოების აქტიური წევრი, ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის აქტიური მიმდევარი

**იასონ (იაშა) წულუკიძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

შვილი ირინე ონიანი, და გალინა, დისშვილები ნანა, თაური კიკნაძეები, მანანა, თემურ კოვზირიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეკატერინე აბაშიძე-ონიანი**

პანაშვიდი: 16, 17 იანვარს, 16 საათზე;
დაკრძალვა: 18 იანვარს, 14 საათზე;
მისამართი: დავით აღმაშენებლის პროსპექტი 102.

განჩინება
საქართველოს სახელით
სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ
საქმე №2/10668-10 10 იანვარი, 2011 წელი
ქ.თბილისი
თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე: გიორგი მაისურაძე
მოსარჩელე: სპარტაკოს გკარაკლიდისი

წარმომადგენელი: გიგლა მაჩიტიძე
მოპასუხე: თინათინ არჩემაშვილი
დავის საგანი: ქორწინების შეწყვეტა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხე თინათინ არჩემაშვილისათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი და

დაადგინა:

1. მოპასუხე თინათინ არჩემაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) სპარტაკოს გკარაკლიდისის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის განესაზღვროს 07 დღის ვადა და განემარტოს, რომ სარჩელი და თანდართული მასალები მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს და სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა აითვლება ამ დროიდან;

2. განემარტოს მოპასუხე თინათინ არჩემაშვილს, რომ მის მიერ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებების მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით;

3. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „ახალი თაობა";

4. საჯარო შეტყობინება განხორციელდეს მოსარჩელე სპარტაკოს გკარაკლიდისის ხარჯით;

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

*მოსამართლე: გიორგი მაისურაძე*

# ევროპაში სქესობრივად ყველაზე აქტიური რუსი ქალები ყოფილან




ფარმაცევტული კომპანია „პფაიცერის" მიერ ორგანიზებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, აღმოსავლეთ ევროპაში სექსუალური თვალსაზრისით ყველაზე აქტიური რუსი ქალები ყოფილან. მამაკაცებს შორის ყველაზე აქტიურები არიან რუმინელები. გამოკითხვის შედეგების თანახმად, რუს ქალებს სქესობრივი ურთიერთობა თვეში საშუალოდ 12.7-ჯერ აქვთ, ხოლო რუმინელ მამაკაცებს — 12.4-ჯერ. ამასთან რუსი მამაკაცების მესამედს ერექციის პრობლემები აქვთ.

გამოკითხვა სახელწოდებით „შოუ" სქესობრივი ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვებას ისახავდა მიზნად. გამოკითხვის შედეგების თანახმად, სქესობრივი ურთიერთობა რესპონდენტების უმეტესობისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. გამოკითხვაში მონაწილეობა აღმოსავლეთ ევროპის შვიდი ქვეყნის, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სლოვაკეთის, უკრაინის, რუსეთიის, ისრაელის და თურქეთის მოსახლეობამ მიიღო (თურქეთი შეიძლება პირობით მივაკუთვნოთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნას, ისრაელი კი აზიაში მდებარეობს). სქესობრივი ცხოვრებით ყველაზე მეტად კმაყოფილი მამაკაცები თურქეთსა (გამოკითხულთა 54%) და ისრაელში (50%) ცხოვრობენ, ქალები კი ისრაელსა (444) და პოლონეთში (43%). გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ სქესობრივი აქტიურობის მაჩვენებელი უშუალოდ არის დამოკიდებული მამაკაცებზე, კერძოდ, მათ ერექციულ ფუნქციაზე, რაც სავსებით მოსალოდნელი შედეგი იყო. ასევე, რაც უფრო მაღალია მამაკაცების სქესობრივი აქტიურობა, მით უფრო მაღალია სქესობრივი აქტივობა ქალებშიც.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რუსეთში მამაკაცების თითქმის მესამედმა განაცხადა, რომ მათ ერექციის დარღვევები აქვთ.

გ.თ.

# ჟურნალისტმა მოკლულ მამაკაცში მამა ამოიცნო

იტალიაში მკვლელობის ადგილას ჟურნალისტების მისვლის შემდეგ ნამდვილი დრამა გათამაშდა. რეპორტიორმა ქალმა დანაშაულის შემთხვევით მსხვერპლში თავისი ახლობელი ამოიცნო. როგორც გაირკვა, ქილერებმა ჯერ თავიანთი სამიზნე მოკლეს, შემდეგ კი შემთხვევითი მოწმის თავიდან მოშორება გადაწყვიტეს, რომელიც ჟურნალისტი ქალის მამა აღმოჩნდა.

ეს შემთხვევა ხუთშაბათს ნეაპოლის მახლობლად ქალაქ სან ჯორჯო ა კრემანოში მოხდა. ადგილობრივი გაზეთის, ილ მატინოს თანახმად, პისტოლეტებით შეიარაღებულმა ორმა მამაკაცმა დღისით, მზისით დასასვენებელი ცენტრის 56 წლის მფლობელი ლუიჯი ფორმიკოლა მოკლეს.

როგორც ვარაუდობენ, დაღუპული მაფიასთან იყო კავშირში, რადგან ჯერ კიდევ 2000 წელს გამოძალვასთან დაკავშირებით ბრალდებები ჰქონდა წაყენებული.

მკვლელობას შემთხვევით შეესწრო 57 წლის ვინჩენცო ლიგოური, ადგილობრივი ავტოსახელოსნოს მფლობელი. პოლიციის თქმით, მკვლელები უკან მობრუნდნენ და ერთი წუთის შემდეგ შემთხვევითი მოწმეც მოკლეს.

ინფორმაცია მკვლელობის შესახებ ადგილობრივი გაზეთის, ილ მატინოს რედაქციამ მიიღო და მორიგე რედაქტორმა შემთხვევის ადგილზე კრიმინალური ქრონიკის ჟურნალისტი მერი ლიგოური გაგზავნა.

თავდაპირველად რედაქციაში დაღუპულთა გვარები არ იცოდნენ, ხოლო შემდეგ, როდესაც შეიტყვეს, რომ მოკლული ლიგოური იყო და სხვა გარემოებებიც გაითვალისწინეს, კერძოდ ის, რომ მკვლელობა სან ჯორჯო ვეკიას ქუჩაზე მოხდა, იქ, სადაც ჟურნალისტის მამას სახელოსნო ჰქონდა, რედაქციამ ჟურნალისტის უკან გამოძახება გადაწყვიტა, მაგრამ უკვე გვიანი იყო — მერი ლიგოურიმ დანაშაულის ადგილზე მამის გვამი ნახა.

სან ჯორჯო აკრემანოში მომხდარი მკვლელობა კამპანიის პროვინციაში მოქმედი კამორას მკაცრი ანგარიშსწორების ერთ-ერთ მაგალითად იქცა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ნეაპოლის მახლობლად ანალოგიური რამდენიმე შემთხვევა მოხდა.

გ.თ.




## კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 2. მდინარე პრაღაში; 3. კიდულ ლიანდაგზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 4. ხმადაბლა სიცილი; 5. ლირიკული სიმღერა; 7. ვულკანი იაპონიაში; 11. მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი ძველად; 12. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ავსტრალიაში ბინადარი სირაქლემასნაირი მორბენალი ფრინველი; 14. მხარე გერმანიაში; 15. უკრაინის კარპატებში მცხოვრებ ხალხთა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი; 17. მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი; 19. სენსაცია, აურზაური.

თარაზულად: 5. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 6. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი ფირმა; 8. მჟავე, მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება; 9. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 10. აეროპორტი ტოკიოში; 11. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 13. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 14. გამაგრებული ციხესიმაგრე, კოშკი გერმანულ ქალაქებში; 16. მარდი, მამაცი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 18. აეროპორტი პეკინში; 20. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. უთავბოლო, მომაბეზრებელი ლაპარაკი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჩედვიკი; 2. საფირონი; 3. ტინტორეტო; 4. დროზერა; 5. მანერგეიმი; 10. შტანგა; 11. გოროვიცი; 12. მანდატი; 13. მერკელი; 16. მონტესუმა; 17. „კიმიგაიო"; 19. ანტიგონე; 21. გესლი; 23. აჭარა.

**თარაზულად:** 6. დეგრადაცია; 7. ფრაქცია; 8. რიბერი; 9. კორონერი; 14. რეიტინგი; 15. დინოზავრი; 18. „ციცკა"; 20. ყიფიანი; 22. დიუპონი; 24. „ხერესი"; 25. ბუცეფალი; 26. მერსიე.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ლალიძე; 2. უვრაჟი; 3. სმეტანა; 4. „ქინძაძა"; 5. სუფიქსი; 7. ბაკალეა; 11. ჟესტი; 12. ჩონჩხი; 13. ბუდუარი; 14. „გლობუსი"; 15. ნამაზი; 17. არენდა; 19. რიფი.

**თარაზულად:** 5. სარაევო; 6. კალმარი; 8. ჟაკო; 9. ფაცხა; 10. ქაშერო; 11. ჟირო; 13. საბატერო; 14. გესლი; 16. რანჩო; 18. საუნა; 20. სულფატი; 21. ზინდანი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის 15 იანვარს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,781
ევრო — 2,4644
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0583

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 8-11, ღამით — 1-3
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — 5-7
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -3-1, ღამით — -16-1

## ამინდის პროგნოზი 15 იანვრისთვის







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო"

### უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


# კალაშნიკოვამ და ტატიშვილმა ავსტრალიის ღია პირველობა მოგებით დაიწყეს

2011 წლის საჩოგბურთო სეზონი ავსტრალიის ღია პირველობით დაიწყო, სადაც საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვას 2 ქართველი ჩოგბურთელი ცდილობს — ოქსანა კალაშნიკოვა და ანა ტატიშვილი.

პირველ წრეში ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე რუსი ეკატერინა ბიჩკოვა იყო. ჩვენებურმა პირველი სეტი კარგად ჩაატარა და 6:4 მოიგო. კალაშნიკოვამ კარგად დაიწყო მეორე სეტი და 5:2 დაწინაურდა, მაგრამ მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა, შემდეგ კი ტაიბრეიკში პირწმინდად წააგო.

გადამწყვეტ, მესამე სეტში თამაში ქულა-ქულაში დაიწყო, მაგრამ, როდესაც ანგარიში 3:2 იყო კალაშნიკოვას სასარგებლოდ, ჩვენებურმა მეტოქეს მოწოდება აართვა და სოლიდური უპირატესობა მიიღო, რომელიც შემდეგ ხელიდან აღარ გაუშვა და საბოლოოდ 6:2 მოიგო.

ანა ტატიშვილის მეტოქე კი პოლონელი ურსულა რადვანსკა იყო. ქართველმა ჩოგბურთელმა სუსტად დაიწყო მატჩი და პირველი სეტი 4:6 წააგო. თუმცა, შემდეგ სადავეები ხელთ იგდო და ორ სეტში მეტოქეს მხოლოდ 2 გეიმი დაუთმო — 6:2; 6:0 ტატიშვილის სასარგებლოდ და ორივე ქართველი ჩოგბურთელი საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრეში გავიდა.

შემდეგ ეტაპზე ოქსანას რთული მეტოქე ჰყავს — ისრაელის წარმომადგენელი ირინა ფალკონი. თუმცა, კალაშნიკოვამ დაამტკიცა, რომ მასზე ძლიერებთანაც შეუძლია თამაში. რაც შეეხება ტატიშვილს, მეორე წრეში კორიტცევა-ტორპეს შორის გამარჯვებულს შეხვდება. წესით, ჩვენებურს ორივე მათგანის დამარცხება შეუძლია.

კვალიფიკაციაში მოხვედრილი თითოეული ჩოგბურთელი 2 სარეიტინგო ქულას ავტომატურად იღებს, შემდეგ კი მონაგარის რაოდენობა საგრძნობლად იზრდება. ქალთა კვალიფიკაციაში პირველივე გამარჯვებით ქართველმა ჩოგბურთელებმა 40 ქულა უკვე გამოიმუშავეს, ხოლო შემდეგი ეტაპების დაძლევისთვის დამატებით კიდევ 10-10 ქულას მიიღებენ.



## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

**15 იანვარი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — საღამო მშვენიერი იქნება. **სასწორი** — გადაიხალისეთ გარდერობი, გელით საქმიანი შეხვედრა. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის კარგი ამბავიც ჩამოაქვს. **თევზები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით.

**16 იანვარი — შემოქმედებითი დღეა.**

**ვერძი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის კარგი ამბავი მოაქვს. **სასწორი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, გელით შენაძენი. **მშვილდოსანი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **მერწყული** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კოლინ ფერტს ვარსკვლავი აჩუქეს

ცნობილმა ბრიტანელმა მსახიობმა კოლინ ფერტმა ჰოლივუდის დიდების ხეივანში საკუთარი ვარსკვლავი მიიღო. ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი ლოს ანჯელესში ხუთშაბათს გაიმართა. მსახიობი ლოს ანჯელესში „ოქროს გლობუსის" მისაღებად ჩავიდა, რომელზეც იგი გასულ წელს ფილმში „მეფე ლაპარაკობს" შესრულებული მეფე გეორგ VI-ის როლისათვის წარადგინეს.



სიტყვით გამოსულმა მსახიობმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მას შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში დახმარება და პარტნიორობა გაუწია, მიღებული ვარსკვლავი კი ცოლს მიუძღვნა, იტალიელ კინოპროდიუსერს ლივია ჯუჯიოლის.

„ვარსკვლავს რომ ვუყურებ, მის სახელს ვხედავ", — განაცხადა მსახიობმა.

როგორც გაზეთი „ტელეგრაფი" აღნიშნავს, ცერემონიალის დროს მსახიობს ცრემლი წასკდა და მოგვიანებით განაცხადა, რომ შინაგანად ძალიან ღელავდა. კოლინ ფერტი დიდ ბრიტანეთში დაიბადა, 1960 წელს და კინოში 60-ზე მეტი როლი აქვს შესრულებული. მსოფლიო პოპულარობა მას მოუტანა ფილმმა „სიამაყე და მიკერძოება". გარდა ამისა, იგი მონაწილეობდა ისეთ ფილმებში, როგორიცაა „შეყვარებული შექსპირი", „ბრიჯით ჯოუნსის დღიური", „გოგონა მარგალიტის საყურით", „მამა მია" და სხვები.

მის ბოლოდროინდელ ნამუშევრებს შორის აღსანიშნავია ლორდ გარი უოტონის როლი ფილმში „დორიან გრეი", აგრეთვე დიზაინერ ტომ ფორდის სარეჟისორო დებიუტში „მარტოხელა მამაკაცი".

გ.თ.

## ხართ თუ არა პუნქტუალური

ტესტი



1. პუნქტუალურობის გარეშე ცხოვრება ქაოსად შეიძლება იქცეს.
ა. დიახ. ბ. რამდენადმე. გ. არა.

2. არაორგანიზებულობა ხელს უშლის კარიერას, ნთქავს დროს.
ა. დიახ. ბ. ძნელი სათქმელია. გ. არა.

3. სჯობს 15 წუთით ადრე, ვიდრე ერთი წუთით გვიან.
ა. დიახ. ბ. როდის, როგორ. გ. არასწორი პასუხია.

4. დაგვიანების გაფიქრებაც კი მზარავს.
ა. დიახ. ბ. იშვიათად. გ. არავითარ შემთხვევაში.

5. სჯობს არასდროს, ვიდრე გვიან.
ა. დიახ. ბ. ხანდახან. გ. ასე არ შეიძლება.

6. ძალიან მაღიზიანებს ზოგიერთი ადამიანის უნარი, ყველგან და ყოველთვის დაიგვიანონ.
ა. დიახ. ბ. არც ისე. გ. სრულიადაც არა.

7. ვინც იგვიანებს, პატივს არ ვცემ.
ა. დიახ. ბ. გარკვეულწილად. გ. ეს რა მიზეზია.

8. იარსებებდა თუ არა კაცობრიობა პუნქტუალურობის გარეშე?
ა. არა. ბ. არ ვიცი. გ. ნეტავი თქვენ.

9. თუ ვიგვიანებ, აუცილებლად დავრეკავ და გავაფრთხილებ.
ა. უეჭველად. ბ. შევეცდები. გ. მერეც შეიძლება აუხსნა სიტუაცია.

**პასუხები**

**პასუხები შეაფასეთ: ა. — 1 ქულა. ბ. — 2 ქულა. გ. — 3 ქულა.**

9-15 ქულა: დროის საკითხში მკაცრი და პედანტური ხართ. მაგრამ უმწეოდ გრძნობთ თავს სიტუაციებში, როდესაც პუნქტუალურობა უადგილოა.

16-21 ქულა: ცდილობთ პუნქტუალური იყოთ, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებთ ამას.

22-27 ქულა: პუნქტუალური ნამდვილად არ ხართ. მიგაჩნიათ, რომ ამას მნიშვნელობა არ აქვს.



## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 2. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება; 3. მე-6 საუკუნის ეკლესია თბილისში; 4. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 5. ღვინისა და ლხინის ღვთაების პატივსაცემი დღესასწაული ძველ ათენსა და რომში; 10. კუთხე საქართველოში; 11. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია ევროკავშირის შტაბბინა; 12. რბილი, ფერადი ფანქრები ფერწერისათვის; 13. ფრანგი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 16. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. ჩქაროსნული ავტოსტრადა; 21. გემების სადგომი ნავსადგურში; 23. შავი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად:** 6. ორკორპუსიანი გემი; 7. ჯარის რჩეული ნაწილი; 8. ქალაქ ფოთის ძველბერძნული სახელწოდება; 9. ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების შესახებ; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. გავლენის სფეროს გაფართოება; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 22. პატარა სამკუთხა ალამი; 24. დაქირავებული კავალერი; 25. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 26. უზენაესი სასამართლო თურქეთში.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

## იუმორი



— რა კარგად გამოიყურები, ვერ გიცანი.

***

— ადამიანებს თუ აქვთ უპირობო რეფლექსები?
— აქვთ, ოღონდ ისინი მომაკვდინებელი ცოდვების სიაშია შეტანილი და აკრძალულია.
— მერე, მოქმედებს აკრძალვა?
— უპირობო რეფლექსებზე?

***

— თუ გინდათ, რომ სიზმარი რეალობად იქცეს, არ უნდა დაიძინოთ...

***

— თუ გინდათ, რომ წიგნი არ წაიკითხონ, სასკოლო პროგრამაში ჩართეთ.

***

ტიპს შუაღამისას გაეღვიძა, თავს ცუდად გრძნობს და ექიმს გამოუძახა.

ექიმი მოვიდა, გასინჯა, თავი გადააქნია და ეუბნება:
— თუ შეიძლება თქვენს შვილებს, ნოტარიუსს და ადვოკატს უხმეთ.
— ასე ცუდადაა საქმე ექიმო? ვკვდები?
— არა, მაგრამ არ მინდა ვიყო ერთადერთი იდიოტი, ვინც, კაცმა არ იცის, რისთვის შუაღამისას საწოლიდან წამოაგდეს...